



Arnold Chikobava Institute of Linguistics at TSU
Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Nana M. Machavariani

Abkhazian Grammar Issues

(Considering the Speech of Abkhazians
Living in Adjara)

Texts and Dictionary Included

Tbilisi
2017

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი
ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

ნანა მაჭავარიანი

**აფხაზური ენის გრამატიკის
საკითხები**

(აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა
მეტყველების გათვალისწინებით)

ტექსტებითა და ლექსიკონით

თბილისი

2017

წინამდებარე მონოგრაფიაში წარმოდგენილია აფხაზური ენის ფონეტიკა-ფონოლოგიისა და გრამატიკული სტრუქტურის აღწერითი ანალიზი და აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველების თავისებურებანი.

აფხაზური ენის სისტემისა და ისტორიის უკეთ წარმოსაჩენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც აფხაზეთში გავრცელებულ დიალექტთა მონაცემების შესწავლას, ისე აფხაზეთიდან გეოგრაფიულად მოწყვეტილ არეალებში წარმოდგენილი აფხაზური მეტყველების თავისებურებათა გათვალისწინებას.

ნაშრომს ერთვის ჩვენ მიერ საველე მუშაობისას მოპოვებული მასალა (ქანრობრივად მრავალფეროვანი ტექსტები სიტყვასიტყვითი ქართული თარგმანით) და მოკლე (1900-მდე ლექსიკური ერთეულის შემცველი) აფხაზურ-ქართული ლექსიკონი.

წიგნი განკუთვნილია იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევართათვის, თეორიული ენათმეცნიერების სპეციალისტებისათვის, კავკასიურ ენათა სპეციალობის სტუდენტთა და კავკასიის ხალხთა კულტურისა და ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, პროფ. **ვ. შენგელია**

ტექნიკური რედაქტორი — **ლ. ვაშაკიძე**

რეზიუმეს ინგლისური თარგმანი — **რ. ჯაიანი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა — **თ. გაბროშვილი**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ნ. მაჭავარიანი

ISBN

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	7
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	8
გრამატიკული ანალიზი	15
ფონეტიკა	15
მორფოლოგია	31
არსებითი სახელი	31
არსებითი სახელის ზოგიერთი თავისებურება აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში	41
ნაცვალსახელი	43
ზედსართავი სახელი	47
რიცხვითი სახელი	49
ნაცვალსახელისა და რიცხვითი სახელის თავისებურებანი აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში	53
ზმნა	57
პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორია	57
წარმოქმნის კატეგორიები	67
ქცევის კატეგორია	67
პოტენციალისის კატეგორია	74
უნებურობის კატეგორია	78
კაუზატივის კატეგორია	80
საურთიერთო კატეგორია	83
ზმნის ზოგიერთი წარმოქმნის კატეგორიის თავისებურებანი აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში	90
უღლების კატეგორიები	92
სტატიკურობა-დინამიკურობა	92
სტატიკური ზმნები	92
დინამიკური ზმნები	93
ზმნის ფინიტური და ინფინიტური ფორმები	94
საგარემოებო ელემენტიან ზმნათა ინფინიტური წარმოება	94

სამიმართებო პრეფიქსიანი ინფინიტური წარმოება	95
დრო-კილოთა სისტემა	97
სტატიკური ზმნის ნაკვთები	97
დინამიკური ზმნის ნაკვთები	98
კილოს კატეგორია	103
აბსოლუტივი	106
კითხვითი ფორმა	107
ზმნის უარყოფითი ფორმები	108
მასდარი	109
მიმღობა	110
ზმნის უღლების კატეგორიათა თავისებურებანი აჭარაში მცხოვ- რებ აფხაზთა მეტყველებაში	111
ზმნისართი	119
თანდებული	119
კავშირი	120
ნაწილაკი	121
შორისდებული	122
სინტაქსი	123
ატრიბუტული სინტაგმა	123
ნაცვალსახელი სინტაგმაში	123
ზედსართავი სახელი სინტაგმაში	125
რიცხვითი სახელი სინტაგმაში	125
პრედიკატული სინტაგმა	126
ლიტერატურა	129
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)	144
ტექსტები	168
ლექსიკონი	190

შესავალი

მთის კავკასიურ ენები, რომლებიც საქართველოშია გავრცელებული, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სხვადასხვა ჯგუფს წარმოადგენენ (მათგან ერთი აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება, ორი — ნახურ ენათა ჯგუფს, სამი — დაღესტნურ ენათა ჯგუფს). ამ ენობრივ ერთეულთა შესწავლის მდგომარეობა სხვადასხვაგვარია, მაგრამ ყველა მათგანთან დაკავშირებით უკვე დამუშავებული საკითხების ახლებური გააზრებისა და ნაკლებად შესწავლილი საკითხების კვლევის აუცილებლობა საგრძნობია, რაც ნათლად გამოჩნდა ქვემოთ წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის შედეგად. ნაშრომის მიზანიც ის არის, რომ არსებული მიღწევების გათვალისწინებით და ახალი მასალის მოხმობის საფუძველზე, უკეთ წარმოჩნდეს საანალიზო ენობრივ სისტემათა ძირითადი თავისებურებანი, ამავე დროს, სათანადო მეტყველების ფიქსაციაც მოხდეს, რათა მომავალ თაობებს შემოგუნახოთ საინტერესო ენობრივი მასალა.

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაზე დაკვირვებას ვაწარმოებდით 2008-2011 წლებში მივლინების ფარგლებში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

აფხაზური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა ჯგუფს. ამ ჯგუფში აფხაზურის გარდა გაერთიანებულია აბაზური, ყაბარდოული, ადიღეური და უბიხური ენები.

აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე აფხაზები ცხოვრობენ საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მცირე ჯგუფი ცხოვრობს აჭარაში (ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში).

აფხაზები ცხოვრობენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ასევე — თურქეთსა და სირიაში.

აფხაზური ენის დიალექტებია აბჟუური და ბზიფური. აბჟუური დიალექტი გავრცელებულია ოჩამჩირის რაიონში, ბზიფური დიალექტი — გუდაუთის რაიონში.

აფხაზური ახალდამწერლობიანი ენაა. დამწერლობის შექმნის პირველი ცდა ეკუთვნის რუს გენერალს, კავკასიოლოგ **პ. უსლარს** (1862).

პირველი საანბანო წიგნი გამოიცა 1865 წელს თბილისში. ეს იყო რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი აფხაზური ანბანი.

შემდგომში აფხაზურმა ანბანმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი ანბანის რამდენიმე სახეობა იხმარებოდა 1926 წლამდე. 1926-1938 წლებში გამოიყენებოდა ჯერ აკად. **ნ. მარის** მიერ შედგენილი ე. წ. ანალიზური ანბანი ლათინური ანბანის საფუძველზე, ხოლო შემდეგ **ნ. იაკოვლევის** მიერ ლათინურ გრაფიკაზე დაფუძნებული ანბანი. 1938-1954 წლებში იხმარებოდა ქართული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ანბანი, ხოლო 1954 წლიდან დღემდე მოქმედებს ისევ რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებული ანბანი (გვანცელაძე 2003: 18-20).

პირველი ცდა აფხაზური სიტყვებისა და ფრაზების ჩაწერისა გვაქვს თურქი მოგზაურის **ევლია ჩელეების** ჩანაწერებში (XVIII), აგრეთვე ფრანგი მოგზაურის **ჟან გამბას** ჩანაწერებში (XIX ს.-ის I ნახ.).

აფხაზური ენის პირველი მოკლე მეცნიერული აღწერა მოცემულია გერმანელი ენათმეცნიერის **გ. როზენის** ნაშრომში "Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische", რომელიც ბერლინში დაიბეჭდა 1846 წელს.

აფხაზური ენის პირველი სრული გრამატიკული აღწერა ეკუთვნის **პ. უსლარს**, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის მრავალი იბერიულ-კავკასური ენის შესწავლის საქმეში. პ. უსლარის მონოგრაფია " - " დღემდე აფხაზური ენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოკვლევადაა აღიარებული და ჯერაც არ დაუკარგავს აქტუალურობა.

აფხაზური ენის ქართულთან ნათესაობის პრობლემისადმი მიძღვნილი ცნობილი ქართველი პედაგოგისა და მეცნიერის, **პ. ჭარაიას** გამოკვლევა " ", პეტერბურგი, 1912.

აღსანიშნავია **ნ. მარის** "

", 1912, "

", .- ., 1938.

აფხაზური ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა ეკუთვნის ცნობილ გერმანელ კავკასიოლოგს **ა. დირს**, რომელიც შესულია მის წიგნში "Einführung in das Studium der Kaukasischen Sprachen", ლაიფციგი, 1928.

აფხაზური ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავდა **ა. გენკო** აფხაზურ ენასთან მიმართებაში.

წარმატებით იკვლევდა აფხაზური ენის საკითხებს ცნობილი ისტორიკოსი და ენათმეცნიერი, აკად. **ს. ჯანაშია**.

შემდგომში აფხაზური ენის შესწავლის საქმე განაგრძო ცნობილმა ქართველმა ენათმეცნიერმა, აკადემიკოსმა **ქ. ლომთათიძემ**. აფხაზური ენის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი არ დარჩენილა ქეთევან ლომთათიძის ყურადღების მიღმა. ის გარემოება, რომ აფხაზური ენა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ერთ-ერთ ყველაზე უკეთ შესწავლილ ენად ითვლება, ქ. ლომთათიძის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შედეგია.

უცხოელ მკვლევართაგან საგანგებოდაა აღსანიშნავი ფრანგი კავკასიოლოგის **ჟ. დიუმენილის** დამსახურება აფხაზური ენის კვლევის საქმეში.

აფხაზურ ენას დიდი წარმატებით იკვლევენ აფხაზი ენათმეცნიერებიც. აფხაზური ენის კვლევა აფხაზეთში **დ. გულიამ** დაიწყო, მან რამდენიმე საყურადღებო ნაშრომიც შექმნა ამ დარგში. აფხაზ მკვლევართა ნაშრომები ეხება აფხაზური ენის ფონეტიკა-ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს, ლექსიკას, ლექსიკოგრაფიას, დიალექტოლოგიასა და სხვა კარდინალურ საკითხებს.

აფხაზური ენის გამოქვეყნებული ლექსიკონებიდან აღსანიშნავია **ნ. მარის** მოკლე „აფხაზურ-რუსული ლექსიკონი“ (მოსკოვი-ლენინგრადი, 1938), **ბ. ჯანაშიას** „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“ (თბილისი, 1954), „აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ავტორთა კოლექტივისა (I ტ. სოხუმი, 1986, II ტ. სოხუმი, 1987), რომელიც ამ ენის პირველ განმარტებით ლექსიკონს წარმოადგენს.

ცალკე უნდა აღინიშნოს **გ. კასლანძიას** „აფხაზურ-რუსული ლექსიკონი“ (სოხუმი, 2003), **თ. გვანცელაძის** „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“ (თბილისი, 2012), ავტორთა კოლექტივის „რუსულ-აფხაზური ლექსიკონი“ და დარგობრივ-ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

აფხაზური ენის სისტემურ კვლევას ჩვენში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე მიექცა ყურადღება. ამ მიზნით, აკად. **ივ. ჯავახიშვილს** განზრახული ჰქონდა, მოეწვია აფხაზური ენის კურსის წასაკითხად პ. ჭარაია, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. 1922-1924 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ ენის კურსს კითხულობდა **დ. გულია**, შემდეგ კი 30-იანი წლების მეორე ნახევრამდე — აკად. **ს. ჯანაშია**, რომელსაც 1937 წლიდან შეენაცვლა **ქ. ლომთათიძე**. ქ. ლომთათიძემ აღზარდა აფხაზური ენის მრავალი აფხაზი, ქართველი და უცხოელი სპეციალისტი.

უცხოეთში აფხაზურ ენას იკვლევდნენ და იკვლევენ: **გ. დეიტერსი**, **კ. ბოუდა**, **ვ. ალენი**, **ა. კუიბერსი**, **კ. ბარი**, **გ. შარაშიძე**, **ჯ. ჰიუიტი**, **ა. სპრუიტი**, **ვ. ლუკასენი** და სხვანი.

აფხაზური ენის კვლევის მიმართულებით აღსანიშნავია აფხაზი ენათმეცნიერების **ლ. ჭკადუას**, **შ. არისტავას**, **კ. შაყრილის**, **ხ. ბლაუბას**, **ვ. კონჯარიას**, **ვლ. კასლანძიას**, **ო. ძიძარიას**, **ე. კილბას**, **ლ. ჰაგბას**, **ა. ხეციას** ნაშრომები.

აფხაზური ენის განვითარების გზისა და ისტორიის უკეთ გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზური ენის დიალექტთა მონაცემების შესწავლას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აფხაზური მეტყველების გამოწულილვით შესწავლა აფხაზეთიდან გეოგრაფიულად მოწყვეტილ არეალებში.

აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი გარკვეულწილად განსხვავებულ სურათს იძლევა აფხაზეთს მოშორებულ აფხაზთა მეტყველებაში.

ამ მხრივ საინტერესოა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ აფხაზთა ენა.

ამჟამად აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზები არიან აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები. გასულ საუკუნეში სხვადასხვა ისტორიულმა მოვლენებმა განაპირობა მათი აფხაზეთიდან გადასახლება თურქეთში.

აჭარის ტერიტორიაზე აფხაზები დასახლდნენ სხვადასხვა დროს, მოყოლებული 1862 წლიდან.

გადასახლებულ აფხაზთა გარკვეული ნაწილი, რომელიც აფხაზეთიდან გამოვიდა, დასახლდა ბათუმსა და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ ფაქტზე მიუთითებს მრავალი საარქივო მასალა.

აფხაზ ემიგრანტთა სხვა ნაწილი, რომელიც განიცდიდა სოციალურ და ნაციონალურ შევიწროებას თურქეთში, ცდილობდა რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე დაბრუნებას რუსეთის მთავრობის ნებართვის გარეშე. თავდაპირველად, აფხაზები ხვდებოდნენ აჭარაში, რომ შემდეგ აფხაზეთს დაბრუნებოდნენ.

XIX ს-ის 70-80 წლებში ბათუმი გახდა გამაშუალებელი პუნქტი კავკასიასა და თურქეთს შორის. აფხაზები ჯგუფებად ბრუნდებოდნენ თურქეთიდან ბათუმში.

საბოლოოდ, რუსეთის მეფის იმპერიამ აფხაზებს დართო ნება, რომ ისინი დაბრუნებულიყვნენ არა აფხაზეთში, არამედ აჭარაში.

ამის შედეგად აჭარის ტერიტორიაზე შეიქმნა ოცზე მეტი სოფელი, რომლებიც დასახლებული იყო აფხაზებითა და ჩერქეზი მუჰაჯირებით. აფხაზები სახლდებოდნენ ბათუმში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე: (ფერია, ფეზია, ქვედა სამება, ქალთიბაური, სალიბაური, იჯადია, ახმედია, სტეპანოვკა, შუქრია, ლუფტია, ქუსიადია, ურეზი, მინდა, ანგისა, ადლია, კახაბერი), ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე (ჭარნალი, თხილნარი, ნუსრეთი, ჩერქეზლუქი, ყარაშალვარი).

თავდაპირველად აფხაზები დაფუძნდნენ ზღვის პირას. თანდათანობით აფხაზთა დიდი მასა შეჩერდა ნურიეში, შემდგომში აფხაზთა სოფლის ადგილას ჩამოყალიბდა ქალაქი. აფხაზები ქალაქიდან დაიძრნენ და მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლდნენ, სოფლებში (ურეზი, სტეპანოვკა, ფერია).

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა რაოდენობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მაგ. **გ. პალგრევის** ცნობით, ბათუმის მაზრაში 1879 წელს ცხოვრობდა 9500 აფხაზი და ჩერქეზი, მეორე გადმოსახლების შემდეგ (1867 წ.) — 1200.

ქვემო აჭარაში, როგორც წერდა **შ. მეგრელიძე**, რამდენიმე სოფელი დასახლებული იყო მთლიანად აფხაზებით. მათი რაოდენობა მუჰაჯირობის დროს არ აღემატებოდა 3 ათასს.

გ. ი. ძიძარას ცნობით, აფხაზთა რაოდენობა შეადგენდა 3000 ოჯახს, ან 10000 კაცს.

XIX ს.-ის 80-იან წლებში მოხდა აფხაზთა ახალი ემიგრაცია თურქეთში, რის შედეგადაც აფხაზთა რიცხვი აჭარის ტერიტორიაზე შემცირდა. 1886 წლის მონაცემებით, ბათუმში ცხოვრობდა 1469 ადამიანი (155 ოჯახი). **ე. ლეონის** ცნობით, აქ აფხაზებმა „შინარჩუნეს ადათ-წესები და ენა, ზოგმა იცის რუსული, კარგად ლაპარაკობენ ქართულად და თურქულად“.

1970 წლის საკავშირო აღწერით, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა რიცხვი 1361 ადამიანია, აქედან 982 მშობლიურად აფხაზურს მიიჩნევს.

1989 წლის აღწერით აჭარაში ცხოვრობს 1636 აფხაზი, თავის მშობლიურ ენად აფხაზურს აღიარებს 911 ადამიანი.

ამჟამად აჭარაში აფხაზები ცხოვრობენ ხელვაჩაურის რაიონის სოფლებში: (ურეხი, ფერია, მნათობი, სალიბაური, ქვედა სამება, ჩელტა, ანგისა, მინდა, კახაბერი, ადლია, ჭარნალი), ასევე ბათუმში.

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა უფროს თაობას ახსოვს, რომ მათი წინაპრები აფხაზეთის სხვადასხვა რაიონიდან გადმოსახლდნენ. როგორც მოხუცები ჰყვებიან, იმ აფხაზთა წინაპრები, რომლებიც ახლა ანგისაში, მინდასა და კახაბერში ცხოვრობენ, გადმოსახლდნენ თჰუბგნიდან (ეს ტერიტორია კელასურისა და დრანდას სამხრეთ სანაპიროზეა). ისინი თავიანთ თავს სოხუმიდან გამოსულებს უწოდებენ (აყა ძანგწუზ), მეორე ნაწილი აჭარაში მცხოვრები აფხაზებისა, რომელიც ცხოვრობს სოფლებში — ფერიაში, ურეხში, სალიბაურში, ქვედა სამებაში, ადლიაში, ჭარნალსა და ჩელტაში, გადმოსახლდა მდინარე ბზიფისა და ადღერის მიმდებარე ტერიტორიიდან. ისინი თავიანთ თავს ახალწეს-იდან გამოსულებს უწოდებენ (ახალწეს ჟლარა).

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებას საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა **ე. კილბამ** " (თბ., 1983).

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ბევრ ინფორმატორს იმ სოფლების დასახელებაც კი შეუძლია, რომლებიდანაც აფხაზები აჭარაში გადმოსახლდნენ (კილბა 1983: 7).

„ენობრივი მონაცემები ადასტურებს, რომ აჭარაში მცხოვრები აფხაზები ნამდვილად აფხაზეთის სხვადასხვა რაიონიდან გამოვიდნენ. მათს მეტყველებაში ძირითადად შენარჩუნებულია ის ენობრივი თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია იმ ადგილობრივთა მეტყველებისათვის, რომელსაც ისინი გამოეყვნენ“.

ის ენობრივი თავისებურებები, რომლებიც აფხაზთა სხვადასხვა რაიონის მეტყველებას ახასიათებს, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ენაშიცაა ასახული.

„არსებული ენობრივი თავისებურებები გვაძლევს საფუძველს აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში გამოვყოთ ანგისას მეტყველება (იმ აფხაზთა მეტყველება, რომლებიც ანგისასა და მის ახლო მდებარე სოფლებში ცხოვრობენ) და ფერიას მეტყველება (იმ აფხაზთა მეტყველება, რომლებიც ფერიასა და მის ახლომდებარე სოფლებში ცხოვრობენ“.

„ანგისას მეტყველების წარმომადგენლები ცხოვრობენ: ანგისაში, მინდაში, კახაბერსა და ბათუმში. ფერიას მეტყველების წარმომადგენლები ცხოვრობენ: ფერიაში, მნათობში, სალიბაურში, ქვედა სამებაში, ჩალტაში, ჭარნალსა და ბათუმში“.

ე. კილბას დაკვირვებით, ანგისას მეტყველება აფხაზური ენის აბჟურ დიალექტს უახლოვდება, ხოლო ფერიას მეტყველება კი აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტსა და აბაზური ენის აშხარულ დიალექტს (კილბა 1983: 8).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ მასზე ადრე აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველება საგანგებოდ არც ერთ მეცნიერს არ შეუსწავლია. იგი დასძენს, რომ რამდენიმე ფრაზა აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველების შესახებ ზ. ბლაჟბას ნაშრომში მოიძია (. . . , . . . , 1964: 25).

ე. კილბას ნაშრომი არის შედეგი იმ სავსე დიალექტური მასალის ანალიზისა, რომელიც მან 1976-1983 წლებში მოიპოვა.

„აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველება ხასიათდება ისეთივე თავისებურებებით, როგორც გვხვდება აფხაზური და აბაზური ენის სხვა დიალექტებში. ამ დიალექტთაშორის თავისებურებების გარდა, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებას ახასიათებს ისეთი ენობრივი თავისებურებანი, რომლებიც აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე აფხაზთა მხოლოდ ამ ნაწილისათვისაა დამახასიათებელი.

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველების თავისებურებანი გამოიწვია სხვადასხვა მიზეზებმა, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს (ზემოთაღნიშნულ ეთნიკურ სიჭრელესთან ერთად) აფხაზურ ენაზე მეტყველი მასისაგან ამ მეტყველების ტერიტორიული გამოცალკეება.

გარდა ამისა, ენობრივი თავისებურებების წარმოქმნაში პატარა როლი არ უთამაშია განსხვავებულ ენობრივ სამყაროს, რომელშიც აღმოჩნდა, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ენა ერთზე მეტი საუკუნის განმავლობაში“ (კილბა 1983: 9).

ე. კილბა აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველების განხილვისას, არა მხოლოდ უდარებს ერთიმეორეს ანგისას და ფერის მეტყველებას, არამედ უდარებს ამ თავისებურებებს აფხაზური და აბაზური ენების დიალექტთა მონაცემებსაც. საჭიროების შემთხვევაში მოუხმობს მონათესავე და არამონათესავე ენათათვის დამახასიათებელ ენობრივ ფაქტებს.

როგორც ცნობილია, ცოცხალ დიალექტთა და თქმათა მონაცემები საიმედო წყაროა ენის ისტორიული განვითარების სურათის აღსადგენად. ახალდამწერლობიანი აფხაზური ენის ისტორია უნდა აღდგეს დიალექტოლოგიისა და მონათესავე ენების მონაცემთა გათვალისწინებით, ამიტომ შეუსწავლელი თქმების (კილოების) გამოკვლევა არის აფხაზური ენის შესწავლის აქტუალური ამოცანა.

იმ აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველება, რომლებიც ას წელზე მეტია მოწყვეტილნი არიან აფხაზურ დიალექტთა გავრცელების ძირითად ტერიტორიას, იძლევა ფრიად ძვირფას მასალას აფხაზური ენის განვითარების ისტორიის შესწავლისათვის.

ცნობილია, რომ ენა ძალზე სწრაფად იცვლება, განსაკუთრებით, როდესაც განსხვავებულ ენობრივ სამყაროშია მოხვედრილი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოავლინოს ენობრივი თავისებურებები, რომლებიც აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებამ 1983 წლიდან დღემდე განიცადა.

გრამატიკული ანალიზი

ფონეტიკა

აფხაზური ენა ფონემათა სიუხვით გამოირჩევა.

აფხაზურ სალიტერატურო ენაში **64** ფონემაა, ბზიფურ დიალექტში **9** დამატებითი ფონემა დასტურდება. აბჟუური დიალექტი აფხაზური სალიტერატურო ენის საფუძველია. ამ დიალექტში დღემდე (უფროსი თაობის მეტყველებაში) შეინიშნება კბილბაგისმიერი მკვეთრი **ძ** სპირანტი, რომელიც ამჟამად გაქრობის გზაზეა და გადასულია **პ** მკვეთრ ხშულში.

ხმოვნები

აფხაზურ სალიტერატურო ენაში 5 ხმოვანია: **ა, ე, ი, ო, უ**, დამატებით **გ** „ირაციონალური, ანუ ნეიტრალური“ ხმოვანი. ამათგან ძირითადია **ა** და **გ** ხმოვნები, დანარჩენები დიფთონგური წარმომავლობისაა: **ე** მიიღება **აე** ან **აი** კომპლექსებისაგან: ეცგ < აეცგ „გუშინ“ **ი** მიიღება **აი** ან **აე** კომპლექსებისაგან აცეძტ < აეცეძტ „ისინი წავიდნენ“, **ო** მიიღება **აო** და **აუ** კომპლექსებისაგან: ოხა < აოხა < აოხა „ამაღამ“, ხოლო **უ** მიიღება გუ ან გუ კომპლექსებისაგან: აპატუ < აპატუ „პატივისცემა“.

აფხაზური **ა** ხმოვანი დაბალი აწეულობის ვიწრო ხმოვანია. გვხვდება სიტყვის თავში, შუაში, ბოლოში: ან „დედა“, ანაპგ „ხელი“, აბარწა „აივანი“...

ასევე სიტყვის ყველა პოზიციაში შეიძლება შეგვხვდეს ორი **აა** ხმოვანი, რომლის ამოსავლად **აა** მარცვალი ივარაუდება: აბლანამ „ბალღამი“, აყ რანან „ყვავი“.

ზოგ შემთხვევაში მოსალოდნელი სამი ან ოთხი **ა** ხმოვნის ნაცვლად მუდამ ორი **ა** ხმოვანი დასტურდება: ანდა < *ა-ანდა < *ა-ჰანდა „ლობე“.

ე ხმოვანი წინა წარმოების საშუალო აწეულობის ფონემაა, გვხვდება სიტყვის ნებისმიერ პოზიციაში. აფხაზურ საკუთარ ლექსიკურ ფონდში მეორეული წარმოშობისაა. ნასესხებ სიტყვებში **ე** ხმოვანი **ა** ხმოვნითაა შეცვლილი: წესი > აწანს, ჩელტი > აჩანლტ.

თუ **ე** ხმოვნის წინ გამსესხებელ ენაში **გ, ქ, კ, ღ, ხ, ყ** თანხმოვნები დგას, მაშინ აფხაზურში **ე** ხმოვნის პალატალიზაცია გადაეცემა თანხმოვანს და ვიღებთ **გ̣, ქ̣, კ̣, ღ̣, ხ̣, ყ̣** თანხმოვნებს, რომელთაც **ა** ხმოვანი მოსდევს: სარკე > ასარკ̣ა, გემო > აგ̣მა...

ხმოვანი **ი** წინა წარმოების ზედა აწეულობის ფონემაა. მარტივი სახით თითქმის არ გვხვდება, დიფთონგური ბუნებისაა.

თუ **ი** გამსესხებელ ენაში **გ, ქ, კ, ღ, ხ, ყ** თანხმოვნებს მოსდევს, აფხაზურში ხდება ამ თანხმოვანთა პალატალიზაცია. **გ̣, კ̣, ქ̣, ღ̣, ხ̣, ყ̣** მათს შემდეგ კი თავს იჩენს ნეიტრალური **გ** ხმოვანი. ადგილი > ადგ̣ლ, კიბე > აკ̣ბა...

ხმოვანი **ო** საშუალო აწეულობის უკანა წარმოების ფონემაა. იგი გვხვდება სიტყვის ნებისმიერ პოზიციაში: ოხან „ამალამ“, დგზბრდტ „მე მას (ად.) ვხედავ“, იცო „ისინი მიდიან რა...“

ნასესხებ სიტყვებში **ო** ხმოვანი დაიშლება **ჟა** კომპლექსად, თუ მის წინ დგას ლაბიალიზაციისაკენ მიდრეკილების მქონე თანხმოვანი. **ჟ** იქცევა წინა თანხმოვნის ლაბიალიზაციის მიზეზად, **ა** ხმოვანი კი ხშირად შენარჩუნდება: მეგრ.: ოხვამე > აჟახ მმა „ეკლესია“... დამატებითი ლაბიალიზაციისაკენ მიდრეკილების უქონელ თანხმოვანთა შემდეგ კი **ო** ხმოვანი **ა** ხმოვნით იცვლება: ფონი > აფან...

ხმოვანი **უ** უკანა წარმოების ზედა აწეულობის ფონემაა. **ი** ხმოვნის მსგავსად უფროსი თაობის მეტყველებაში ისიც იშვიათად დასტურდება, რაკი დიფთონგური ბუნება აქვს. ნასესხებ სიტყვათა მახვილიანი **უ** ხმოვანი აფხაზურში ზოგჯერ უცვლელი რჩება მეგრ. ულუ > აფხაზ. აულ || აულ ჯ „უღელი“.

ნასესხებ სიტყვებში **უ** ხმოვანი იწვევს ლაბიალიზაციის მიდრეკილების მქონე თანხმოვანთა ლაბიალიზებას და შემდეგ **გ** ხმოვნის გაჩენას: დუქანი > ად ქ̣ან <*ად გქ̣ან...

ხმოვანი **გ** უფრო ვიწროა ვიდრე **ა**. იგი თითქმის არ გვხვდება სიტყვის თავში, ხშირია სიტყვის შუა და ბოლო პოზიციაში: ახგზა „საბანი“, აძგ „წყალი“. ხშირად **გ** ხმოვანი მიღებულია **ა** ხმოვნისაგან: აბაზური ჯან — აფხაზ. ა-ხგ „თავი“. **გ** ნეიტრალური ხმოვანი ვერ ძღვება **ჰ** თანხმოვნის გვერდით და მას ენაცვლება **ა** ხმოვანი.

ნახევარხმოვნები

ნახევარხმოვანი **ჟ** შუაენისმიერი ფონემაა და დასტურდება ნებისმიერ პოზიციაში მარს „ის, იგი“ (მკ.¹ ან არაგ.), აჰადჟან „პირუტყვი“.

¹ მკ. = მამაკაცთა კლასი, ქ. = ქალთა კლასი.

ნახევარხმოვანი **ჟ** წყვილბაგისმიერი ბგერაა და ისიც ყველა პოზიციაში დასტურდება უარს „შენ“ (მკ.), უაწ გ „ხვალ“, დააფუძტ „იგი (ად.) მოდის“...

თანხმოვანი ფონემები

აფხაზურ სალიტერატურო ენაში სულ 56 თანხმოვანი ფონემაა. ისინი იყოფა ხშულებად, აფრიკატებად, სპირანტებად, სონორებად.

ხშული თანხმოვნებია: ბ, ფ, პ, დ, თ, ტ, ღ, თ, ტ, გ, ქ, კ, გ, ქ, კ, გ, ქ, კ, ყ, ყ, ყ.

აფრიკატი თანხმოვნებია: ძ, ც, წ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ, ჯ, ჩ, ჭ.

სპირანტი თანხმოვნებია: ვ, ფ, ზ, ს, ჟ, შ, უ, შ, უ, ლ, ხ, ღ, ღ, ხ, ჰ, ჰ.

სონორი თანხმოვნებია: მ, ნ, ლ, რ.

ხშული და აფრიკატი თანხმოვნები ქმნიან სამეულთა სისტემას, სპირანტები წყვილეულთა სისტემას, სონორები ცალეულთა სისტემას.

გვაქვს ხშული, აფრიკატი და სპირანტი თანხმოვნების ლაბიალიზებული, პალატალიზებული და ველარიზებული სახეობები.

წყვილბაგისმიერი ხშულები სამეულთა ერთი რიგითაა წარმოდგენილი. მჟღერი ბ, ფშინვიერი ფ, მკვეთრი პ. ისინი გვხვდება სიტყვებში აბარს „დანახვა“, აფრა „აფრა“ ატაპა „ნაბადი“.

ენაკბილისმიერი ხშულები ხმოვანთა ორი სამეულის რიგით არის წარმოდგენილი: 1. სადა ენაკბილისმიერი დ თ ტ. ეს ბგერები არის სიტყვებში ანდა „ძარღვი“, ათაცნ „პატარძალი“, ატტ „ბუ“... 2. ლაბიალიზებული ენაკბილისმიერი დ, თ, ტ სამეული რთული ბუნების ბგერებია. ეს ფონემები გვხვდება სიტყვებში: ად გ „მინდორი“, ათ ს „თივა“, ატ გ „მონა“. ამ ორი რიგის თანხმოვანთა მჟღერებია: დ, ღ; ფშინვიერები: თ, თ; მკვეთრები ტ, ტ ...

უკანაენისმიერ ხშულთა სამეულები სამ რიგს ქმნიან: 1. სადა უკანაენისმიერი გ, ქ, კ. ეს ფონემები არის სიტყვებში აგარა „აკვანი“, აქტა „სოფელი“, აკაკარა „კაკანი“.

2. ლაბიალიზებული უკანაენისმიერი ფონემებია გ, ქ, კ. ეს ფონემები არის სიტყვებში: აგ გ „გული“, აქ ს „წვიმა, აკ ს „უბე“.

3. პალატალიზებული უკანაენისმიერი **გ**, **ქ**, **კ**. ისინი დასტურდება სიტყვებში: აც გ^ა „ცული“, აქ^ანლა „კარავი“, აკ^აკ^ა „მაგარი“.

მჟღერებია: **გ, გ, გ**; ფშვინვიერები: **ქ, ქ, ქ**; მკვეთრები **კ, კ, კ**...

ფარინგალურ ხშულთა სისტემა ნაკლოვანია. ამ სისტემაში ამჟამად შედის მხოლოდ სადა ფარინგალური მკვეთრი **ყ**, ლაბიალიზებული მკვეთრი **ყ** და პალატალიზებული მკვეთრი **ყ**. აკლია ფშვინვიერი და მჟღერი სახეობები. დასახელებული ბგერები არის სიტყვებში: აყ^აფშ „წითელი“, აყ^ა ა „სოხუმი“, აყ^არა „ქნევა“.

სისინა აფრიკატები აფხაზურ სალიტერატურო ენაში სამეულთა ორი რიგის სახით არის წარმოდგენილი: 1. სადა სისინა აფრიკატები **ძ, ც, წ**. ისინი არის სიტყვებში: აძ^ა „ნელი“, აც^ა „ნისკარტი“, აწ^ა „ფსკერი“.

2. ლაბიალიზებული სისინა აფრიკატები **ძ, ც, წ** სპეციფიკური რთული ფონემებია. ეს ფონემები არის სიტყვებში: აძ^ა გ^ა „ერთი ვილაც“, აც^ა „ხარი“, აწ^ა ა^ა „ვაშლი“. დასახელებულთაგან **ძ, ძ** მჟღერია, **ც, ც** ფშვინვიერი, **წ, წ** — მკვეთრი.

შიშინა აფრიკატებიც ორი სამეულის სახით არის წარმოდგენილი. 1. სადა შიშინა აფრიკატები **ჯ, ჩ, ჭ**. ისინი არის სიტყვებში აჯ^ა „მუხა“, აჩ^ა „პური“, აჯ^ა გ^ა „ბიჭი“. 2. მაგარი ანუ ინტენსიური შიშინა აფრიკატები **ჯა, ჩა, ჭა** სპეციფიკური ფონემებია. ეს სამეული არის სიტყვებში: აჯ^აჯ^ა „ფოლადი“ აჩ^აჯ^ა „ცხენი“, აჯ^აჯ^ა „პირი“. დასახელებულ ორ სამეულში მჟღერებია **ჯ, ჯა**; ფშვინვიერები — **ჩ, ჩა**; მკვეთრები — **ჭ, ჭა**.

კბილბაგისმიერ სპირანტთაგან აფხაზურს მოეპოვება მჟღერი **ვ** და **ფ** ფონემთაგან შემდგარი წყვილგულის. ეს ფონემები არის სიტყვებში: ავ^არა „გვერდი“, აფ^აჯ^ა „ჭექა-ქუხილი“.

წინაენისმიერი სადა სისინა ზ და **ს** წყვილგულისაგან **ზ** მჟღერია, **ს** — ყრუ. ეს ფონემები არის სიტყვებში: აზ^ა „მთვარე, თვე“, ას^ას „სტუმარი“.

წინაენისმიერი შიშინა სპირანტები აფხაზურში სამი წყვილგულით არის წარმოდგენილი: 1. სადა შიშინა **ჯ, შ**. ეს ფონემები დასტურდება სიტყვებში აჯ^ა „ყურძენი“, აშ^ა „სისხლი“. 2. ინტენსიური, შიშინა **ჯა, შა** არის სიტყვებში აჯ^არა „თხრილი“, აშ^ა „მწარე“... 3. ლაბიალიზებული შიშინა **ჟ, შ** დასტურდება სიტყვებში აჯ^ა „ძროხა“, აშ^ა „ყველი“. დასახელებულ სამ წყვილგულში მჟღერებია: — **ჟ, ჟა, ჟ**, ყრუებია: — **შ, შა, შ** ფონემები.

უკანაენისმიერი სპირანტებიც სამი წყვილულით არის წარმოდგენილი 1. სადა **ღ**, **ხ** თანხმოვნები. ისინი გვხვდება სიტყვებში ალ „მტერი“, ახგ „თავი“. 2. ლაბიალიზებული **ღ**, **ხ**. ისინი დასტურდება სიტყვებში: ალგ „ფიცარი“, ან და „კისერი“. 3. პალატალიზებულ **ღ**, **ხ** სპირანტები გამოითქმის როგორც ერთ ფონემად შერწყმული კომპლექსები. ეს ფონემები არის სიტყვებში: აბღგც „ფოთლი“, ანგ „ოქრო“... დასახელებული ბგერებიდან მჟღერებია **ღ**, **ღ**, **ღ**, ხოლო **ხ**, **ხ**, **ხ** ყრუ ფონემებია.

ლარინგალური სპირანტებიდან აფხაზურს სამი ფონემა მოეპოვება: ყრუები **ჟ** და **ჟ**, მჟღერი **ჟ**. ეს ფონემა არის სიტყვაში აპ „ბატონი“. **ჟ** თანხმოვნით გადმოიცემა ქართული **ხ** ფონემა. მაგ.: ორხაო > აჟარჰაჟ „ხალიჩა“. ამ ფონემას არ მოეპოვება თავისი რიგის მჟღერი ლარინგალური შესატყვისი ფონემა. ლაბიალიზებული **ჟ** დასტურდება სიტყვებში: აპ არა „თქმა“, აპ გს „ხბო“. აფხაზური ენის ლაბიალიზებული ლარინგალური **ჟ** ფონემა სპეციფიკურია. იგი არის სიტყვებში: აჟღ „ღვინო“, აჟაჟ „მოსწავლე“.

სონორი ბგერებიდან **მ** ბაგისმიერ-ცხვირისმიერია, **ნ** — ცხვირისმიერი. ისინი გვხვდება სიტყვებში: ამრა „მზე“, ან „დედა“... ნარნარა **ლ**, **რ** თანხმოვნები უფრო ინტენსიურია, ვიდრე შესაბამისი ქართული ფონემები. ისინი დასტურდება სიტყვებში: ალ „მურყანი“, არ „ჯარი“... ოთხივე სონორი მჟღერი ბგერაა.

ძირთა სტრუქტურა, მარცვალი და მანვილი

აფხაზური სიტყვის ძირი ისტორიულად მარტივი იყო. ახლაც მრავალი საკუთრივ აფხაზური ძირი შედგება ცალი თანხმოვნისაგან, რომელსაც **ა** ან **გ** ხმოვნები ახლავს. ზოგჯერ ძირისეული თანხმოვანი უხმოვნოდ არის წარმოდგენილი **C**: ა-წ-ან „ფსკერი“. ა-კ-რა „ჭერა“ ა-ს-რა „ცემა“. ვარუდობენ, რომ აფხაზურისათვის ამოსავალი იყო **CV**: ა-გა-რან „წაღება“, ა-ჟა-რა „ჭამა“. ამჟამად **CVC**-ც დასტურდება. მაგ.: ა-ბგლ-რა „წვა“. აფხაზურ ძირთა დიდი ნაწილი წარმოქმნილია კომპოზიციით ან რედუქციაციით. ამ დროს მანვილის ზემოქმედებით მიიღება თანხმოვანთკომპლექსები. კომპლექსთა წარმოქმნისას მნიშვნელობა აქვს მეზობლად მოხვედრილ ფონემათა რაგვარობას. აფხაზურისათვის

შეუთავსებელი კომპლექსის დასაძლევად თანხმონებს შორის გაჩნდება გ ხმოვანი (ჩვეულებრივ, ორი თანხმონის წინ ან შემდეგ). ამჟამად ენაში ყველაზე გავრცელებულია თანხმონთან ისეთი კომპლექსები, რომელთა პირველი კომპონენტებია ბაგისმიერი **ბ ფ მ** თანხმონები: **ბზ, ბჟ, ბჟზ, ბღ, ბწ, ბჰ, ფს, ფშ, ფშზ, ფხ, ფხწ, ფჰ, ფჰზ, ფჩ, ფთ, ფრ, მზ, მღ, მპ, მჟ, მრ, მს, მტ, მღ, მქ, მშ, მიჩ, მც, მძ, მწ, მჰ, მხ, მჰ...** რაც შეეხება **წჟ, ჰჟ, ტჟ** კომპლექსებს, ისინი დასტურდება ძირითადად ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში.

მახვილის ძლიერი ზემოქმედების შედეგად ფუძე შეიძლება ძალზე შეიცვალოს და მივიღოთ რამდენიმე თანხმონიანი კომპლექსიც: აფსთჰ ა „ღრუბელი“, ალწშ ა „გამოსავალი“, სადაც ხშირად არის სპირანტი ან სონორი თანხმონი.

მახვილი აფხაზურში ინტენსიური და მოძრავია, იგი შეიძლება სიტყვას მოუღიოდეს ნებისმიერ პოზიციაში. მრავალი ომონიმური სიტყვა დღესდღეობით თითქოს მახვილის მიხედვით განსხვავდება. მაგ., ალა „თვალი“, ალან „ძალი“, ალა „საბერველი“ და ალან „მტერი“, მაგრამ ისტორიულად ეს სხვადასხვა ფუძეებია.

ფონეტიკური პროცესები

ფონეტიკურ პროცესთაგან აფხაზურში გავრცელებულია ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, სუბსტიტუცია და რედუქცია. ყველაზე ხშირია ასიმილაციის პროცესი ხმოვნებსა და დიფთონგებში; როგორც პროგრესული, ისე რეგრესული; სრული და არასრული, კონტაქტური ან დისტანციური.

პროგრესული კონტაქტური ასიმილაციის დროს წინამავალი ბგერის გავლენით იცვლება მომდევნო და მთლიანად (იშვიათად), ან ნაწილობრივ ემსგავსება მას. მაგ.:

მა > მე > ე: მაჩა > მეჩა > ეჩა „დღეს“

ჟა > ჟო > ო: ჟაწ გ > ჟ წ გ > ოწ გ „ხვალ“

შბ > შფ: ჟგშაბაჟოჟ > ჟგშაფაჟოჟ? „როგორ ხარ შენ (მკ.)?“

რთ > რდ: აც ართაღ გ > აც არდაღ გ „სკამლოგინი“

რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის დროს წინამავალი ბგერა მომდევნო ბგერის ზეგავლენით ემსგავსება მას.

აა > ეა სცაძტ > სცაძტ „წაველი“

სბ > ზბ აფჰ გსბა > აფჰ გზბა „ქალიშვილი“

კონტაქტური დისიმილაციის შედეგად კაუზატივის მაწარმოებელი **რ-** თავსართის გავლენით ზმნის III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი **რ-** იცვლება **დ-** ნიშნით (განმსგავსება კაუზატივის ნიშანს): დრტყა-წეძტ > დდტყაწეძტ „მათ მას (მკ.) რალაც გააკეთებინეს“...

დისტანციური დისიმილაციის შედეგად უარყოფით ბრძანებებში უარყოფის პრეფიქსი **მ-** განიმსგავსებს უარყოფისავე **მ-** სუფიქსს: დგუმგამ! > დგუმგან! „შენ (მკ.) ის არ წაიღო!“...

მეტათეზისის დროს ბგერები ადგილს უცვლიან ერთმანეთს, მაგ.: აქლაფანდ > აქალფანდ „წინდა“...

სუბსტიტუციის შემთხვევაში ერთ ბგერას ჩაენაცვლება მეორე. მაგ. აშამსრა > აჩამსრა „ქოლგა“...

რედუქცია ძალზე გავრცელებულია, მაგ.: ამამუნ > ამმუნ „ზღვა“. ხმოვნები უჩინარდებიან მახვილის ზემოქმედებით (გვანცელაძე 2003: 25-36).

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში რაიმე განსაკუთრებული, აფხაზურ-აბაზური ფონოლოგიური სისტემისაგან განსხვავებული ბგერები არ ჩანს. აქ გვხვდება თანხმოვნები, რომლებიც ახასიათებს აბ-ჟუურ და ბზიფურ დიალექტებს აფხაზური ენისა, ასევე ამხარული დიალექტისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ფონემა.

მცირეოდენი გადახრები შეიმჩნევა **ა** და **გ**-ს ხმარებისას ფერიელ აფხაზთა მეტყველებაში.

სისინ-შიშინა თანხმოვნები

ძ', ც', წ', ზ', ს' უფროსი თაობის მეტყველებაში შეუნიშნავს კილბას სპორადულად, ანგისას მცხოვრებთა მეტყველებაში კი ეს თანხმოვნები არ გვხვდება (კილბა 1983: 10).

სისინ-შიშინა მყდერი აფრიკატი **ძ'**: აძ'გნ „ზამთარი“, ასაძ'ან „საძები“ (აფხაზთა ტომის სახელწოდება).

მაგალითები:

მაკ'ანა აძ'გნ აგ თან აბანყოჟ „ჯერ კიდევ სად არის შუა ზამთარი“.

საძ'ან პან დეყან „იყვნენ საძების მავგარნი“.

ლძ'ან ანანჰან ჰანხონ „ვეცხოვრობდით ლდასთან“.

სისინ-შიშინა ფშვინვიერი აფრიკატი **ც'**: აც'არა „წასვლა“, ათანც'ა „პატარძალი“, აც'ხტარაარა „შველა, მიხმარება“

მაგალითები:

ჟტრთ ჟაწ ჟტხოჟტ ძანც'რ „ისინი ხვალ სალამოს წავლენ“.

აც'ხტარაარაჟ აგ'ლანსგმჰ ან „მე მიხმარებაზე არაფერს ვამბობდი“.

სისინ-შიშინა აბრუპტიული აფრიკატი **წ'**: ახანწ'ა „კაცი“ ახტწ'რა „ხანში შესვლა“, აწ'არა „სწავლა“.

მაგალითები:

ლხანწა სენტ ი დგფსგდტ „მისი ქმარი ამ წელიწადში მოკვდა“.

სარან ხანგდჟ ა ს'ქ სა სხგწგდტ „მე თექვსმეტი წლის ვარ“.

სისინ-შიშინა მჟღერი **ზ'**: აძწ'გარა „მოგროვება“.

სპირანტი **ზ'** ხშირია ზმნურ ფუძეებში: ა) ქცევის მაწარმოებლად: აძ'ახრა „კერვა“, აზ'გძ'ახრა „ვინმესთვის შეკერვა, აპ არან „თქმა“, აზ'პ არა „ვინმესთვის თქმა“; ბ) პოტენციალისის მაწარმოებლად: ისგზ'ლანძჟ ედტ ჟგდ — რაღაცის თქმა მისთვის (ქ.) ვერ შევძელი.

მაგალითები:

საპ შან ჟგდ დძზ'პ ანგ დგნტ აზ „როდესაც ჩემი და დანიშნული იყო“.

ფსგშ ალა ძსგზ'პ ა „აფხაზურად მითხარი“.

სისინ-შიშინა ფშვინვეერი სპირანტი **ს'**:

აფს'ნგ „აფხაზეთი“, აფჰგს' „ქალი“.

მაგალითები:

აფს'ნგ ძანგწგზ ჰანუპ ჰარან „ჩვენ აფხაზეთიდან ვართ გამოსულები“.

ჟგდ ფჰ გს' კ'ანჰგ შოჟჰ „ის ქალი დაბალია“.

ფერიელ აფხაზთა მეტყველებაში სისინ-შიშინა თანხმოვნები ფონემებად ვეღარ ჩაითვლება. ერთისა და იმავე პირის მეტყველებაში სისინ-შიშინა თანხმოვანთა გვერდით შეიძლება შეგვხვდეს ჩვეულებრივი ვარიანტები: ახანწ'ა/ახანწა, „კაცი“ აფს'რა/აფსრა „სიკვდილი“.

ანგისელთა მეტყველებაში, ისევე როგორც აფხაზური ენის აბჟუურ დიალექტში, სპეციფიკური სისინ-შიშინა თანხმოვნები არ არის. მათ ცვლის შესაბამისი სისინა **ძ, ც, წ, ზ, ს**. ანგისელთა მეტყველებაში სპირანტი **ს'** შეცვლილია შიშინა **შ** ვარიანტით. ფერიაში გვხვდება: აფს'ნგ, ანგისაში — აშგქ ს/ასგქ ს „წელიწადი“.

ასეთი ორმაგი შესატყვისობა ფშვინვეერი სისინ-შიშინა ბგერისა არის აბჟუურში და ბზიფური დიალექტის ააციის თქმაში.

ლაბიალიზებული სისინ-შიშინა სპირანტები ანგისასა და ფერიაში არ გვხვდება. აბჟუურის მსგავსად, აქ ისინი შეცვლილია ლაბიალიზებული შიშინა **ზ ს** -თი: აჟ „ძროხა“ (შდრ. ბზიფ. აზ') ჟ ბან „ცხრა“ (შდრ. ბზიფ. ზ' ბან). (კილბა 1983: 12).

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში სისინ-შიშინა თანხმოვნები არ დასტურდება.

ხშულთა ფარინგალური რიგი

ხშულთა ფარინგალური რიგი, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, აქაც დეფექტურადაა წარმოდგენილი. არც ერთ დიალექტში მჟღერი წვერი სამეულისა არ ჩანს. ფშვინვიერი **ხ** თავისი ლაბიალიზებული კორელატით **ხ** შენარჩუნებულია მხოლოდ აბაზურ დიალექტებში. აბჟურში ისინი დაემთხვენენ უკანაენისმიერ სპირანტებს **ხ**, **ხ**, ბზიფურში **ხ ხ** -საგან ჩამოყალიბდა ახალი ფარინგალური **ხ ხ**.

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში შენარჩუნებულია ბზიფური ველარულ-ფარინგალური სპირანტები **ხ ხ**, რომლებიც ფარინგალური ფშვინვიერი ხშული ხ-სა და მისი ლაბიალური ხ-ს რეფლექსები არიან.

ხ: ახანწა „კაცი“; ახგ II ახან „თავი“; აუგხა „იმ დამით“.

ხ : ახ გფხა „აღზრდილი“; ანხ ა „დედამთილი“; აბხ ა „მამამთილი“.

მაგალითები:

1) ძგზლან საანდა დანადრ ლთახან, ახან სან ა ანთგზა დღსყ აწნგ დცმდტ „ალს წყლის ქალს“ უნდოდა ჩემთან მოახლოება, მაგრამ როცა ხმალი ვიშიშვლე, იგი (ქ.) წავიდა, მე დამტოვა რა“.

2) ანხ ედ თანცეა დედბერგ ანდტ — „დედამთილი და რძალი წაეკიდნენ ერთმანეთს“.

მაგრამ ეს ბგერები **ხ** და **ხ** უფროსი თაობის ფერიელთა მეტყველებაშია. ანგისაში და ფერიის ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში **ხ ხ** -შია გადასული. ასეთი მოვლენა აბჟურსაც ახასიათებს **ხ ხ** -ს გვერდით შეიძლება **ხ ხ** გაიგონოთ.

აფხაზურ-აბაზური დიალექტებისათვის დამახასიათებელი, ენობრივი მოვლენა **ჟ > ჭ** აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ფერიულ მეტყველებაშიცაა გავრცელებული. მაგრამ აქ ეს ფონეტიკური პროცესი არ არის დამთავრებული, ისე როგორც აბაზური ენის ტაპანთურ დიალექტში (კილბა 1983: 13).

ფონეტიკური პროცესები

დელაბიალიზაცია

დელაბიალიზაციის პროცესი აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში ინტენსიურია. იგი მოსდით წინაენისმიერ ხშულ **ღ**, **თ**, **ტ** -სა და ლარინგალურ სპირანტ **ჰ** -ს. დაფიქსირებულია აგრეთვე უკანაენისმიერ ხშულებში **გ**, **ქ** -ს გადასვლა **გ**, **ქ** -ში.

ღ > დ :	ადგქ ლარა	(< ად გქ ლარა)	„გამგზავრება“.
	ადგლწრა	(< ად გლწრა)	„გამოდრომა“.
თ > თ :	ათათარან	(< ათათ არა)	„ჩასხმა რაიმეში“.
	ათრა	(< ათ რან)	„ავსება“.

ტ -ს დელაბიალიზაცია აბჟუურსა და ბზიფურს არ ახასიათებს, აქ კი გვხვდება:

ტ > ტ :	ანტატ	(< ანტატ)	„საჭმელი“.
	ატარან	(< ატ არან)	„დაჯდომა“.

ისევე როგორც ბზიფურში, აქაც ლარინგალური სპირანტის **ჰ** -ს დელაბიალიზაცია ხდება სიტყვაში აჰ არან „თქმა“ და ამ ზმნის ძირში ჰჰ ან > ჰა („-თქო, -მეთქი“-ს მნიშვნელობით.

ქ > ქ :	დგქუტან	(< დგქ ტ ან)	„ის (ქ, მკ.) რალაცაზე იჯდა“.
	არგცჰაქა	(< არგცჰაქ ა)	„საცოდავები“.
	ახ გჰქა	(< ახ გჰქ ა)	„ბავშვები“.

(კილბა 1983: 17)

ანუ დელაბიალიზაცია მოსდის მრავლობითობის **ქა** სუფიქსს. ასეთი ფაქტები ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში მრავლადაა, რომელთაც დართული ტექსტების სახით წარმოვადგენთ იხ. ტექსტები: 3), 10), 12).

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში სხვა სახის დელაბიალიზაციაც შესაძინეია.

თუ ლაბიალიზებულ **გ**, **კ**, **ხ**, **ყ** -ს წინ უსწრებს ან მოსდევს **ა** ხმოვანი, იგი ხშირ შემთხვევაში ლაბიალიზებულ ბგერათა გავლენით **ო** -ში გადადის: აგ არა > აგ ორა „ეზო“ ახ აშა > ახ ოშა „პარასკევი“...

ეს პროცესი დელაბიალიზაციამდეც მიდის: გ > გ: აგ არა > აგ ორა > აგ ორა „ეზო“; აგ აღშან > აგ უოლშან > აგ ოლშან „გველეშაპი“; კ > კ: აკ არა > აკ ურა > აკ ორა „ნაკადული“, აკ ან > აკ უან >

აკრც „ხორცი“; ხ > ხ: ახ აშა > ახროშა > ახრშა „პარასკევი“; ყ > ყ: აყ აყ ა > აყყყო > აყოყო „ზურგი“; ზ > ზ აზხ ა > აზხუო > აზხო „მამთილი“.

ბზიფური დიალექტის მსგავსად, ლაბიალიზებული ლარინგალური სპირანტი **ჰ** დიფთონგში იცვლება ნახევარხმოვან **ფ**-თი; აჰნათ > აფნათ „სახლი, ოჯახი“, ყ ეშაჰკ > ყ ეშაჰგ „თერთმეტი კაცი“.

ფერიელ აფხაზთა მეტყველებაში არის სიტყვა აუგრა II აუგრ „სორო, ბუნაგი“, რომელიც ალბათ მიღებულია აფხაზური ათგრა-დან, აბაზ. გვარა, მიღებულია ვ(<გ/ვ) ლარინგალური არტიკულაციის შესუსტებით (კილბა 1983: 19).

მაგარ თანხმოვანთა დარბილება

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში შეიმჩნევა მაგარ თანხმოვანთა დარბილების ტენდენცია: რბილდება აფრიკატები **ჩ**, **ჭ**, სპირანტი **შ**, სონანტი **ლ**:

ჩ > **ჩ**: აჩგ > აჩგ „ცხენი“; აჩნგ > აჩნგ „იმ დღეს“.

ჭ > **ჭ**: აჭანპა > აჭანპა „მუნჯი; აჭგ > აჭგ „პირი“.

შ > **შ**: აჰშა > აჰშა „სამშაბათი“; ანშ > ანშ „რძე“.

ეს მოვლენა შესაძლოა ქართულის გავლენით იყოს მომხდარი, რადგან ქართულში მაგარი კორელატები აღნიშნულ თანხმოვნებს არ გააჩნია (კილბა 1983: 20).

ასევე დარბილებულად გამოითქმის **ლ** სონანტი, მაგრამ არა ისე, როგორც რუსული . მას უკავია თითქოს გარდამავალი პოზიცია აფხაზურ **ლ-სა** და ქართულ **ლ-ს** შორის.

ლ > **ლ'** დგღემტ > დგღ'ემტ „ის (მკ.) ადგა“; აღნიშ ა > აღ'ნიშ ა „თვისება“.

თანხმოვანთა ამოვარდნა

თანხმოვანთა ამოვარდნა (ზოგჯერ მარცვლისაც) გავრცელებულია ფერიელ აფხაზთა მეტყველებაში: უბან (< უბართ) „ისინი“, ათ (< ართ) „ამათი“.

სუბსტიტუცია

ფერიელ აფხაზთა მეტყველებაში გავრცელებულია ფონემათა შენაცვლება: **მ** || **ნ**

ამაც კგს || ანაც კგს „ნეკი“.

აფგმწა || აფგწა „ცხვირი“.

ნ || ლ

აღაყ ა || ალაყ || ანაყ „ნისლი“.

რ || ლ

აკ აკ ალ || აკ აკ არ „კვერი“.

ბ || მ

აბ გლმეჩაბა || აბ გლბეჩაბა „სალამოს“.

ყ || კ

დანდტუ ლკგნტ ალგკ დაჰანტ < დანდტუ ლყგნტ
ალგკ დაჰანტ „მისი (მკ.) ბებიისაგან ზღაპარი მოისმინა“.

ქ || ზ

აძზარა || აძძარა „შეკრება“; ამგძ || ამგზ „მთვარე“.

ჩ || შ

უახგდ-შნგდ || უახგდ-ჩინგდ „დღე და ღამე“.

ჰ/(აჰ; ჰა) > აა

პირველი პირის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი **ჰ** ა ხმოვანთან შეხვედრისას **ა**-ში გადადის და ვიღებთ ორ **ა**-ს ან გრძელ **ა**-ს. ეს მოვლენა, რომელიც აბჟუურისათვისაა დამახასიათებელი, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში უფრო მკვეთრად ვლინდება:

აჩგჯრა თაანგალოდტ (შდრ. თაჰგალოდტ) „ჩვენ ვიღებთ მოსავალს“

ჰ ⇌ ხ̄ || ხ

ჰაწლაჰ ა ხარაკტუბ || ხ̄არაკტუბ (ფერ.) „ჩვენი ხეები მაღალია“ ასეთი გადასვლა დაფიქსირებულია მხოლოდ სიტყვაში „სიმალღე“ ამის გვერდით ფერიულში არის **ხ** (< ხ̄) ახან „მაგრამ“ კავშირში:

სარან დასჰ რნ, აჰა (< ახ̄ა) იმაჰანტ „მე ვუთხარი მას ის, მაგრამ მან (მკ.) ვერ გაიგონა“.

ზოგჯერ სიტყვაში ახგ „თავი“, **ხ**-ს ნაცვლად **ჰ** ისმის:

ჰანკ უგფშინგ შ ჰანკ (< ახ̄ა) ჟ̄ხ̄ჩგ! „ერთი თავის (აღამიანის) გაფრთხილებით ასს გაუფრთხილდი! (ანდაზა)

ჰ || ყ

აყ ასან || აჰ ასან (ფერ.) „ალუჩა“.

აყ გზბა || აჰ გზბა (ფერ.) „დანა“.

მეტათეზისი

ზერნაკ < || ზენრაკ (ანგ.) „ერთი ზამთარი“.

მანდრგს მედრგტუბ (მარიოტუბ) „მას ადვილი მისამართი აქვს“.

აჰაფშან > || აფშანჰ „ქვევრი“.

ბგერათა განვითარება უ-ს წინა პოზიციაში

ფერიელ აფხაზთა მეტყველებაში გვხვდება ფორმა აღ გლ (< ატგლ) „უღელი“. ე. ი. ლ განვითარდა უ-ს წინ. აქვე დაფიქსირდა გ-სა და კ-ს განვითარება ორ სიტყვაში: აცტუტარა „გამოცანა“ და აღტკ || > აღტუგალი“.

სიტყვაში აცტუტარა უ-ს წინ გ ვითარდება, აცტუტარა... „გამოცანა“.

აღჟა || აღჟუ > აღჟკუ: აგ ლშანპ აშცა აღჟკუ აჟანგ მახატტუბ — გველეშაპი ცეცხლის ალთან იჭდა.

კონსონანტურ კომპლექსთა გამარტივება

მანშაძტტ (შდრ. მანშაძტტ) „არ კითხულობდნენ, გაუნათლებელი იყვნენ“.

რზემშააძტ (შდრ. რზემშააძტ) „ვერ მოუნახეს“.

დგმსტტ (შდრ. დგმფსტტ) „არ კვდებოდა“.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ფხ, ფშ, ფს კომპლექსთაგან იკარგება ფ სონორთან მოხვედრისას — ამ შემთხვევაში უარყოფითობის მ-სთან (კილბა 1983: 24).

თანხმოვანთა ასიმილაცია

თანხმოვანთა ასიმილაციას აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში ფართო გასაქანი აქვს, ისევე როგორც საერთოდ აფხაზურში (პროგრესულსაც, რეგრესულსაც, კონტაქტურსაც, დისტანციურსაც).

ფერიულში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც 1) მყდერი თანხმოვნების წინ არ ხდება ყრუთა ასიმილაცია: სდარუეძტ (შდრ. /-ძგ/ზდგრუეძტ) „ვიცი“; აჰ გზბა (შდრ. აჰ გზბა) „დანა“; 2) არ ხდება

მჟღერის დაყრუება ფშვინვიერის წინ: დაგ^ჲგსთგწრმ (შდრ. აფხ. დაგ^ჲგზთგწრმ) „ვერც გამოძვრება“; დგსთახგმ (შდრ. დგზთახგმ) „ვი-საც ის არ უნდა“; სგშთახ^ჲბგსტგმ? (შდრ. სგშთახ^ჲბგზტ გმ?) „რატომ დაჯექი ჩემს შემდეგ შენ (ქ.)“?

ა) ა > გ შეცვლა მახვილიან მარცვალში

ფერიულში, განსხვავებით ანგისურისაგან, გავრცელებულია ა > გ ღია და დახურულ მახვილიან მარცვალში. ასეთი მოვლენა აფხაზურის დიალექტებში ხდება, მაგრამ ფერიულში ამ მოვლენას სისტემატური ხასიათი ეძლევა: ძლაბტ (ანგ. ძლაბა, იკტუბ) „ჯოხი უჭირავს“; ანც ტ (ანგ. ანც ა) შ გდნტპ ააძტ! „ღმერთმა დაგლოცოთ!“; აც გზტსთა ძც ტ (ანგ. ძც ა) ძმმოტუბ „მას სხეულზე იარა აქვს“.

ბ) ა > გ შეცვლა დახურულ მახვილიან მარცვალში

ანხტრა (ანგ. ანხტრა) „მეურნეობა“; სტტცა (ანგ. სთატცა) „რძალი“; ძგლბტზააძტ (ანგ. ძგლბზააძტ) „ენახა მას ის (ქ.)“.

ეს მოვლენა ბზიფურისათვის არის დამახასიათებელი, ფერიულში კი უფრო ინტენსიური ხასიათის აქვს.

ა-ს შენახვა მახვილიან მარცვალში

ფერიულში აღწერილ მოვლენათა გვერდით ხშირია ა-ს შენახვა ისეთ ფონეტიკურ გარემოში, როგორშიც ანგისურში, იგი გ-ში გადადის. მაგალითები:

ძხა-ძჰა ძგძ გძ გძტ (შდრ. იხგ-იჰგ) „თავ-სახე დაიბანა“.

ჯგა ძეიცძგძტ ატუნხა (შდრ. ატუნხა) „იმ ღამეს ტყულები გაჩნდნენ“.

ძლაშთალტ (შდრ. ძლგშთალტ) „ისინი გაეკიდნენ მას. (ქ.)“

სრულხმოვნობა

ფერიულში ხშირია სრულხმოვნობა, ანგისურში კი — რედუქცია იმავე მასალაში, ისევე როგორც აფხაზურში ზოგადად.

მაგალითები:

სან^ჲაშგჯ (შდრ. ანგ. სგხშგჯ) „მახსოვს“.

აკ ატგჟა (შდრ. ანგ. აკუტგჟ) „ქათმის ხორცი“.

აძ აშ ა ახაკტ (შდრ. ანგ. ახკტ) ძპ რნ „ერთი მღეროდა“.

აშხარული დიალექტის მსგავსად, ფერიულში შეიმჩნევა სრულ-ხმოვნობა გაორმაგებულ ფუძეებშიც:

მაგალითები:

დგჩჩგძტ (შდრ. ანგ. დგჩჩგ) „მან გაიცინა“.

აყ გდგრშაშაშ (შდრ. აყ გდგრშაშაშ) „ლობიოს კერძი“.

ანდა რშეშაშეშტ (შდრ. ანგ. რშეშაშეშტ) „ისინი წნავენ ღობეს“.

ხმოვანთა ასიმილაცია და რედუქცია

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში, ისევე როგორც აფხა-ზურ-აბაზურ დიალექტებში, ფართოდაა გავრცელებული ხმოვანთა ასიმილაცია და რედუქცია.

თუ ანგისურში ხმოვანთა პროგრესული და რეგრესული ასიმილაციაა გავრცელებული, ფერიულში ხმოვანთა როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი ასიმილაცია.

მაგალითად, ფერიულში საკავშირებელ **ჟ**-სთან **-ა** (ფუძის ბოლო ხმოვანი) **გ**-ში გადადის:

დარგჟ სარგჟ (< დარანჟ სარანჟ) „ის (მკ.) და მე“.

ლფგ ლარგჟ (< ლფანჟ ლარანჟ) „მისი ვაჟი და ის (ქ.)“

არანფც გჟ დარანგჟ (< არანფც აჟ დარანჟ) „არაბები და ისინი“.

ხანდახან **გჟ** გვაძლევს **ი** მონოფთონგს:

საშედჟჟაბი სარჩი (შდრ. საშედჟჟაბეჟ სარგჟ) „ჩემი უფროსი ძმა და მე“.

ა-ს რედუქციას **ჟ**-ის წინ ფართო გავრცელება აქვს ზმნებში:

ასტრლ დხარატ გჟტ (< დახატ აჟტ) „ისინი მაგიდას მიუსხდნენ“.

ანგისურ მეტყველებაში, ისევე როგორც აფხაზურ დიალექტებში, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ხდება რეგრესული ასიმილაცია (აჟ > ეჟ):
ჟარეჟ სარგჟ (< ჟარანჟ სარანჟ), დცჟტ (< დცანჟტ).

საინტერესოა „ძმის“ აღმნიშვნელი ლექსემა ფერიულში აჟშა (ჰანჟშა ზანჟ) „ჩვენი ერთადერთი ძმა“ ანგისურში აჟშა (კუთვნილებით ფორმაში — ჰანჟშ „ჩვენი ძმა“ **ჟ** დაიკარგა.

ფერიულში კუთვნილებით ფორმაში გვაქვს: სეჟშ „ჩემი ძმა“, ბეჟშ „შენი (ქ.) ძმა“ და ა. შ.

საერთოდ, ფერიულში ხშირია კავშირი ი-ს დაკარგვა:

ათგნჩრა ყალანატ, ანგურა ყამლანატ! „იყოს მშვიდობა, არ იყოს ომი!“

ანგისურში ასეთი რამ არ დასტურდება.

მახვილი

მახვილის მიხედვით აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველება თითქმის არ სხვაობს დანარჩენი აფხაზური დიალექტებისაგან, მაგრამ არის ზოგი გადახრა:

ნანდღუ (შდრ. აფხ. ნანდღუ) „ბები“.

ამაა (შდრ. აფ. ბზიფ. ამაა) „ფეხსაცმელი“.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში მახვილი მეორე მარცვალზეა ბოლოდან (როგავა 1963).

ასევეა ეს სხვა ენათაგან ნასესხებ მასალაშიც.

ფერიულში მახვილი ზოგჯერ იწვევს რედუქციას ფუძის შიგნით ან ბოლოში, ანგისურში კი დაცულია სრულხმოვნობა, თუმცა ფერიულს უფრო ახასიათებს სრულხმოვნობა.

მაგალითები:

ა) ფუძის შიგნითა ხმოვნის რედუქცია

აფსნგ ჰანწგჟთედ (ანგ. აფსნგ ჰანგწგჟთედ) აკგრ წწრდტ „დიდი ხანია, რაც ჩვენ გადმოვსახლდით აფხაზეთიდან“.

ბ) ფუძის ბოლო ხმოვნის რედუქცია

ჰარ (ანგ. ჰარა) ჰაუა აშთახ დაადტ „ჩვენი ხალხი მოგვიანებით მოვიდა“ (კილბა 1983: 10-33).

მორფოლოგია

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში ისევე, როგორც საერთოდ აფხაზურ ენაში გამოიყოფა მეტყველების ათი ნაწილი: 1. არსებითი სახელი, 2. ზედსართავი სახელი, 3. რიცხვითი სახელი, 4. ნაცვალსახელი, 5. ზმნა (მასდარი, აბსოლუტივი, მიმღობა), 6. ზმნიზედა, 7. თანდებული, 8. კავშირი, 9. ნაწილაკი, 10. შორისდებული.

განვიხილავთ თითოეულ მეტყველების ნაწილს ცალ-ცალკე. პირველ რიგში დავახსიათებთ არსებით სახელს ზოგადად აფხაზური ენისათვის ნიშანდობლივი მორფოლოგიური მახასიათებლებით. შემდეგ აღვნიშნავთ იმ განსხვავებას, რომელიც დასტურდება აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში არსებითი სახელის ამა თუ იმ კატეგორიის წარმოებისას.

1. არსებითი სახელი

აფხაზურ ენაში სახელი მარტივია ზმნასთან შედარებით. არსებით სახელს არ გააჩნია ბრუნება, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ კატეგორიის უქონლობა შეესებულება ენაში მოქმედი სხვადასხვა მორფოლოგიური საშუალებებით და ამით ხდება ბრუნვათა სისტემის უქონლობის კომპენსაცია.

ის, რაც სხვა ენებში სახელთა დერივაციით გადმოიცემა, აფხაზურში თავმოყრილია ზმნაში. ამით ხდება ენაში გარკვეული ბალანსირება კატეგორიებით ღარიბ სახელსა და კატეგორიებით მდიდარ ზმნას შორის; რის მორფოლოგიურ გამოხატვასაც სახელი ვერ ახერხებს, ის ზმნური კატეგორიებით გადმოიცემა.

აფხაზური ენის არსებითი სახელი განარჩევს 1. ზოგადობის 2. განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის, 3. გრამატიკული კლასის, 4. რიცხვის, 5. კუთვნილების, 6. გარდაქცევითობის, 7. ინსტრუმენტალისის, უქონლობის მორფოლოგიურ კატეგორიებს.

1. ზოგადობის კატეგორია, სალექსიკონო ფორმა

განსხვავებით სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათაგან, აფხაზურისათვის სპეციფიკურია არსებითი სახელის **ზოგადი** სალექსიკონო ფორმის არსებობა, რომელსაც **ა-** პრეფიქსი აწარმოებს. ასეთი ზოგადი ფორმე-

ბი არსებითის გარდა აქვთ აგრეთვე ზედსართავ სახელებს, მასდარს, ერთი ტიპის მიმღეობებს, ზმნისართთა გარკვეულ ნაწილს.

ზოგადი ფორმის ა- პრეფიქსი დაერთვის როგორც ძირეულ, ისე ნასესხებ სიტყვებს. თუ სიტყვის ფუძე იწყება ე, ი, ო, უ ხმოვნებით, დ და ჭ ნახევარხმოვნებითა და თანხმოვნებით, მაშინ ა- პრეფიქსი მუდამ უცვლელად იქნება წარმოდგენილი: ა-ხაწა „კაცი“, ა-ზნე „სახლი“, ა-მუჩა „მუქთახორა“.

თუ სიტყვა ფუძისეული ა- ხმოვნით იწყება, მაშინ ზოგად ფორმაში ხდება ფუძისეული ხმოვნისა და პრეფიქსის შერწყმა ერთ ა ხმოვნად: „*ა-და-ბა > *ა-აბ > აბ „მამა“, *ა-დანა > *ა-ან > ან „დედა“ და სხვ.

ორი ა ხმოვნის შემთხვევაშიც ფუძის თავში ზოგადი ფორმის ა- პრეფიქსი შეერწყმის წინ მდგომს და სამი ა-ს ნაცვლად მაინც ორი ა- ხმოვანი დარჩება: ანდა „ლობე“, ანმთა „დრო“, აამგსთა „აზნაური“.

2. განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია

ზოგადი ფორმის ა- პრეფიქსიანი სახელები ითავსებენ **განსაზღვრულობის** გადმოცემის ფუნქციასაც და აღნიშნავენ განსაზღვრულ, ცნობილ საგანსა თუ მოვლენას: აჩუგ „ცხენი“, აწ ა „ვაშლი“, აწკ „კაბა“...

ა- პრეფიქსი გვხვდება აფხაზურ გვარსახელებშიც: ამარშან „მარშანიას გვარის (ეს) ადამიანი“, ა-ბლაჟ ბან „ბლაჟ ბას გვარის (ეს) ადამიანი“.

განუსაზღვრელობით კატეგორიაში ზოგად სახელს ჩამოშორდება ხსენებული ა- თავსართი, თუ იგი ფუძის კუთვნილებას არ წარმოადგენს, ან: ბოლოს დაერთვის -კ განუსაზღვრელობითი სუფიქსი, რომელიც აკვ „ერთი“ რიცხვითი სახელის ძირიდან უნდა მომდინარეობდეს (ლომთათიძე 1974-1975).

ჩუგ „რომელიდაც ცხენი“, წ აკ „რომელიდაც ვაშლი“ წკკ „რომელიდაც კაბა“, მაგრამ ან „დედა“- ანკ „რომელიდაც დედა“, აბ „მამა“ — აბკ „რომელიდაც მამა“, რადგან ა- ამ სიტყვებში ფუძისეულია.

3. გრამატიკული კლასის კატეგორია

სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად აფხაზურშიც წარმოდგენილია **გრამატიკული კლასის** მორფოლოგიური კატეგორია, რომელსაც არსებითი სახელების გარდა განარჩევს რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ზმნა (აბსოლუტივი, მიმღეობა).

არსებითი სახელი განარჩევს **გონიერთა** (ადამიანისა) და **არაგონიერთა** (ნივთის) მორფოლოგიურ კლასებს.

გონიერთა (ადამიანის) კლასში შედის: 1. ადამიანის აღმნიშვნელი საზოგადო არსებითი სახელები: აჟაჟ „ადამიანი“, ახაჟა „კაცი“, აგ ჯლა „მეზობელი“... 2. საკუთარი სახელები: ახრა, კ ასთა, აგრა... 3. ეთნონიმები: აფსჟა „აფხაზი“, აქერთჟა „ქართველი“, აჟრგს „რუსი“... 4. ნათესაობის ტერმინები: ან „დედა“, აბ „მამა“, აფან „ვაჟიშვილი“... 5. ხელობის სახელები: აჟრ „მჭედელი“, ახაჟა „მწყემსი“, არაჟა „მასწავლებელი“... 6. ანთროპომორფულ არსებათა სახელები: ანცა „ღმერთი“, აჯსთა „ემმაკი“, აჯზლან „ალი“... ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სახელს დაესმის კითხვა **ღარბან?** „ვინ? რომელი?“.

არაგონიერთა (ნივთთა) კლასში შედის ყველა დანარჩენი სახელი, მიუხედავად იმისა, სულიერს აღნიშნავს თუ უსულოს: აჩაჟ „ცხენი“, აჩაჟდა „ვირი“, ამაჟა „მთვარე“...

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სახელს დაესმის კითხვა **ღარბან?** „რა? რომელი?“

ისევე როგორც სხვა იბერიულ-კავკასიური ენები, არც აფხაზური, განსხვავებით ინდოევროპულ ენათაგან, არ განარჩევს სახელთა გრამატიკულ სქესს.

არ აღინიშნება არსებით სახელებში არც კლასის მორფოლოგიური კატეგორია, იგი აქ მხოლოდ სემასიოლოგიურია, მაგრამ სახელთა მრავლობითი რიცხვი სხვადასხვაგვარად ეწარმოებათ ვინ- და რა- კლასის სახელებს (იხ. ქვემოთ). გრამატიკული კლასი მორფოლოგიურად განირჩევა მრავლობითობის, კუთვნილების კატეგორიებში, აგრეთვე ზმნათა პირ-კლასის აღმნიშვნელი აფიქსებით.

4. რიცხვის კატეგორია

მრავლობითის წარმოება აფხაზურში ნაირგვარობით გამოირჩევა. განსხვავებას ქმნიან ნივთისა და ადამიანის კლასებში გაერთიანებული სახელები.

ნივთის კლასის სახელის მრავლობითობის აღსანიშნავად გამოყენებულია **-ქა** სუფიქსი: ალა „თვალი“, ალაქა „თვალები“. თუ სიტყვას ბოლოში მოუდის მახვილი, მას მრავლობითობის სუფიქსი გადაიზიდავს. თუ სიტყვა მთავრდება ნეიტრალური გ- ნახევარხმოვნით, მრავლობითობის სუფიქსის დართვისას ეს გ ჩავარდება, რადგან მახვილს დაკარგავს: ანაპჟ „ხელი“, ანაპჟან „ხელები“, ახგ „თავი“, ახგან „თავები“.

ადამიანის კლასის სახელების მრავლობითობა გამოიხატება -ც ა სუფიქსით. ამ შემთხვევაშიც: თუ სიტყვის ბოლო მარცვალი მახვილიანია, ეს მახვილი სუფიქსზე გადაინაცვლებს: აფან „შვილი“ აფაც ან „შვილები“, აჭკ გენ „ბიჭი“, აჭკ გენც ან „ბიჭები“, აძღანბ „გოგო“, აძღანბც ან „გოგოები“...

საინტერესოა, რომ სიტყვებში: აბ „მამა“, აბაც ა „მამები“, ან „დედა“, ანაც ა „დედები“... ფუძისეული -ა ხმოვანი აღდგება მრავლობით რიცხვში.

განუსაზღვრელ ფორმაში სახელს მრავლობით რიცხვშიც ჩამოსცილდება განსაზღვრულობა-ზოგადობის -ა- ნიშანი, ხოლო განუსაზღვრელობითი -კ სუფიქსი კი დაერთვის მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსის შემდეგ: აჩჰ ა „ცხენები“ (ზოგადი ფორმა), ჩჰ აკ „რომელიღაც ცხენები (განუსაზღვრელი ფორმა).

განუსაზღვრელობით კატეგორიაში გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებენ ადამიანთა კატეგორიის სახელები. აქ სახელი დაირთავს -ც ა ადამიანთა კლასის მრავლობითობის აღსანიშნავ სუფიქსს და დამატებით -ქ ა ნივთთა კლასის მრავლობითობის აღმნიშვნელ სუფიქსსაც: ანსტუდენტც ა „სტუდენტები“ (ზოგადი ფორმა), სტუდენტც აქ აკ „რომელიღაც სტუდენტები“ (განუსაზღვრელი ფორმა), აძღანბც ა „გოგოები“, ძღანბც აქ აკ „რომელიღაც გოგოები“, აფაც ან „შვილები“, ფაც აქ აკ „რომელიღაც შვილები“.

გონიერთა კლასში შემავალი ზოგი არსებითი სახელი დაირთავს მხოლოდ არაგონიერთა კლასის -ქ ა სუფიქსს: აპ სა-ქ ან „ქალები“, ახ გჰ-ქ ა „ბავშვები“.

წარმომავლობის სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ხშირია ოდენ -ქ ა სუფიქსის გამოყენება -ც ა-ს პარალელურად: აურგსქ ა II აურგსც ა „რუსები“, აქერთქ ა II აქერთც ან „ქართველები“.

არსებით სახელთა **კრებითობა** გადმოიცემა -აა სუფიქსის მეშვეობით, რომელიც ძირითადად გამოიყენება გვარსახელის, ტომის წარმომადგენელთა ან წარმომავლობის სახელთა კრებითი ფორმის საწარმოებლად: აბჰჟუ-ან „აბჰჟულები“, აყ -ან „სოხუმელები“, აფსუ-ან „აფხაზები“...

ზოგ სიტყვას მრავლობითი თავისებურად აქვს ნაწარმოები: აჟჰჰ „ადამიანი“ აჟან „ადამიანები“. ტაპანთურში: აჟჰან, აა < ჰა.

აა-კრებითი მრავლობითის მწარმოებელი გვხვდება აფხაზური წარმოშობის გვარებში სიმრავლის, კრებითობის გამოსახატავად. თარბა, დელ-ბა, აშ-ბა... **ბა < ფა** „შვილი“ ფუძისაგან; ახლავს სახელს მხოლოდობით რიცხვში. ზოგჯერ ბა-ს ადგილას გვხვდება -ფა ან -პა: პატრე-პა

„პატე-შვილი“. მრავლობითობის წარმოებისას ხსენებული **-ბა, -პა** სუფიქსი ჩამომორდება გვარს და მის ადგილს დაიჭერს **-აა** სუფიქსი: თარ-ბა, თარ-აა, დელ-ბა, დელ-აა.

კრებითობის მაწარმოებელია აგრეთვე რთული **-რა-ჭა > რა-აა > რაა** სუფიქსი: ბესიკ-რაა „ბესიკი და მისიანები“ დად-რაა „პაპა“ (მომართვისას, გადმონაშთია გვაროვნული თემური წყობილებისა).

ცხოველ-ფრინველთა ნაშეირების ან მცირე ზომის საგანთა **-ს** სუფიქსიან სახელებს მრავლობითში **-ს** ჩამოსცილდება და მის ადგილას დაერთვის **-რ(ა)** სუფიქსი: არფგს „ჭაბუკი“, არფარა „ჭაბუკები“, ასგს „ბატკანი“, ასარა „ბატკნები“, აჰ გს ხბო“, აჰ არა „ხბორები“.

-ს დემინუტივის სუფიქსი, ქ. ლომთათიძის აზრით, მომდინარეობს აწგს „ჩიტი“ სიტყვისაგან (ლომთათიძე 1991).

ამრიგად, აფხაზურში მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსებია: **-ქ ა, -ც ა, -აა, -რა, -რაა < რ+აა < ა+ჭა**.

5. კუთვნილების კატეგორია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზურს არ მოეპოვება ბრუნვათა სისტემა, მათ შორის ნათესაობითი ბრუნვა. ის, რაც სხვა ენებში გამოიხატება ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით, (ე. ი. **კუთვნილება**) აფხაზურში გამოიხატება პირ-კლასის ნაცვალსახელებიდან მომდინარე პრეფიქსებით.

სახელთა კუთვნილების კატეგორია აფხაზურში სახელის ფუძეზე ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსთა დართვით იწარმოება. კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელური პრეფიქსებია:

	მხ. რ.	მრ. რ.
I პირი	ს(გ)-	I პირი ჭ(ა)-
II პირი	$\left\{ \begin{array}{l} \text{ჟ(გ)- (მკ. კლ.)} \\ \text{ბ(გ)- (ქ. კლ.)} \end{array} \right.$	II პირი უ(გ)-
III პირი	$\left\{ \begin{array}{l} \text{ძ(გ)- (მკ. კლ.)} \\ \text{ლ(გ)- (ქ. კლ.)} \\ \text{ა- (არაგ. (ნივთის) კლ.)} \end{array} \right.$	III პირი რ(გ)-

ამ პრეფიქსთაგან მხოლოდითი რიცხვის მეორე და მესამე პირთა პრეფიქსები განარჩევენ მფლობელის გრამატიკულ კლასს. მეორე პირში ერთმანეთს უპირისპირდება მამაკაცისა და ქალის ქვეკლასები, ხოლო მესამე პირში — მამაკაცის, ქალისა და არაგონიერთა (ნივთის) ქვეკლასები. მეორე პირში **ჟ(გ)** პრეფიქსი აღნიშნავს მხოლოდ მამრობითი სქესის ადამიანებს. უფრო კონკრეტულია დანაწილება მესამე პირში: **ა(გ)**- პრეფიქსით აღინიშნება მამაკაცი და მამრობითი სქესისად გაგებული ანთროპომორფული არსებანი (ღმერთი, ანგელოზი, წინასწარმეტყველი, ეშმაკი, ქაჯი, ტყის კაცი), **ლ(გ)**- პრეფიქსით აღინიშნება ქალი და მდედრობითი სქესისად მიჩნეული ანთროპომორფული არსებანი (ღვთისმშობელი, ალი, ტყის ქალი...), ხოლო **ა**- პრეფიქსი აღნიშნავს ყველა არაგონიერ არსებასა და მოვლენას, მიუხედავად იმისა, სულისერია მფლობელი, თუ უსულო:

მხ. რ.		მრ. რ.
I პირი	ს(გ) -შ ყ გ „ჩემი წიგნი“	I პირი ჰა -შ ყ გ „ჩვენი წიგნი“
II პირი	$\left\{ \begin{array}{l} \text{ჟ(გ)}\text{-შ ყ გ „შენი (მკ.) წიგნი“} \\ \text{ბ(გ)}\text{-შ ყ გ „შენი (ქ.) წიგნი“} \end{array} \right.$	II პირი შ გ -შ ყ გ „თქვენი წიგნი“
III პირი	$\left\{ \begin{array}{l} \text{ა(გ)}\text{-შ ყ გ „მისი (მკ.) წიგნი“} \\ \text{ლ(გ)}\text{-შ ყ გ „მისი (ქ.) წიგნი“} \\ \text{ა}\text{-შ ყ გ „მისი (არაგ./ნივთ.) წიგნი“} \end{array} \right.$	III პირი რგ -შ ყ გ „მათი წიგნი“

ნათესაობითი ბრუნვის (კუთვნილების გამომხატველი) პრეფიქსი მიერთვის არა მსაზღვრელს, არამედ საზღვრულს პრეფიქსად: აძღაბ ლ-ნაპე „გოგოს ხელი“.

თუ სიტყვას მახვილი მოუდის ზოგადობის **ა**- პრეფიქსზე, მაშინ კუთვნილებითი პრეფიქსები **გ**- ნახევარხმოვნითაა წარმოდგენილი: ალა „თვალი“ სგლა „ჩემი თვალი“, მაგრამ აღნ „ძალი“, სლა „ჩემი ძალი“.

6. გარდაქცევითობა

არსებით სახელთა **გარდაქცევითობის** ფორმები ასრულებს ქართული ენის ვითარებითი ბრუნვის ფუნქციას, თუმცა ბრუნვა არ არის. იგი იწარმოება ზოგადობის **ა**- პრეფიქსის გარეშე წარმოდგენილ ფუძეზე **ს** სუფიქსის დართვით: ა-ხწწა „მამაკაცი“, ხაწწ-ს „მამაკაცად“, ა-ბჯან „იარალი“, ბჯან-ს „იარალად“, აჟან „ვალი“, ჟან-ს „ვალად“.

7. ინსტრუმენტალისი

ინსტრუმენტალისი იწარმოება სახელის ზოგადობის **ა-** პრეფიქს-ჩამოცილებულ ფორმაზე **-ლა** სუფიქსის დართვით. ეს ფორმა ქართულად ვითარებითი ბრუნვით გადმოიცემა: ა-ნაპგ „ხელი“, ნაპგ-ლა „ხელით“, აშაპგ „ფეხი“, შაპგ-ლა „ფეხით“, ა-ჩაგ „ცხენი“, ჩაგ-ლა „ცხენით“.

სახელების მრავლობით რიცხვში **-ლა** „დამოუკიდებელ ფუძედ“ იქცევა და დაირთავს მრავლობითი რიცხვის კუთვნილებით რგ- პრეფიქსს, ხოლო არსებითი სახელი წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით: ანაპ-ქ ა რგ-ლა „ხელებით“, აშაპ-ქ ა რგ-ლა „ფეხებით“, აჩა-ქ ა რგ-ლა „ცხენებით“.

ასევე ფორმდება **-ლა** ელემენტი ნაცვალსახელებთან და საკუთარ სახელებთან ერთად ხმარებისას: სარან სგ-ლა „ჩემით“, უარა უგ-ლა „შენით“ (მკ.), ალიას დგ-ლა „ალიასის მეშვეობით“.

8. უქონლობის კატეგორია

უქონლობას გამოხატავს **-და** სუფიქსი, რომელიც სახელის ფუძეს დაერთვის: ახგ „თავი“, ხგ-და „უთავო“, აჩაგ „ცხენი“ ჩაგ-და „უცხენო“, ავზგ „სახლი“, ვზგ-და „უსახლო“.

უქონლობის კატეგორიის წარმოებისას, ისევე როგორც ინსტრუმენტალისის კატეგორიაში, სახელს ზოგადობა/განსაზღვრულობის **ა-** პრეფიქსი ჩამოცილდება და მხოლოდ ამის შემდეგ ფორმდება **-და** უქონლობის სუფიქსით.

ამგვარ ფორმებს აფხაზურში ზმნისართული მნიშვნელობაც აქვს.

9. არსებით სახელთა სიტყვაწარმოება

აფხაზურში გვხვდება **ოდენფუძიანი, კომპოზიციით მიღებული** და **აფიქსაციით ნაწარმოები** არსებითი სახელები.

ოდენფუძიანია: აძგ „წყალი“, ახგ „თავი“, აწ ა „ვაშლი“ და სხვ.

კომპოზიციით (ფუძეთა შეერთებით) მიღებული არსებითი სახელები აფხაზურში მრავლადაა. გვხვდება ორ, სამ და მეტკომპონენტის კომპოზიტები.

1) ორკომპონენტის კომპოზიტებია: აბნაკ გტტ „ხობობი“ აბნა „ტყე“, აკ ტტ „ქათამი“, აც გმწ „კრაზანა“, აც „ხარი, ამწ „ბუზი“, ამ-ცაბზ „ალი“, ამც „ცეცხლი“, აბზ „ენა“.

ბ) პროფესიის, მოქმედის აღმნიშვნელი **-ჰ** სუფიქსი, რომელიც ადამიანის აღმნიშვნელ ძირს ემთხვევა: არწა-ჰ „მასწავლებელი“, აწა-ჰ „მოსწავლე“, აძსა-ჰ „მოცუტრავე“...

გ) თვისების, ჩვევის, მანერის ან ხერხის აღმნიშვნელი **-შა** სუფიქსი: აწაჰ-შა „ადამიანობა“, აყაზ-შა „თვისება, ხასიათი“, აძსა-შა „ცუტრავის ხერხი“...

დ) სამოქმედო საგნის ან დანიშნულების **-ტ** სუფიქსი, რომელიც ემთხვევა ა-ტ გ „საკუთრება“ სიტყვის ძირს: აწსუ-ტ „სამუშაო, გასაკეთებელი რამ“, აწა-ტ „საჭმელი“, აფთაგა-ტ „სათარგმნი“

ე) მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი **-გა** სუფიქსი: ახგს-გა „სასროლი (იარაღი)“, აჟგ-გა „ბარი“, არწა-გა „სახელმძღვანელო“

ვ) კნინობით-ალერსობითი სახელების **-ჟ** სუფიქსი, რომელიც უკავშირდება აჟ „ბებერი, ძველი“ სიტყვის ფუძეს: ათაჟ ა-ჟ „დედაბერი“, ალგა-ჟ „ბერიკაცი“, აგაძა-ჟ „ბრიყვი, სულელი“

ზ) ფამილარული მიმართვის **-ხეძტ** სუფიქსი, რომელიც მხოლოდ ადამიანის საკუთარ სახელებს დაერთვის: მანჩა-ხეძტ „ჩემო მანჩა“

თ) ნაშიერთა ან მცირე ზომის საგანთა მაწარმოებელი (დემინუტივის) **-ხ** სუფიქსი: ასტ-ხ „ბატკანი“, აძტ-ხ „თიკანი“, აჰტ-ხ „ხბო“

ი) ერთეულის, ცალის აღმნიშვნელი **-კ** სუფიქსი, რომელიც განუსაზღვრელობასაც გამოხატავს: ჩაგ-კ „ერთი ცხენი“, შყტ-კ „ერთი წიგნი“ ხაჰტ-კ „ერთი ქვა“

კ) ერთეულის, ცალის აღმნიშვნელი **-ც** სუფიქსი: ახაბტ-ც „ცალი კბილი“, აბღტ-ც „ცალი ფოთოლი“, აშხტ-ც „ერთი ფუტკარი“

ლ) სიმცირის აღმნიშვნელი **-ბა** სუფიქსი, რომელიც სიმცირისავე აღმნიშვნელ **-ხ** II > **ზ** სუფიქსს მოსდევს: ალან-ს-ბა „ლეკვი“, არფტ-ზ-ბა „ჭაბუკი“, აფჰტ-ზ-ბა „ქალიშვილი“...

მ) ეთნონიმთა, ტომის სახელთა ან სადაურობის მაწარმოებელი **-შა**, სუფიქსი, რომელიც ემთხვევა ადამიანის სადაურობის აღმნიშვნელ **-შა** ძირს: აფსგ-შა „აფხაზი“, აქგრთ-შა „ქართველი“, აგრტ-შა „მეგრელი“...

ნ) გვარსახელთა მაწარმოებლად თავდაპირველად ა-ფა „ვაჟი, ძე“ სიტყვის კუთვნილების პრეფიქსიანი ი-ფა „მისი (მკ.) ძე“ ფორმა დაერთვოდა ძირითად სახელს. ეს წარმოება რამდენიმე გვარსახელს დღესაც აქვს: ინალ-იფა „ინალის ძე“. დადალ-იფა „დადალის ძე“ შემდგომში იფა ელემენტი შეერწყა წინამავალ საკუთარ სახელებს, დაიკარგა კუთვნილების **ა-** პრეფიქსი, ხოლო **ფ-** თანხმოვანი გამჟღერდა. ამ გზით მი-

ვიღეთ **-ბა** სუფიქსი, რომელიც აფხაზურ გვარსახელთა უმრავლესობას აწარმოებს. ქ^ნტ^ნ-ბა, წ^ნტ^ნ-ბა, შ^ნტ^ნ-ბა... თუ **-ბა** სუფიქსიან გვარს მოსდევს ამ გვარის მამაკაცის სახელი, მაშინ **-ბა** სუფიქსი უჩინარდება:

ქალის აღნიშვნისას **-ბა** სუფიქსის ნაცვლად **-ფჰა** „ასული“ ფუძე ემატება გვარსახელის ძირითად ნაწილს: ქ^ნტ^ნ-ფჰა, წ^ნტ^ნ-ფჰა...

აფხაზური წარმოშობის რამდენიმე გვარს აწარმოებს კრებითობის **-აა** სუფიქსიც: აშ აწ-აა, ბარმეშ-აა, აბგაჯ-აა... სხვა შემთხვევაში ორი **ა** ხმოვნით გადმოიცემა ქართველური წარმოშობის გვარსახელები, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენაში **-ვა** დაბოლოებით გვხვდება: ჭითანაა < ჭითანავა, სიჭინაა < სიჭინავა...

ო) ადგილის აღმნიშვნელი **-თა** სუფიქსი: აგ **-თა** „შუა ადგილი, შუაგული“, აგ არ-თა „ქართა, საქონლის სადგომი“, ბზტგ-თა „ბზიფის ხეობა“.

ადგილის აღმნიშვნელია აგრეთვე რთული **-რ-თა**, **-ს-თა**, **თ-რა** სუფიქსები: აუსუ-რთა „სამუშაო ადგილი“, აც ართა „საწოლი“ აფხ^ნ-რთა „სამკითხველო“

პ) ტოპონიმთა მაწარმოებელი **-რგფშ** სუფიქსი, რომლის **-რ** თანხმომავანი შესაძლოა კუთვნილების პრეფიქსი იყოს, ხოლო **-ფშ** ელემენტის წარმოშობა გაუტკვეველია: დ-რგფშ „დურიფში“, ცანდ-რგფშ „ცანდრიფში“... ტოპონიმებს აწარმოებს აგრეთვე რთული **-რ-ხ ა** „მათი გორა, მათი ბორცვი“ ნახევარსუფიქსი: ჯგ-რხ ა „ჯირხვა“, ბლაბგ-რხ ა „ბლაბურხვა“... ორიოდ ტოპონიმში დასტურდება აგრეთვე **-გნ** || **-ნგ** სუფიქსი: აფს-ნგ „აფხაზეთი“, აგგრ-ნგ „სამეგრელო“, ბზტგ-გნ „ბზიფის აფხაზეთი“.

ჟ) ნაშრომის, ნაკეთობის აღმნიშვნელი **-მთა** სუფიქსი: ავგ-მთა „ნაწერი, თხზულება“, აუსტ-მთა „ნაშრომი“, აყაწა-მთა „ნაკეთობა“

რ) მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი **-ლ** სუფიქსოიდი: არბა-ლ „მამალი“, აკ ტა-ლ „კვერცი“ სიტყვაშიც.

ს) სნეულების აღმნიშვნელი **-ხ** სუფიქსოიდი, რომელიც **ან^ნაა** „ტკივილი“ სიტყვის ძირს უკავშირდება: ახგ-ხ „თავის ტკივილი, შაკიკი“, ამღგ-ხ^ნ „მუცლის ტკივილი“, აგ გ-ხ^ნ „გულის ტკივილი“

ტ) ვაზის აღმნიშვნელი სუფიქსოიდი **-ჟ**, რომელიც აჟ „ყურძენი“ სიტყვას უკავშირდება, აპ გპ გ-ჟ „მტრედყურძენი“ აძნგ-ჟ „ზამთრის ყურძენი“, აძგ-ჟ „წყალყურძენი“ (გვანცელაძე 2003: 36-48).

არსებითი სახელის ზოგიერთი თავისებურება აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში

ინსტრუმენტალისი

აფხაზურ ენაში **-ლა** სუფიქსი, რომელიც ინსტრუმენტალისს გამოხატავს იშვიათად გვხვდება სახელებში, იგი თითქოს ცალკე მდგომ დამოუკიდებელ სიტყვადაც აღიქმება: აჩაქ ა რგ-ლა დ-ცეძტ „იგი ცხენით წავიდა“, ზმნაში მოცემული ეს აფიქსი შერწყმულადაა მოცემული: აჩაქ ა დ-რგ-ლა-ცეძტ „ცხენი [იგი] მით წავიდა“. ეს აფიქსი ჯერ კიდევ არ შერწყმია სახელს, როგორც ეს მოხდა ზმნისართებში: ჩგ-ლა „მხედრ, ცხენით“, ნაპგ-ლა „ხელით“, ჩგნ-ლა დღისით“.

ასეთივე ვითარებაა აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაშიც:

1. შ თაქ ა-ლა აფხგნ დაგზგყალომ „ერთი ყვავილით ზაფხული არ იქნება“

2. აჟ ა ა-ლა სტჟშმძტ „შენ მე სიტყვით მომკალი“

3. აძგ ღგროოჟბ ჩაგლა „მათ წყალი ცხენით უნდა გადაიარონ“

ამასთან ერთად აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში (ანგისას და ფერიას მეტყველებაში) დასტურდება ინსტრუმენტალისის **-ლა** სუფიქსის განსხვავებული ფუნქციით გამოყენება:

ა. სათანაო კატეგორიის პრეფიქსის **-ც**-ს ფუნქციით ზმნებში; ამასთან ერთად ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა ერთით მცირდება.

1. ლთგნხ ა ღ-ლა დ-კ აშონ „იგი ცეკვავდა ნათესავთან“ (შდრ. აფხ. ლთგნხ დ-ღგ-ც-კ აშონ)

2. ათ აჟაა რგ-ლა ანხგრა ყალომ „ამ ადამიანებთან ერთად ცხოვრება არ შეიძლება“ (შდრ. აფხ. რგ-ც-გნხგრა)

3. სეჟშ აგ-ლა დ-ცეძტ „ჩემს ძმასთან ერთად წავიდა“ (შდრ. აფხ. დ-ღგ-ც-ცეძტ)

ბ. ირიბი ობიექტის ფუნქციის შეთავსება ორპირიან გარდაუვალ ზმნაში, ორპირიანი ზმნის ერთპირიანად ქცევა.

1. ახაც ა რგ-ლა დ-ც აჟ ონ „ისინი კაცებს ელაპარაკებოდნენ“ (შდრ. აფხ. დ-რ-აც აჟ ონ)

2. შ ართ გგზგროთ რგლა შ ეგბაშე „თქვენ სხვებთან ომობთ“ (შდრ. აფხ. შ -რ-ეგბაშე)

3. ღეფჰ გს ლგ-ლა დ-ცეძტ „იგი თავის ცოლიანად წავიდა“ (შდრ. აფხ. დ-ლ-ცეძტ).

მსჯელობა ემყარება ე. კილბას ნაშრომს (კილბა 1983: 34-38).

გ. გამოიყენება აბსოლუტივის ნაცვლად:

1. აჰ დააჟეჟტ ღტრ რტ-ლა „მეფე ჯართან ერთად მოღის“ (შღრ. აფხ. ღტრ ღტმანტ)

2. ათანცა ახარა ა-ლა ღტზგრღტ „ცოღს ჟორწიღით მოვიყვან“ (შღრ. აფხ. ახარა ყაწანტ)

3. აშ აბტსთა ა-ლა ღტჟა „ჟამე ღომი ყვეღით“ (შღრ. აფხ. ღანტკღლანტ ღტჟ!)

მიუხედავად იმისა, რომ აჟარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში **-ლა** სუფიქსის ფუნქციები გაფართოებულია, იგი მაინც ვერ ჩამოყალიბდა როგორც ბრუნვა (ისევე, როგორც ეს აბაზურშია) იმდენად, რამდენადაც აფხაზურ დიალექტთა მსგავსად, აჟარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაშიც **-ლა** ფორმდება როგორც დამოუკიდებელი სიტყვა, რომელიც დაირთავს კუთვნილების პირ-კლასის აფიქსებს.

„თანამედროვე აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში **-ლა** მორფემის პარადიგმატიზაციის პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ არ არის დამთავრებული, რამდენადაც ამ აფიქსს შენარჩუნებული აქვს სიტყვის ნიშნები“.

ე. კილბა აღნიშნავს, რომ, **-ლა** ფორმანტის მსგავსად, აჟარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში მრავალფუნქციურობისაკენ მიდრეკილებას ამჟღავნებს ასევე **-ყნტ** თანდებული, რომლის მნიშვნელობაცაა „გამოსვლითობის“ აღნიშვნა.

თანდებული **-ყნტ**, რომელიც გაფორმებულია პირ-კლასის აფიქსებით, შეიძლება ითავსებდეს:

ა. ირიბი ობიექტის აღნიშვნას ორპირიან გარდაუვალ ზმნაში, ასევე სუბიექტის აღნიშვნას გარდამავალ ზმნაში:

1. ათანჟ აჟ ც ა რყნტ სემც აჟ ანტ „მე არ ველაპარაკებღდი მოხუც ჟალეზს“ (შღრ. აფხ. სტ-რ-მაც აჟ ანტ)

2. აჟტ აყტ ი დ-ხ ახტღტ „იგი დაიხრხო წყალში“ (შღრ. აფხ. დ-ან ახტღტ)

ამის გარდა, თანდებული — ყნტ შესაძლოა შეგვხვდეს ჟცევის ც პრეფიქსის ფუნქციით ზმნებში:

1. აზბაშრა აყნტ ჟშ რღტ „ჩვენ გვეშინია ომის“ (შღრ. აფხ. აზბაშრა ჟაც შ რღტ)

2. ბემშან სტფსრან აყნტ ი „შენ არ გეშინია ჩემი სიკვდიღის“ (შღრ. აფხ. სტფსრან ბაც ტმშ ან).

ბ. გარდაქცევითობა

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში, ისევე როგორც აფხაზურში, გარდაქცევითობის **-ს** სუფიქსი ერთვის სახელის ფუძეს და გამოხატავს გარდაქცევითობას:

1. ხ^ჲქს ძხარწარი უგჲ აჰკ გნ? „რა დაარქვეს იმ ბიჭს?“
2. ხ^ჲჩს დყარწგჲტ „მწყემსად აქციეს“

ფერიის მეტყველებაში გარდაქცევითობის სუფიქსი გვევლინება **-სა**-ს სახითაც:

1. უთახაზარი მგჰ სან უყარწგჲტ „თუ გინდა სიძედ გაქციე“
2. აძგ აადგჲტ პადარგასა „წყალი მოაქვს საჩუქრად“.

ნაცვალსახელი

ნაცვალსახელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აფხაზურ ენაში. პირის ნაცვალსახელებთან დაკავშირებული პრეფიქსების მეშვეობით გამოიხატება აფხაზურში სახელთა ე. წ. კუთვნილებითი კატეგორია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზურში არ არის ნათესაობითი ბრუნვა და საერთოდ ბრუნვები. ის, რაც სხვა ენებში გამოიხატება ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით (ე. ი. კუთვნილება), აფხაზურში აღინიშნება კუთვნილებითი პრეფიქსებით, ანუ პირის ნაცვალსახელებიდან მომდინარე ფორმანტებით.

კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელი და კუთვნილებითი ნაცვალსახელის შინაარსის გამოხატვა

მხ. რ.

I პ.	სარა	— ს(გ)	„მე“
II პ.	{	ურა	— უ(გ) „შენ“ (მკ.)
		ბარა	— ბ(გ) „შენ“ (ქ.)
III პ.	{	მარა	— მ(გ) „ის“ (მკ.)
		ლარა	— ლ(გ) „ის“ (ქ.)
		მარა	— ა „ის (ნ., არაგ.)“

მრ. რ.

I პ.	ჰარა	— ჰ(ა)	„ჩვენ“
II პ.	შარა	— შ(გ)	„თქვენ“
III პ.	დარა	— რ(გ)	„ისინი“

ყველა კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელი შედარებით იშვიათად შეიძლება გამოყენებული იყოს უფრო მარტივი ფორმითაც — რა-ს გარეშე სა „მე“, ტა „შენ“ (მკ.), ბა „შენ“ (ქ.), და „ის“ (მკ. და არაგ.) ლა „ის“ (ქ.), ჰა „ჩვენ“, შა „თქვენ“, და „ისინი“...

მრავლობითი რიცხვის ჰარა „ჩვენ“ და შ არა „თქვენ“ ნაცვალსახელების გვერდით გამოიყენება ჰართ „ჩვენ“ და შ ართ „თქვენ“.

„აფხაზური ენის გრამატიკაში“ (ნაწილი დამუშავებულია ხ. ბლაჟუბას მიერ) მითითებულია, რომ ჰარა-ს აქვს ინკლუზიური მნიშვნელობა: მოსაუბრე რთავს „ჩვენ“-ში მსმენელსაც, ხოლო ექსკლუზიური მნიშვნელობა, რომელიც მსმენელს გამორიცხავს, მიიღება პირის ჰარა „ჩვენ“ ნაცვალსახელზე -თ (ჰარ-თ) სუფიქსის დართვით (მდრ. აბაზ. ჰარაბარათ „ჩვენ შენ გარეშე“). ანალოგიურად იწარმოება მეორე პირის ფორმა შ არა „თქვენ“, შ არ-თ (მდრ. აბაზ. შ არაბარათ „თქვენ ჩემ გარეშე“ (აფხ. ენის გრამ. 1968: 35).

ქართული „სტუდენტის ხელი“ აფხაზურში იქნება ასტუდენტ დ-ნაპე... ქართულის ნათესაობითი ბრუნვის შესაბამისი სუფიქსი მიერთვის არა მსაზღვრელს, არამედ საზღვრულს პრეფიქსად: ქართ. ქალი-შვილ-ის ხელი — აფხაზური: აძლაბ ლ-ნაპე.

თუ სიტყვაში მახვილი მოდის ზოგადობის ა- პრეფიქსზე, მაშინ კუთვნილებითი პრეფიქსები გ-თია წარმოდგენილი:

	აღა	—	სგლა	„ჩემი თვალი“.
	აღა	—	სლა	„ჩემი ძალი“.
მაგ.	სარა	ს-აბ	დ-ნაპე	„მამაჩემის ხელი“.
	სარა	ს-ან	ლ-შაპე	„დედაჩემის ფეხი“.
	ტარა	ტ-ჟზა	დ-ხე	„შენი (მკ.) ამხანაგის თავი“.

ასე მიიღება კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელთაგან კუთვნილების შინაარსის მქონე ნაცვალსახელური პრეფიქსები აფხაზურში.

აფხაზურში დამოუკიდებელი მნიშვნელობის კუთვნილებითი ნაცვალსახელების უქონლობა ჩანაცვლებულია პირ-კლასის ნაცვალსახელთაგან მომდინარე ე. წ. „ლ“-ს რიგის პრეფიქსებით (იხ. ზემოთ).

ნაცვალსახელური კუთვნილებითი პრეფიქსები ემთხვევა შესაბამის კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელთა თავკიდურ ელემენტებს, გარდა ორი შემთხვევისა:

მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის კუთვნილებითი ა- პრეფიქსი განსხვავდება ნივთა (არაგონიერთა) კლასის მესამე პირის დარა „ის“ კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელის და- ძირისაგან. ეს ა- პრეფიქსი იკარგება სინტაგმიდან, თუ საზღვრული სიტყვის წინ უშუალოდ დგას ამ ნიშნით გადმოსაცემი მსაზღვრელი.

„აფხაზური ენის გრამატიკაში“ ყურდღებაა გამახვილებული (აფხ. ენ. გრამ. 1968: 34) აგრეთვე მრავლობითი რიცხვის III პირის კუთვნილებით **რ-** ნიშანზე, რომელიც არ ემთხვევა შესაბამისი დარა „ისინი“ ნაცვალსახელის თავკიდურა ელემენტ **დ-ს**.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დარა „ისინი“ უნდა მომდინარეობდეს „რარა“-დან და დისიმილაციის საფუძველზეა **რ-** მიღებული. ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია **დ-დ-რამ ოდტ || დ-რ-რამ ოდტ** „ისინი მარგლავენ“.

ამრიგად, პირველადი უნდა ყოფილიყო არა დარა, არმედ რარა (აფხ. ენ. გრამ. 1968: 34).

ქ. ლომთათიძის აზრით, III ბ.-ის მრ.-ის ნიშანი **დ-** უნდა ყოფილიყო ისტორიულად და არა **რ-**; **დ-** უნდა მომდინარეობდეს დარა ნაცვალსახელისაგან (ლომთათიძე 1945).

აფხაზურში კუთვნილებითი ნაცვალსახელის როლში ხშირად გვევლინება კუთვნილებითი ნაცვალსახელური პრეფიქსებით გაფორმებული **ა-ტ გ** „კუთვნილება, საკუთრება“ ან **ა-ხატ გ** „თავისი, პირადი“ ფუძეები:

სა(რა) ს-ტ გ	„ჩემი კუთვნილი“
ჟა(რა) ჟ-ხატ გ	„შენი (მკ.) კუთვნილი“ და ა. შ.

ჩვენებითი ნაცვალსახელი

ჩვენებითი ნაცვალსახელი აღნიშნავს მოსაუბრესთან ახლოს ან შორს მყოფობას. ჩვენებითი ნაცვალსახელიც შეიძლება შეგვხვდეს სრული ან შემოკლებული სახით:

მოსაუბრესთან ახლოს მყოფი: აბრი || არი „ეს“, აბართ || ართ „ესენი“.

მოსაუბრესთან მოშორებით მყოფი, ხილული: აბნი || ანი „ეგ, ის“, აბანთ || ანთ „ეგენი, ისინი“.

მოსაუბრესთან შორს მყოფი და უკვე ნაცნობი: ჟბრი || ჟბ „ის, იგი“, ჟბართ || ჟრთ „ისინი“.

ჩამოთვლილი ნაცვალსახელები ხშირად ენაცვლება III პირის კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელებს. შესიტყვებაში ყველა ჩვენებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელია და წინ უძღვის საზღვრულს. მაგ.: აბრი || არი ავნგ „ეს სახლი“, აბნი || ანი ავნგ „ეგ სახლი“, ჟბრი || ჟბ ავნგ „ის სახლი“, აბართ || ართ ავნგ ა „ეს სახლები“, აბანთ || ანთ ავნგ ა „ეგ სახლები“, ჟბართ || ჟრთ ავნგ ა „ის სახლები“ (გვანცელაძე 2003: 59).

კითხვითი ნაცვალსახელის შინაარსის გამონატვა

დამოუკიდებელი კითხვითი ნაცვალსახელი აფხაზურს არ გააჩნია. ამ მნიშვნელობით აფხაზური იყენებს ბა ძირს, „დ“-ს რიგის კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსებით გაფორმებულს:

სარბან სარა?	„მე ვინ, რომელი ვარ?“
ჟარბან ჟარა?	„შენ (მკ.) ვინ, რომელი ხარ?“
ბარბან ბარა	„შენ (ქ.) ვინ, რომელი ხარ?“
დარბან	{ დარა? ლარა? „ის (ადამ.) ვინ, რომელია?“
დარბან დარა	
ჰარბან ჰარა	„ის (ნ., არაგ.) რა, რომელია?“
შ არბან შ არა	„ჩვენ ვინ, რომელი ვართ?“
დარბან დარა	„თქვენ ვინ, რომელი ხართ?“
დარბან დარა	„ისინი ვინ, რომელი არიან?“

იგივე -ბა ძირია კითხვით სიტყვაში იზბან? „რატომ“, „რისთვის“, ეს ძირი ნაწილაკად ჩართვის დროსაც გვხვდება.

კითხვით ნაცვალსახელებში დიფერენცირებულია ადამიანისა და ნივთის (არაგონიერთა) კატეგორიები, დარბან „ვინ?“ (ადამიანი) და დარბან „რა?“ (ნივთი, არაგონ.).

„ვინ“ ნაცვალსახელის მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოიყენება ადამიანის კლასის კითხვითი -და < დარბან „იგი (ადამ.) რომელი, ვინ (არის)?“ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები:

სარა სგზუს(თა)და?	„მე ვინ ვარ?“
ჟარა ჟზუს(თა)და?	„შენ (მკ.) ვინ ხარ?“
ბარა ბზუს(თა)და?	„შენ (ქ.) ვინ ხარ? და ა. შ.

კითხვით-კუთვნილებითი „ვისი?“ ნაცვალსახელის მნიშვნელობა აფხაზურში გადმოიცემა საკუთრების აღმნიშვნელ ტ გ ძირზე ადამიანის კლასის კითხვითი -და სუფიქსის დართვით:

სგზტ გდა?	„მე ვისი ვარ?“
ჟგზტ გდა?	„შენ (მკ.) ვისი ხარ?“
ბგზტ გდა?	„შენ (ქ.) ვისი ხარ?“ და ა. შ.

„ვინ?“ და „რა?“ ნაცვალსახელთა მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე დამხმარე აკზაარა „ყოფნა“ ზმნის კითხვითი კილოს ფორმები:

- სარა სზაკ გ(ზე)დ? „მე ვინ, რა ვარ?“
- ჟარა ჟზაკ გ(ზე)დ? „შენ (მკ.) ვინ, რა ხარ?“
- ბარა ბზაკ გ(ზე)დ? „შენ (ქ.) ვინ, რა ხარ?“ და ა. შ.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი

განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია: ა-ხათა „თვით, თვითონ“, რომელიც იცვლება კლასებისა და პირის მიხედვით:

- ს-ხათა „მე თვითონ“,
- ჟ-ხათა „შენ (მკ.) თვითონ“,
- ბ-ხათა „შენ (ქ.) თვითონ“ და ა. შ.

დასუ || დოუსუ „ყოველი“, ზეგჳ „ყველა“, იზზგგჳ „ყველა“, აზა || დაზა „სხვა“, ეგჳ „სხვა, მეორე“.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია: აკ „რალაც, რამე“ (არაგონიერთა კლასის რიცხვით სახელთაგან „ერთი“ მომდინარე), აძ „ვილაც, ვინმე (გონიერთა კლასის „ერთი“ რიცხვითი სახელისაგან მომდინარე), აკგ „რამე; რამდენიმე“, ძგ „ვინმე, ვილაც, ფტკ „რამდენიმე“ (არაგ.) ფტკკ „რამდენიმე“ (აღამ.), ჟოუკ || შოუკ „ზოგი, ვინმე“ (გვანცელაძე 2003: 61-63).

ზედსართავი სახელი

აფხაზურ ენაში ზედსართავი სახელი მეტყველების ნაწილთა შორის გამოყოფილია როგორც სემანტიკურ-გრამატიკული კატეგორია, რომელსაც არსებითი სახელის დამახასიათებელი ნიშნებიც აქვს. ესენია ზოგადობის პრეფიქსი **ა-**, განუსაზღვრელობის **-კ** სუფიქსი, მრავლობითობის **-ქ ა** სუფიქსი, გარდაქცევითობის **-ხ** სუფიქსი...

- მაგ.: ა-ყაფშ „წითელი“ (ზოგადი ფორმა)
- ყაფშ-კ „რომელიღაც წითელი“ (განუსაზღვრელი ფორმა)
- ყაფშ-ქ ა „წითლები“
- ყაფშ-ხ „წითლ(ად)“.

ზედსართავი სახელი არის **ვითარებითი** და **მიმართებითი**. ატრიბუტულ სინტაგმაში ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს: ასე შჷკ აკ ა „თოვლი თეთრი“, აჩჷ დღუ „ცხენი დიდი“ და სხვ.

მრავლობით რიცხვში ნივთთა (არაგონიერთა) კატეგორიაში მრავლობითობის **-ქ ა** სუფიქსით ფორმდება მსაზღვრელი: აჩჷ დღუ „დიდი ცხენი“, აჩჷ დღუქ ა „დიდი ცხენები“.

ადამიანის კლასში (გონიერთა კატეგორიაში) კი გვაქვს სხვაობა: ადამიანთა კატეგორიის სახელს მრავლობითში ექნება თავისი **-ც ა** სუფიქსი, ან რომელიმე სხვა სუფიქსი, მაგ.: კრებითობის **-რა**, **-აა...** ხოლო ვითარებითი ზედსართავით გამოხატულ მსაზღვრელს, რომელიც აგრეთვე მოსდევს საზღვრულს, — თავისი, ნივთთა (არაგონიერთა) კატეგორიის **-ქ ა** სუფიქსი:

ახაც ა დღუქ ა „დიდი კაცები“, ზედმიწ.: „კაცები დიდები“,
 ავზჷც ა ბზიაქ ა „ამხანაგები კარგები“,
 აჷკ გნც ა ხ გჷქ ა „ბიჭები პატარები“.

აფხაზურში ვითარებით ზედსართავს აქვს ხარისხის ფორმებიც.

ვითარებით ზედსართავ სახელთა შედარებითი ხარისხის ფორმა იწარმოება აღწერით **-აძჷა** „მეტად“, **აწკვს** „უფრო, ვიდრე“ დამოუკიდებელ სიტყვათა კუთვნილებითი ფორმის დამატებით. ასეთ შემთხვევაში ზედსართავი სტატიკური ზმნის დაბოლოებას იღებს — უფ ახაწა ეძჷა დღუჷჷ „ის კაცი უფრო დიდია“, არი ჷკ გნ დარა დწკვს დბზიოჷჷ „ეს ბიჭი იმაზე უფრო კარგია“...

ვითარებით ზედსართავ სახელთა აღმატებითი ხარისხის ფორმა იწარმოება ინტენსივობის **-და**, **-ძდა** სუფიქსებით: ადღუ „დიდი“, დუ-ძდა „უდიდესი“...

აღმატებითი ხარისხი აღწერითადაც გამოიხატება, ამისათვის გამოყენებულია **დაარა-და** — „ძალიან“, **კვრდა** „ბევრად“ სიტყვები, რომლებიც დაერთვის სტატიკური ზმნის ფორმის მქონე ვითარებით ზედსართავს: დაარა დფშძო-ჷჷ „ძალზე მშვენიერია“ კვრდა დბზიო-ჷჷ „ძალიან კარგია“.

თვისების ინტენსიურობის გამომხატველია აგრეთვე ვითარებით ზედსართავ სახელებს დართული ხმაბაძვითი, ფუძეგაორკეცებული სიტყვა-სუფიქსები: **-კ აკ არა**, **-ყაყარა**, **-წ აწ არა**, **-ჷაჷარა**, **-შშგრა...**, რომლებიც შესაძლოა **-და** სუფიქსითაც იყოს წარმოდგენილი: აფშძა-კ აკ არა „ძალიან ლამაზი“, იყაფშ-ყაყარა-და „ძალზე წითელი“...

ვითარებითი ზედსართავის ოდნობით ხარისხს აწარმოებს **ც ზ**-პრეფიქსი. ა-ც გ-ყაფშ „მოწითალო“, ა-ც გ-ხ ა „მონაცრისფრო“... (ამასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ გამოთქმულია მოსაზრება ც გ-პრეფიქსის წარმომავლობის შესახებ. იხ. მაჭავარიანი 2007).

მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს. ასეთი მსაზღვრელ-საზღვრული სუბსტანტიური სინტაგმაა.

მიმართებითი ზედსართავები აფხაზურში სხვა სახელთა ფუძიდანაც შეიძლება იყოს ნაწარმოები. კუთვნილებითობის **-ტ გ || -ტ ი** სუფიქსით, რომელიც ა-ტ გ „საკუთრება“ სიტყვიდან მომდინარეობს: ახაჰ -ტ გ ავნგ „ქვის სახლი“, ამჰჰგტ ი გ არა „ხის ღობე“, თაგალანტი ი ბღღ „შემოდგომის ფოთოლი“...

რიცხვითი სახელი

აფხაზურში რიცხვითი სახელი შეიძლება იყოს რაოდენობითი, რიგობითი, კრებითი, მიახლოებითი, ჯერობის, ჯუფთობის...

რაოდენობითი რიცხვითი სახელი განასხვავებს კლას-კატეგორიას. ნივთის (არაგონიერთა) კლასის რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეს, ორიდან მოყოლებული, ერთვის **-ბა** ან მისგან მომდინარე **-ფა** სუფიქსი, ადამიანის კლასში კი **ბა**-ს ნაცვლად გვაქვს **-ჰჰ**, სამიდან მოყოლებული, რომელიც აჟაჰ „ადამიანი“ სიტყვიდან მომდინარედ მი-აჩნია ქ. ლომთათიძეს. ამასთანავე, ზოგადობის ა-პრეფიქსი რიცხვით სახელს ჩამოშორდება. **-ჰჰ** სუფიქსს შესაძლოა **-კ** განუსაზღვრელობის აფიქსიც დაერთოს ხ-ჰჰ(კ) „სამი რომელიღაც ადამიანი“...და სხვ.

მაგ.:	აკგ	„ერთი“	} (არაგონიერი, ნივთი)	ად გ	} (გონიერი, ადამიანი)
	ჰ-ბა	„ორი“		ჰგჰა	
	ხ-ფა	„სამი“		ხ-ჰჰ	
	ფშ-ბა	„ოთხი“		ფშ-ჰჰ	
	ხ -ბა	„ხუთი“		ხ -ჰჰ	
	ფ -ბა	„ექვსი“		ფ -ჰჰ	
	ბჟ-ბა	„შვიდი“		ბჟ-ჰჰ	
	აა-ბა	„რვა“		აა-ჰჰ	
	ჟ -ბა	„ცხრა“		ჟ -ჰჰ	
	ჟ ა-ბა	„ათი“		ჟ ა-ჰჰ	

განსხვავებას ქმნის: „ერთი“ რიცხვითი სახელი არაგონიერთა კლასში **-აკვ**, ადამიანთა კლასში **ამ გ**.

„ორი“ არაგონიერთა კლასში **კ-ბა**, ადამიანთა კლასში **კვ-ჭა**; რიცხვი ორსავე შემთხვევაში არის **კ** „ორი“, **-ბა** არაგონიერთა (ნივთის), ხოლო **ჭა** ადამიანთა კლასის ნიშანია.

ხ-ფა-ს **ფა** მიღებულია **ბა**-საგან **ბ**-ს **ფ**-დ დაყრუების შედეგად ხ-ს მომდევნო პოზიციაში.

თერთმეტიდან მოყოლებული რაოდენობითი რიცხვითი სახელები იხმარება ნივთის (არაგონიერთა) კატეგორიის **-ბა** სუფიქსის გარეშე, ადამიანის (გონიერთა) კლასისათვის კი **-კვ** შენარჩუნებულია.

თერთმეტიდან რიცხვითი სახელი მიიღება ასე: **ჟ ა** „ათი“, რომელსაც ერთვის ან კავშირით **-მ**, ან უკავშიროდ ერთეულისავე (ათამდე) რიცხვითი სახელის ძირი **-ბა**-ს გარეშე.

არაგონიერთა (ნივთთა) კლასი გონიერთა (ადამიანის) კლასი

ჟ ა-მ-ზა > ჟ ემზა	„თერთმეტი“	ჟ ე-მ-ზა-კვ(-კ)
ჟ ა-ჰა	„თორმეტი“	ჟ ა-ჰა-კვ(-კ)
ჟ ა-ხა	„ცამეტი“	ჟ ა-ხა-კვ(-კ)
ჟ -ი-ფჟ	„თოთხმეტი“	ჟ -მ-ფჟ-კვ(-კ)
ჟ ო-ხ	„თხუთმეტი“	ჟ ო-ხ -კვ(-კ)
ჟ ა-ჟ	„თექვსმეტი“	ჟ ა-ჟ-კვ(-კ)
ჟ -ი-ბჟ	„ჩვიდმეტი“	ჟ -ი-ბჟ-კვ(-კ)
ჟ -აა	„თვრამეტი“	ჟ -აა-კვ(-კ)
ზე-მ-ჟ	„ცხრამეტი“	ზე-მ-ჟ -კვ(-კ)

ოცის შემდგომ „ოცდაცხრამეტის“ ჩათვლით რიცხვითი სახელები იწარმოება შემდეგნაირად: „ოცის“ აღმნიშვნელ ჰაჟ ა ფუძეს ემატება რიცხვითი სახელები „ერთიდან“ „ცხრამეტამდე“. შუაში ჩაერთვის **მ** კავშირი, რომელიც იწვევს **ამ > ემ** ცვლილებას ნაწილობრივი ასიმილაციით და მიიღება:

არაგონიერთა, ნივთთა კლასი

ჰაჟ (ე)მ აკვ	„ოცდაერთი“
ჰაჟ (ე)მ ჰა	„ოცდაორი“
ჰაჟ (ე)მ ხფა	„ოცდასამი“
ჰაჟ (ე)მ ფშა	„ოცდაოთხი“

კაჟ (ე)ღ ხ ბა	„ოცდახუთი“
კაჟ (ე)ღ ჟ ბა	„ოცდექვსი“
კაჟ (ე)ღ ბჟბა	„ოცდაშვიდი“
კაჟ (ე)ღ ააბა	„ოცდარვა“
კაჟ (ე)ღ ჟ ბა	„ოცდაცხრა“
კაჟ (ე)ღ ჟ აბა	„ოცდაათი“
კაჟ (ე)ღ ჟ ეღა	„ოცდათერთმეტი“
კაჟ (ე)ღ ჟ აკა	„ოცდათორმეტი“
კაჟ (ე)ღ ჟ ახა	„ოცდაცამეტი“
კაჟ (ე)ღ ჟ იფშ	„ოცდათოთხმეტი“
კაჟ (ე)ღ ჟ ოხ	„ოცდათხუთმეტი“ და ა. შ.

გონიერთა, ადამიანის კლასი

კაჟ (ე)ღ აძ გ	„ოცდაერთი“
კაჟ (ე)ღ კაჟ (ე)ღ კვჯა	„ოცდაორი“
კაჟ (ე)ღ ხკ(-კ)	„ოცდასამი“
კაჟ (ე)ღ ფშკ(-კ)	„ოცდაოთხი“
კაჟ (ე)ღ ხ კ(-კ)	„ოცდახუთი“

ოცეულთა სახელების წარმოება შემდეგნაირია: „ორმოცს“ აღნიშნავს კვ-ნ-კაჟ ა რიცხვითი სახელი (არაგონიერთა, ნივთთა კლასი) ან კვ-ნ-კაჟ ა-კვ(კ) (გონიერთა, ადამიანთა კლასი), „სამოცს“ აღნიშნავს ხგ-ნ-კაჟ ა, „ოთხმოცს“ ფშგ-ნ-კაჟ ა... და ა. შ. ანუ სიტყვასიტყვით: „ორჯერ ოცი“, „ოთხჯერ ოცი“ და სხვ. -ნ თანხმოვანი აღნიშნავს ჯერობას.

ასეულებს აფხაზურში ასეთი წარმოება აქვს: შ კვ „ასი“ შ დაკვ „ასერთი“, კვშ „ორასი“, ხგშ „სამასი“, ჟ შ „ცხრაასი“ და მისთ.

ზგქგ „ათასი“, ზგქგკვ(კ) „ათასი ადამიანი“ (გონიერთა, ადამიანთა კლასი)

ათასეულებს შორის თვლა ისევე გრძელდება, როგორც ასეულებს შორის.

რიგობითი რიცხვითი სახელი რაოდენობით რიცხვით სახელზე ა- პრეფიქსის და დანიშნულების -ტ ი სუფიქსის დართვით მიიღება. ა-კაბა-ტ ი „მეორე“, ა-ხფა-ტ ი „მესამე“ და ა.შ.

რიგობით რიცხვით სახელებში გამოიყენება -ბა სუფიქსიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელი.

პირველისათვის გამოიყენება **აფხა** „წინ, წინა“ ზმნისართი, რომელსაც დანიშნულების **-ტი** სუფიქსი დაერთვის: აფხა-ტი ი „პირველი“, ან რ-აფხა-ტი ი „მათგან უპირველესი“, სადაც **რ-** III პირის მრავლობითობის ნიშანია. ზედმიწევნით: „მათგან უპირველესი“...

წილობითი რიცხვითი სახელი აღწერიტად გადმოიცემა: ჯგარა ღმანგ ხ თაკ „ერთი მეორედი“, ზედმიწევნით: „ორგან გაყოფილი ერთი ნაწილი“ და სხვ.

თუ წილადის მრიცხველი „ერთია“, მაშინ მნიშვნელის როლში მყოფ რაოდენობით რიცხვით სახელს ერთვის რ-აკ „მათგან ერთი, ერთი მათგანი“ ხვა-რ-აკ „ერთი მესამედი“, ფშბა-რ-აკ „ერთი მეოთხედი“... „ნახევარს“ აღნიშნავს სიტყვა **აბჟა**: აწ ა აბჟა „ვაშლის ნახევარი“.

კრებითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობით სახელზე ა- პრეფიქსის დართვით ა-ხ ბა „ხუთივე“, ა-ჟ აბა „ათივე“. ასევე ა- პრეფიქსისა და **-გე** „ც“ ნაწილაკის დართვით: ა-ხ ბა-გე „ხუთივე“, ა-ჟ ბა-გე „ათივე“...

მიანლობითი რიცხვითი სახელი მიიღება რაოდენობით რიცხვით სახელზე **აყარა** „ტოლი, ოდენი“ სიტყვისაგან მომდინარე **-ყა** სუფიქსის დართვით: ჯბა-ყა „ორიოდე რამე“, ჯგა-ყა „ორიოდე ვინმე“; ან ჩამოთვლით: ჯბა-ხვა „ორი-სამი რამე“, ჯგა-ხვკ „ორი-სამი ვინმე“.

ჯერობის რიცხვითი სახელი რაოდენობით რიცხვით სახელზე რთული **-ნტი** სუფიქსის დართვით იწარმოება, რომელშიც **-ნ** ჯერობის სუფიქსია, **-ტი** კი დანიშნულების: ჯგ-ნტი „ორჯერ“, ხგ-ნტი „სამჯერ“ და ა. შ.

„ერთი“ რიცხვითი სახელისაგან ჯერობის რიცხვითის მისაღებად **ზა** „ერთი რიცხვითი სახელის **ზ** ელემენტს ერთვის **-ნგ-კ** სუფიქსები და ვიღებთ ზ-ნგ-კ „ერთხელ“ შინაარსს.

ჯუფთობის სახელები იწარმოება ფუძის გაორკეცვით: აკ-აკა „თითო-თითო რამე“, ჯბა-ჯბა „ორ-ორი რამე“, ჯგა-ჯგა „ორ-ორი ვინმე“, აკაკალა „თითო-თითოდ“ (არაგონ, ნივთის შესახებ) აძ აძ ალა „თითო-თითოდ“ (გონიერის, ადამიანის შესახებ) **-ალა** სუფიქსი ინსტრუმენტალობის მარმოებელია.

ნაცვალსახელისა და რიცხვითი სახელის თავისებურებანი აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში

1. პირ-კლასისა და კუთვნილების ნაცვალსახელები

აფხაზეთში წარმოდგენილ დიალექტთა მსგავსად, პირ-კლასისა და კუთვნილებით ნაცვალსახელებს აქვთ სრული და მოკლე ფორმები. უ არა „თქვენ“, ჰარა „ჩვენ“ პარალელურად აქ გამოიყენება მათი მოკლე ვარიანტები, მითითებითი ელფერის მქონე. უ ართ „თქვენ [ესენი]“ ჰართ „ჩვენ [ესენი]“.

ფერიელ აფხაზთა მეტყველებაში ე. კილბას დადასტურებული აქვს რედუცირებული სახეობები აღნიშნული ნაცვალსახელებისა.

სარა		სარ	„მე“
ჟარა		ჟარ	„შენ“ (მკ.)
ბარა		ბარ	„შენ“ (ქ.)
მარა		მარ	„ის“ (მკ.)
ლარა		ლარ	„ის“ (ქ.)
ჰარა		ჰარ	„ჩვენ“
უ არა		უ არ	„თქვენ“
დარა		დარ	„ისინი“

მაგ.: ჟარან ჟანადტ, ანარა ჟანჰთანადტ „შენ (მკ.) მოხვედი, გვინახულე ჩვენ, შორიდან“

ჰარ ჰანჟა ანთახ~ დანადტ „ჩვენი ხალხი გვიან მოვიდა“.

2. ჩვენებითი ნაცვალსახელები

ართ „ესენი“, ანთ „ისინი“, აბრი „ეს“ ნაცვალსახელთა გვერდით ფერიელ აფხაზთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია ხსენებულ ნაცვალსახელთა სრულხმოვნის ვარიანტებიც:

ანანთ || ანთ დგლანგ „ისინი დგანან რა“

არანთ || ართ აჰანარაც ა „ეს ახალგაზრდები“

ნაცვალსახელთა ასეთი სრულხმოვნობა ახასიათებს აბაზურ დიალექტებს. აფხაზურ დიალექტებში კი ასეთი ფორმები არ გვხვდება.

საგარემოებო ზმნისართი **ახ** „ასე“ ფერიელთა მეტყველებაში გვხვდება **არახ, არახა** ფორმით, ისევე, როგორც ეს აშხარულშია:

დმეგყოჟ არანსა აკუღჟბ „საქმე ასეა“.

არანს, არანს „ასე, ასე“.

ჩვენებითი ართ, უბართ გვხვდება სონორის გარეშეც. ათ < ართ, უბათ < უბართ „ისინი“; ისევე როგორც ეს აშხარულშია:

ნას ათ ფშჳკ ყალმეტ „მერე ისინი ოთხნი გახდნენ“.

უბათ აჟ ლარ რაფხა ფგლო „[ისინი] ხალხი წინ მდგომი“.

3. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი

ფზზაგა, ფზაგა, ფზზაგა „ყოველი, ყველა, მთლიანად“ იხმარება დანარჩენი დიალექტების რგზზაგა (ზეგა, რგზზაგა, ზეგა, რგზზაგა „ყოველი, ყველა, მთლიანად“ ნაცვლად, ისევე როგორც ეს აშხარულშია, ტაპანთურში ეს ფორმა არ გვხვდება:

ფზაგა მთაბუბ ჰან დარჰ ემეტ „ყველამ უთხრა მადლობა“.

ფზზაგა მეფლგლკააჟემეტ „ის (ქ.) ყველაფერს არკვეს“.

ჰაბდჟუც ემ ჰანდჟუც ემ ფზზაგა რდარჟან „ჩვენს ბაბუებს და ბებიებს ყველაფერი გაეგებოდათ“...

4. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია აკგ განუსაზღვრელობის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ნიშანთან -ქ ა-სთან ერთად ხმარება და -კ განუსაზღვრელობის ნაწილაკის დართვა. ვიღებთ აკქ ა (აკქ აკ) ფორმას.

მაგ.: აკქ აკ რტრთემეტ „რალაც მათ მისცეს მათ“.

აკქ აკ ც ტრააგემეტ „რალაც ჩვენ გამოვფინეთ“.

ბათგმ დააფგმეტ აკქ ა, ახან ფზაკუგზ სგ ალაშ რმ.

„მან რალაც ჩამოიტანა ბათუმში, მაგრამ არ მახსოვს რა“... (კილბა 1983: 40-44).

რიცხვითი სახელი

რიცხვითი სახელის წარმოების პრინციპი აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში ისეთივეა, როგორც დანარჩენ აფხაზურ დიალექტებში. ამასთან, ე. კილბას დაუდასტურებია რიცხვით სახელთა ზოგი თავისებური ფორმაც:

1. ფერიულ მეტყველებაში ჩვეულებრივ რიცხვით სახელურ ფორმათა გვერდით გვხვდება • კავშირის ხმარების შემთხვევები რთული რიცხვითი სახელის შემადგენელ ყველა კომპონენტთან.

ანგისური მეტყველება კი, როგორც სხვა დანარჩენი აფხაზური დიალექტები, • კავშირს ინარჩუნებს რთული რიცხვითი სახელის მხოლოდ პირველ კომპონენტთან. შდრ.: ფერიული: ხანგჟუ გე **ჭბგი** (სიტყვასიტყვით: სამოცი(და) ექვსი(და), ანგისური: ხანგჟუ ედ **ჭბა**; ფერიული — შ გე დაჟ გე ჟ აბგე (სიტყვასიტყვით ასი(და) ოცი(და) ათი(და)“; ანგისური შ გე დაჟ გე ჟ აბა...

ამის გარდა ფერიულში გვხვდება რთული რიცხვითი სახელები დაჟ ა ჟ აბა ტიპისა, ყოველგვარი მაკავშირებელი ი-ს გარეშეც: დაჟ ა ჟ აბა მანთ როჭბ მსგძთაზ „მან მომცა მე მხოლოდ ოცდაათი მანეთი“.

ამრიგად, ფერიულში ერთდროულად გვხვდება რთულ რიცხვით სახელთა შედგენის სამი საშუალება:

- ა) • კავშირის ყველა კომპონენტთან შენარჩუნება: დაჟ ედჟბედ;
- ბ) • კავშირის მხოლოდ პირველ კომპონენტთან ხმარება: დაჟ ედ ჯბა
- გ) • კავშირის გარეშე წარმოება: დაჟ ა ჟ აბა.

2. ფერიელი აფხაზები „ათას“ რიცხვით სახელს აწარმოებენ -კვ სუფიქსით: ზექკვ (ზექკვ, ზაქკვ), „ასი“ რიცხვითი შ კვ-ს ანალოგიით. ეს ფაქტი უსლარს ახსნილი აქვს იმით, რომ ასეულები აფხაზს წარმოუდგენია ერთეულებად და ამიტომ ერთვისო -კვ. იგივე ვითარებაა ათასებთან მიმართებაშიც.

3. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობით რიცხვით სახელთაგან აპრეფიქსის დართვით, რომელიც წარმოშობით ნივთთა კატეგორიის აფიქია. აფხაზურში ეს არქაული წარმოება ადამიანთა კლასის რიცხვითი სახელებისათვისაა დამახასიათებელი, ხოლო ნივთთა კლასის რიცხვითი სახელები იყენებენ კუთვნილების -ტ -ი სუფიქსსაც: აჯჯა „მეორე“ (ად.), აჯბატ ი „მეორე“ (ნ.)

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში კი ეს არქაული აპრეფიქსიანი ფორმა შენარჩუნებულია ორსავე შემთხვევაში: ადამიანის და ნივთის კლასის რიცხვით სახელებში:

მაგ.: ახვა მგუტბუნაც ალა დაწხგტ „მან დაუმიზნა მესამე, შუათითით“,

სტკკ გნ აფშკჟ მხოტბ უგდ „ეს ცხენი ჩემი მეოთხე ვაჟისაა“.

4. ანგისელ აფხაზთა მეტყველებაში (50-60 წლის ინფორმატორებთან) დაფიქსირებულია რიგობით რიცხვით სახელთა თავისებური წარმოება, როდესაც კუთვნილებითი -ტ-ი არ დაერთვის რაოდენობით რიცხვით სახელს უშუალოდ (როგორც ეს დანარჩენ დიალექტებშია), არამედ გაფორმებულია ცალკეული სიტყვის სახით პირ-კლასის III პირის მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვისა (როგორც ადამიანის, ისე ნივთის კლასში): აკგ-ატგ „პირველი“ (ად., ნ.) (შდრ.: აფხ. აკტ ი „პირველი“).

მაგ.: აზბა || აზბა რ-ტგ „მეორე“ (ად., ნ.) (შდრ.: აფხ.: აზბატ ი)

ახფა || ხფა რ-ტგ „მესამე“ (ად., ნ.) (შდრ.: აფხ.: ახფატ ი)

აჟ ბა || ჟ ბ რ-ტგ „მეცხრე“ (ად., ნ.) (შდრ.: აფხ.: აჟ ბატ ი).

ზ მ ნ ა

აფხაზური ზმნა მორფოლოგიურ კატეგორიათა სიუხვით გამოირჩევა, რისი ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ამ ენას არ გააჩნია ბრუნების სისტემა, ამიტომ ის, რაც სხვა ენებში სახელის ბრუნვათა მეშვეობით აისახება, აფხაზურში ზმნის საშუალებით გადმოიცემა.

პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორია

პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორია აფხაზურში პირველად გამოყოფილია **გ. როზენმა**.

გ. როზენის აზრით, აფხაზურში სუბიექტის სიმრავლე პირის ნაცვალსახელურ პრეფიქსებში გამოიხატება, ისინი (პირის პრეფიქსები) დროთა მიხედვით არ იცვლება. პირის ნიშნები ემსგავსება ნაცვალსახელებს; ნაცვალსახელით აღნიშნული ობიექტი, რომელზედაც მოქმედება გადადის, ზმნაში ჩაერთვის, ობიექტის პრეფიქსები არ განსხვავდება სუბიექტის პრეფიქსებისაგან. სუბიექტსა და ობიექტს არჩევს აზრი და ადგილმდებარეობა: თავში დასმული ნიშანი ობიექტისაა, მომდევნო — სუბიექტისა (როზენი 1846: 77-80). გ. როზენს გარჩეული არა აქვს გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის განსხვავება პირის აფიქსთა განლაგების მიხედვით.

აფხაზური ზმნის პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიათა თაობაზე საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული **პ. უსლარს**: (უსლარი 1887).

1. პირის, კლასისა („“) და რიცხვის ნიშნები ნაცვალსახელური დამახასიათებლებით აისახება ზმნაში (უსლარი 1887: 16).

2. აფხაზურში კლასებად დაყოფა ხდება გონიერთა და არაგონიერთა მიხედვით (უსლარი 1887: 17).

3. პირის ნიშანთა ცვლა დროის ცვლილებას არ ექვემდებარება (უსლარი 1887: 22).

4. პ. უსლარს არა მარტო სწორად აქვს გამოყოფილი პირის, კლასისა და რიცხვის ნიშნები, არამედ ასევე სწორად აქვს შენიშნული გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში მათი განლაგების თავისებურება (უსლარი 1887: 57-59).

5. **ღ**- ნიშანი იხმარება ადამიანის აღმნიშვნელად III პირის მხოლოდობით რიცხვში, განურჩევლად სქესისა. არაგონიერთა კლასი ი- ნიშნით აღინიშნება. III პირის მხოლოდობით რიცხვში ნივთის კლასის გარდამავალი ზმნის სუბიექტისათვის **ნა**- პრეფიქსი გამოიყენება.

6. პ. უსლარს არ გამოორჩენია არც სამიმართებო ნაცვალსახელთა შემცველი ფორმები. პირის ნიშანთა გამჟღერებისა და ფუძის განკვეთის შემთხვევები, მაგრამ ამ უკანასკნელის გამომწვევი მიზეზის დადგენა ვერ მოუხერხებია (უსლარი 1887: 45-53).

პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიებს აფხაზური ენის ზმნაში შეეხო **ნ. მარი** (მარი 1938: 1-33).

იაფეტური ენების მსგავსად აფხაზურში გვაქვს მიმართებითი ფორმები, რომლებიც ორ მიმართებას გამოხატავენ ერთდროულად: 1. მიმართებას პირდაპირი ობიექტისადმი და 2. მიმართებას ირიბი ობიექტისადმი. ამ დროს პრეფიქსები ასეთი რიგით ლაგდებიან: ჯერ პირდაპირი ობიექტის ნიშანია, (მაგ. -ი), შემდეგ ირიბი ობიექტისა (მაგ. -უ) და მესამე ადგილზე სუბიექტისა (მაგ. -ს) (მარი 1938: 1-33).

გ. დეეტერსი აფხაზურში პირის ნიშნებს ყოფს პოსესიურ და სუბიექტურ ნიშნებად. პოსესიურია **ს, ე, ლ, (ნ) ა, ჰ(ა), შ°, რ || დ**, სუბიექტური — **(ზ) (ი პ.), ჟ, ბ, დ, (ა), (აა), (ჟ°), (ა)**. ამათგან სქესის ნიშნებია **ჟ, ბ, ლ**. გონიერის აღმნიშვნელია — **ე, ლ, დ**, არაგონიერისა — **(ნა), (ა)**, განუსაზღვრელია, პოსესიური **ზ** და სუბიექტური **ა** (დეეტერსი 1931: 293).

ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ძირითადად **ქ. ლომთათიძის** დებულებებს ემყარება.

აფხაზური ენის ზმნას პიროვან-კლასოვანი უღვლილება ახასიათებს, რაც კლასოვანი უღვლილების განვითარების შედეგია (ჩიქობავა 1953: 51-63; 131; 181).

ისევე, როგორც ქართველურ ენებში, აფხაზურშიც ზმნა პოლიპერსონალურია; იგი ასახავს სუბიექტისა და ორივე ობიექტის პირს. თუ ქართველურ ენებში ზმნას შეუძლია მხოლოდ ორი პირის და მესამის რიცხვის (ძვ. ქართულში) მორფოლოგიური ნიშნის აღნიშვნა, აფხაზურ ზმნას ერთსა და იმავე დროს სამი და მეტი მორფოლოგიური პირის აფიქსის ასახვა ძალუძს.

პირის, კლასისა და რიცხვის ნიშნები აფხაზურ ზმნაში პრეფიქსებია. ერთადერთი გამონაკლისია ნივთთა კლასის მრავლობითობის -ქ°ა სუფიქსის გამოვლენა ზმნაში, გარკვეულ შემთხვევებში.

აფხაზური ზმნის ერთ-ერთი უმთავრესი კატეგორიაა ადამიანისა და ნივთთა კლასის კატეგორია.

გრამატიკულ კლასებს ზმნა განარჩევს მხოლობითი რიცხვის II და III პირში; მხოლობითი რიცხვის II პირში ზმნა ასხვავებს მამაკაცისა და ქალის ქვეკლასებს: მამაკაცთა ქვეკლასის ნიშანია **ჟ**, ხოლო ქალთა ქვეკლასის ნიშანი არის **ბ**; ჟ-ცოდტ „შენ (მკ.) მიდიხარ“, ბ-ცოდტ „შენ (ქ.) მიდიხარ“...

მხოლობითი რიცხვის III პირში ზმნა განარჩევს ადამიანთა კლასს (მკ.-ისა და ქ.-ისას ერთად), მკ.-ის ქვეკლასს, ქ.-ის ქვეკლასს, ნივთთა კლასს. ადამიანთა (გაუდიფერენცირებლად) კლასის ფორმანტია **ღ**, მკ.-ის ქვეკლასს აღნიშნავს პრეფიქსი **ჟ**, ქ.-ის ქვეკლასს კი **ლ**; ნივთის კლასის მაჩვენებლებია **ჟ**, **ა**, **ნა**- პრეფიქსები...

აღნიშნული აფიქსები კლასის ჩვენების გარდა, გამოხატავენ აგრეთვე, სუბიექტისა და ობიექტების პირსა და რიცხვს.

აფხაზურში გამოყოფენ პირისა და კლასის ნიშანთა ორ წყებას:

პირის ნიშანთა ის წყება, რომელიც III პირში განარჩევს მკ.-ისა და ქ.-ის კლასებსა (ცალ-ცალკე) და ნივთთა კლასს, პირობითად წოდებულია „**ლ**“-ს რიგად (ქ.-ის ქვეკლასის აფიქსის **ლ**-ს მიხედვით), ხოლო მეორე რიგი აფიქსებისა, რომელიც III პირში განარჩევს მკ.-ის (გაუდიფერენცირებლად) კლასს, ადამიანს (პიროვნებას) და ნივთს (საგანს) სახელდებულია „**ღ**“-ს რიგად. ადამიანის (გონიერის) კლასის აფიქს „**ღ**“-ს მიხედვით (ლომთათიძე 1942: 389-392; დირი 1907: 76, 77; ლომთათიძე 1967; ამიჭბა 1984; შაყრილი 1961; აფხაზური ენის გრამატიკა 1968).

პირის, კლასისა და რიცხვის ნიშანთა სქემა:

		„ ღ “		„ ლ “	
	მხ. რ.	მრ. რ.		მხ. რ.	მრ. რ.
I პ.	ს/ზ	ჰ(ა)-/აა	I პ.	ს	ჰ-/ჰა
II პ.	ჟ (მკ. კლ.) ბ (ქ. კლ.)	} ჟ⁰/ჟ⁰	II პ.	ჟ (მკ. კლ.) ბ (ქ. კლ.)	} ჟ⁰
III პ.	ღ (მ. კლ.) ლ (ქ. კლ.) ღ-/ა-/ნა- ნ. (არაგონ. კლ.)		} ღ-/ღ-	III პ.	

იმისდა მიხედვით, თუ რომელი პირის ნიშანი დგას ზმნის ძირის წინ და რომელი იცვლება პირისა და კლასის მიხედვით, სუბიექტისა თუ ობიექტისა, პირის ნიშანთა წყობა იქნება სუბიექტური ან ობიექტური.

წყობა სუბიექტურია, თუ ზმნის ძირის წინ რეალური და გრამატიკული სუბიექტის ნიშანი დგას და ეს ნიშანი პირისა და კლასის მიხედვით იცვლება. სუბიექტური წყობა გარდამავალ ზმნებში გვხვდება.

წყობა ობიექტურია, თუ ზმნის ფუძის წინ ობიექტის ნიშანი დგას და ეს ნიშანი პირისა და კლასის მიხედვით იცვლება. ობიექტური წყობა გარდაუვალ და ინვერსიულ ზმნებს ახასიათებს.

აფხაზური ზმნის ფორმებში გამოყოფენ ე. წ. მიმართებით ნაცვალსახელებს, მიმართებით პრეფიქსებს. ეს პრეფიქსები განარჩევს „დ“-სა და „ლ“-ს რიგს; იხმარება მიმღეობურ წარმოებაში პირ-კლასის აფიქსთა ნაცვლად: „დ“-ს რიგის აფიქსთა ნაცვლად იხმარება **ი**-სამიმართებო პრეფიქსი, „ლ“-ს რიგის აფიქსთა ნაცვლად **ზ**-სამიმართებო პრეფიქსი: ი-ლ-ბო „რასაც ხედავს“, ი-ყა-ზ-წო „ვინც აკეთებს“...

პირის ნიშანთაგან განსხვავებით, **ი**- და **ზ**-პრეფიქსები პირს, კლასსა და რიცხვს არ განარჩევს... სახელური მრავლობითობის ნიშანი ამ წარმოებებშიც დაერთვის ზმნას და რიცხვს გამოხატავს. ასეთივე წარმოება დადასტურებულია ადიღურ ენებშიც. ეს ფორმები სიტყვაწინადადებებს წარმოადგენენ მიმღეობის ფუნქციით (ლომთათიძე 1942).

აფხაზურში არ არის ქართველურ ენათა მსგავსი პირის ნიშანთა დიფერენციაცია სუბიექტურ და ობიექტურ ნიშნებად, მაგრამ ჩანასახის სახით ასეთი დაპირისპირება მაინც გვაქვს: (შდრ. ნა-პრეფიქსი, რომელიც მხოლოდ გარდამავალი ზმნის სუბიექტს აღნიშნავს).

პირისა და კლასის ნიშნები აფხაზურში სუბიექტის აღსანიშნავადაც გამოიყენება და ობიექტის აღსანიშნავადაც.

მათი სხვადასხვა როლი დამოკიდებულია ზმნის გარდამავლობაზე.

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით „დ“-ს რიგის პირის ნიშნები გამოიყენებულია: ა) გარდაუვალ ზმნათა სუბიექტისა და ბ) გარდამავალ ზმნათა პირდაპირი ობიექტის გამოსახატავად. ხოლო „ლ“-ს რიგის პირის ნიშნები: ა) გარდამავალ ზმნათა სუბიექტისა, ბ) ირიბი ობიექტისა და გ) გარკვეული ნაწილაკის დართვით ინსტრუმენტალობის გამოსახატავად.

აფხაზურ ზმნას პირ-კლასის ნიშნები თავში მოუღის. მათი ადგილი მკაცრად განსაზღვრულია:

ზმნის მთლიან ფორმაში პირველ ადგილას ყოველთვის „დ“-ს რიგის აფიქსები გამოდის, მათ მოსდევს „ლ“-ს რიგის აფიქსები.

გარდაუვალ ზმნაში პირველ ადგილას არის სუბიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, II ადგილას ირიბი ობიექტის ნიშანი „ლ“-ს რიგისა: დ-ბგ-შთალოფტ „იგი (გონ.)“ შენ (ქ.) მოგსდევს“.

გარდამავალ ორპირიან ზმნაში პირველ ადგილას არის უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, ხოლო II ადგილას სუბიექტის ნიშანი „ლ“-ს რიგისა.

გარდამავალ სამპირიან ზმნაში პირველ ადგილას დგას უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, მას მოსდევს ირიბი ობიექტის და სუბიექტის ნიშნები „ლ“-ს რიგისა: დ-დ-ჟ-გ-ს-თოფტ „მე შენ (მკ.) გაძლევ მას (ნ)“.

ზოგ ზმნას პირის ნიშნების ინვერსიული წყობა ახასიათებს. ინვერსიულია გრძნობა-აღქმის, კუთვნილების გამომხატველი და ზოგი სხვა ზმნა.

ინვერსიულ ზმნაში გრამატიკული სუბიექტის პირის ნიშანი აღნიშნავს რეალურ ობიექტს, ხოლო გრამატიკული ირიბი ობიექტის ნიშნით რეალური სუბიექტია გამოხატული. ინვერსიული ზმნები გარდაუვალია, ისინი სტატიკურიც შეიძლება იყოს და დინამიკურიც. ინვერსიულ ზმნებში, გარდამავალ ზმნათა მსგავსად, რეალური სუბიექტი „ლ“-ს რიგის აფიქსებით გამოიხატება, მაგრამ „ლ“-ს რიგის აფიქსებით სინამდვილეში ირიბი ობიექტია გადმოცემული.

ყველა გარდამავალი ზმნა ზოგ ზმნურ კატეგორიაში (პოტენციისი, უნებურობა) ინვერსიული, ე. ი. გარდაუვალი ხდება.

აფხაზურში, როგორც აღვნიშნეთ, პირისა და კლასის ნიშნები პრეფიქსებია ორსავე რიცხვში. რთულფუძიან გარდამავალ ზმნაში სუბიექტის პირის ნიშანი განკვეთს ფუძეს და ძირის წინ აღმოჩნდება: ი-ყა-ს-წეფტ „მე ის გავაკეთე“, აყაწარა „კეთება“.

ეს მოვლენა იმდენად სისტემატური ხასიათისაა, რომ აფხაზური ზმნის გარდამავლობის ერთ-ერთ ნიშნადაა მიჩნეული.

ნივთის კლასის სუბიექტის პირის ნიშნად გარდამავალ განკვეთილ ზმნებში გვხვდება ნა-ფორმანტი: აჯმა ი-ყა-ნა-წეფტ — „თხამ გააკეთა“... (ლომთათიძე 1942: 1-27).

სათანადო ფონეტიკურ გარემოში პირისა და რიცხვის ნიშნებს ცვლილება მოსდით:

I სუბიექტური პირის ნიშანს მხოლოდითა და მრავლობითში და II სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშანს: **ს-**, **ჰ-**, **შ⁰**- გარდამავალ ზმნაში მყდერი თანხმოვნით დაწყებულ ფუძეთა წინ მოსდის ასიმილაცია: **ს>ზ**, **ჰ>აა**, **შ⁰>ჟ**...

როგორც ქ. ლომთათიძემ გაარკვია, პირის ნიშანთა გამყდრება ხდება მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან. აფხაზურ დიალექტებში აღნიშნულ მოვლენას (იგულისხმება პირის ნიშანთა გამყდრება) ადგილი აქვს მკვეთრი თანხმოვნით დაწყებულ ზმნაშიც. აფხაზურში გამყდრებული პირის ნიშანი ზოგჯერ მაშინაც გვხვდება, როდესაც საამისო პირობა არ არსებობს: **ღზემბეჲტ || დსემბეჲტ** „იგი ვერ (არ) ვნახე“, ეს ფაქტები (უკანასკნელი დადებით ფორმათა ანალოგიითაა ახსნილი) ქ. ლომთათიძეს ამ მოვლენის (პირის ნიშანთა გამყდრების) უნიფიკაციის მომასწავლებლად მიაჩნია.

„ღ“-ს რიგის III პირის მრავლობითობის ნიშანი **რ-**, კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებელ **რ-** ფორმანტთან შეხვედრისას განიცდის დისიმილაციას: **რ>დ**... ქ. ლომთათიძის აზრით, ამ ფონეტიკურ მოვლენას აქვს გარკვეული მორფოლოგიური საფუძველი: — „ეს აფიქსები წარმოშობით ერთნი ჩანს, შემდგომ ფუნქციურად განსხვავებული... კაუზატივის აფიქსიც იგივე მრავლობითობის აფიქსი უნდა ყოფილიყო... შესაძლოა, დისიმილაციის ამ ფაქტით შემოგვენახა პირის ნიშნის მოსალოდნელი სახეობა (ლომთათიძე 1945: 91).

ცალკე აღნიშვნის ღირსია აფხაზურში მრავლობითობის ასახვა ზმნაში **-ქა** ნივთთა კლასის მრავლობითობის მაწარმოებელი ფორმანტი: იყასწემჲტ „მე ის გავაკეთე“, იყასწაქემჲტ „მე ისინი გავაკეთე“. ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა **რ. ჯანაშიამ**: (ჯანაშია 1964).

-ქა სუფიქსი იხმარება აფხაზურში ყველანაირ ზმნასთან. მისი ხმარება ფაკულტატურია; იგი დაერთვის ზმნის ფუძეს დროის მაწარმოებელთა წინ და აღნიშნავს: 1) პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს, 2) გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 3) გარდამავალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 4) ირიბი ობიექტის სიმრავლეს, 5) მოქმედების მრავალგზისობას.

ამ შემთხვევებიდან აფხაზურისათვის ყველაზე ნიშანდობლივია პირდაპირი ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სიმრავლის აღნიშვნა **-ქა** სუფიქსით; ე. ი. „ღ“-ს რიგის აფიქსებით გამოხატულ პირთა მრავლობითობა. შდრ.: ძველი ქართულის ვითარება: **-ენ** სუფიქ-

სით პირდაპირი ობიექტისა და ზოგჯერ გარდაუვალი ზმნის სუბიექტის მრავლობითობის ასახვა ზმნაში.

რ. ჯანაშიას აზრით, III პირში -ქა სუფიქსის დართვა იმითაა გამოწვეული, რომ „ღ“-ს რიგის III პირის მრავლობითობა გამოიხატება ერთი **ღ**- ფორმანტით, როცა მხოლოდობით რიცხვში იმავე რიგში **ღ**- და ორი: **ღ**- ფორმანტი გვაქვს — ერთი ადამიანისა და მეორე ნივთისათვის.

„ღ“-ს რიგის აფიქსებით გადმოცემულ პირთა სიმრავლის აღსანიშნავად -ქა სუფიქსის გამოყენება აფხაზურისათვის ნაკლებ დამახასიათებელი, მეორეული მოვლენაა (ჯანაშია 1964: 247-251).

აფხაზური ზმნისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ისეთი შემთხვევები (განპირობებული სხვადასხვა მიზეზებით), როდესაც ზმნაში სუბიექტისა ან რომელიმე ობიექტის პირი არ აისახება:

სუბიექტის პირი არ ჩანს გარდამავალ ზმნაში:

- ა) აბსოლუტივში,
- ბ) დადებით ბრძანებითში.

ა) აბსოლუტივში ზმნის სუბიექტის ნიშანი არ ჩანს, მომდევნო ზმნის საშუალებით ირკვევა, რომელი პირია მოქმედი: ი-ყა-ს-წედტ — „მე გავაკეთე“ — პირიანი ფორმაა, ი-ყაწანგ ს-აადტ — „კეთებით მოვედი“ — აბსოლუტივია.

აბსოლუტივში სუბიექტის პირის ნიშნის უქონლობა გარდამავალ ზმნაში ქ. ლომთათიძეს იმ უძველეს მოვლენად მიაჩნია, როდესაც გარდამავალ ზმნაში მხოლოდ პირდაპირი ობიექტის პირი აღინიშნებოდა (ლომთათიძე 1948: 4-13).

... ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ლოკალური პრევერბები ირიბ ობიექტს შეიწყობენ კონკრეტული (განსაზღვრული) შინაარსით გამოყენებისას, ხოლო უობიექტოდ წარმოგვიდგებიან, როცა ისინი განზოგადებულად (განუსაზღვრელი შინაარსით) იხმარება: შდრ.: აშო ამაა ა-ჭჷგ-ღ-ჟედტ — „კარის სახელური მოჰგლიჯა“, ალემჰაქა ჭჷგ-იჟედტ — „ყურები ააგლიჯა“.

შეიძლება ზოგჯერ ირიბი ობიექტის პირის ნიშანი მორფემისეულ ხმოვანთა შერწყმის საფუძველზე იყოს გაუჩინარებული; ამის ნიადაგზე წარმოქმნილ რთულ, შერწყმულ მორფემაში იგი უთუოდ დაცულად უნდა ჩაითვალოს (ლომთათიძე 1982: 60, 61).

პირის ნიშნები აფხაზურში პირის ნაცვალსახელთაგან მომდინარეობს. ეს ფაქტი ჯერ კიდევ უსლარმა აღნიშნა (უსლარი 1862: 15). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს თვალსაზრისი გაზიარებულია

პირის ნაცვალსახელებში კი თავკიდურა თანხმოდანთა სახით კლას-კატეგორიის ზოგი ფორმანტი შემოგვენახა (ჩიქობავა 1953).

აფხაზურში, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია უღვლილების კლასოვან-პიროვანი ტიპი. აფხაზურ ენაში პოლიპერსონალური ზმნის წარმოქმნა ხდებოდა კლასოვანი უღვლილების თანდათანობითი მოშლისა და პიროვანი უღვლილების თანდათანობითი ჩამოყალიბების პროცესში (როგავა 1953: 443).

აფხაზურმა ენამ კლასოვანი უღვლილებიდან კლასოვან-პიროვან უღვლილებაზე გადასასვლელად გამოიყენა პრეფიქსული გზა. „ლ“-ს რიგის აფიქსები „დ“-ს რიგის აფიქსთა ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს; შემდეგ მოხდა მათი გამოყენება უკვე პირის ნიშნებად (გ. თოფურია 1968: 55).

აფხაზურ ზმნაში მონოპერსონალიზმის დროისაა „დ“-ს რიგის აფიქსები, რომლებიც ახლა ადამიანის კლასს აღნიშნავს (ანდლულაძე 1968: 149). ისტორიულად „დ“ აფიქსი ნივთის კლასის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (როგავა 1954: 9-12; როგავა 1953: 443, 447).

აფხაზურში კლასებად დაყოფას საფუძვლად ედო დაყოფა პიროვნებისა და ნივთის კლასებად.

ნივთთა კლასის აფიქსით ჯერ ქალის, ხოლო შემდეგ საერთოდ ადამიანის კლასის აღნიშვნა იბერიულ-კავკასიურ ენათათვის დამახასიათებელია. აფხაზურში ნივთთა კლასის დ- ნიშანი ადამიანთა კატეგორიის აღსანიშნავადაა გამოყენებული; დ- ნიშნის ნივთთა კლასის ნიშნიდან მომდინარეობას ადასტურებს მისი (დ- ფორმანტის) გამოვლენა III პირის მრავლობითობის ნიშნად კაუზატივის კატეგორიის წარმოებაში (ლომთათიძე 1945). ხოლო საერთო წესის მიხედვით, იბერიულ-კავკასიურ ენებში მრავლობითობის ნიშანი ადამიანთა კატეგორიის ნიშნიდან არ მიიღება, ე. ი. დ- ნივთისა იყო (ანდლულაძე 1968: 151).

ნივთთა კლასიდან დ- ნიშანი ადამიანთა კატეგორიაში გადმოვიდა ჯერ ქალის კლასის აღსანიშნავად და შემდეგ განზოგადდა ადამიანის კატეგორიის ნიშნად.

ბ- ნიშანი აფხაზურში უნდა ყოფილიყო ქალის კატეგორიის საერთო ნიშანი პირების გარჩევამდე. ადილ. ფ-ბ^ე > ბ-ბ^ე — „ქალი“, შდრ.: ხ^ე — „მამაკაცი“, აფხაზურში ქალის კლასი II პირში გამოიხატება ბ- ნიშნით, II პირის მამაკაცის გ- ნიშანი გენეტურად უკავშირდე-

ბა საერთო იბერიულ-კავკასიურ **ვ**-ნიშანს: ხუნძ. ვუგო — „ვარ“, ქართვ. ვარ. ვორექ — „ვარ“, ხვარი — „ვარ“ (როგავა 1954: 10).

ქ. ლომთათიძის აზრით, აბსოლუტივის კატეგორია წინ უსწრებს დროის კატეგორიას. დროის ჩამოყალიბებასთან ერთად, თავი იჩინა სუბიექტის პირმაც ზმნაში. ამ ნიადაგზე ერთმანეთს დაუპირისპირდა:

აბსოლუტივი — დგ-ბა-ნ — „იგი (აღ.) ნახვით“...

ნამყო განუსაზღვრელი — დგ-ზ-ბა-ნ — „მე ვნახე იგი“.

ბ) აფხაზური გარდამავალი ზმნის დადებითი ბრძანებითი ფორმაში არ აისახება სუბიექტის პირი:

ი-ყა-უ-წეძტ — „შენ (მკ.) გააკეთე ის (ნ.)“

ი-ყა-წა! — „გაკეთე ის (ნ.)“...

ქ. ლომთათიძეს მიაჩნია, რომ ბრძანებითისა და აბსოლუტივის წარმოების პრინციპს შორის გარკვეული კავშირი უნდა იყოს სუბიექტის გამოუხატველობის მხრივ; ... სუბიექტის პირის გაჩენა გარდამავალ ზმნაში მეორეული მოვლენაა. თავდაპირველად გარდაუვალ ზმნაში გამოიხატებოდა სუბიექტის პირი, გარდამავალში პირდაპირი ობიექტისა, ისევე, როგორც სხვა კავკასიურ ენებში. ე. ი. აფხაზური გარდამავალი ზმნაც ნეიტრალურია გვართა მიხედვით (ლომთათიძე 1942: 12).

შესაძლოა, აფხაზურ ზმნაში გაუჩინარდეს ნივთის კლასის III პირის უახლოესი ობიექტის ნიშანი, თუ ზმნის ფორმას წინ უძღვის ნაცვალსახელი, ან არსებითი სახელი:

აჩა (ღ) ჟგ-ს-თოდტ „მე შენ (მკ.) პურს გაძღევ“ შებრუნებულ წყობაში უახლოესი (პირდ.) ობიექტის ნიშანი აღდგება: ღ-ჟგ-ს-თოდტ აჩა — „გაძღევ პურს“.

ირიბი ობიექტის ნიშანი შეიძლება არ ახლდეს ზოგ პრევერბიან ზმნას. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი შინაარსით არის პრევერბი გამოყენებული ზმნაში: კონკრეტულითა თუ განზოგადებულით.

ვ. კონჯარიას აზრით, პირველად აფხაზურში **ჟარა** ნაცვალსახელით აღინიშნებოდა როგორც ქალი, ისე კაცი (**ვ**-ადამიანს ნიშნავდა საერთოდ) თანდათან **ჟ** ფორმანტმა დაიწყო მკ. კლასის II პირის ნიშნის ფუნქციის შესრულება (კონჯარია 1963: 391, 392).

„ღ (> ი), რომელიც I გრამატიკულ კლასს, ნივთთა კლასს და აქედან მრავლობით რიცხვს გამოხატავს, ერთი და იგივე ოდენობა უნდა იყოს ისტორიულად და ნივთთა კლასის **რ || დ**-ს უნდა უკავშირდებოდეს... საფიქრებელია, ნივთთა კლასის **ნა > ა** უკავშირდებოდეს იმავე

*დ-ს. ა-ს ნივთთა კლასის ფუნქცია ნ-ს დაკარგვის შემდეგ უნდა ჰქონდეს მიღებული, თავდაპირველად იგი კლასის ნიშნის თანმხლები ხმოვანი უნდა ყოფილიყო (შდრ. ჟა, და, ლა...)“ (ანდლულაძე 1968: 151).

აფხაზურისათვის ნავარაუდევია ოთხკლასიანი ამოსავალი სისტემა (ანდლულაძე 1968):

I	ვ > უ
II	დ > ლ
III	ბ(ა) ბ
IV	დ რ ნ

პირისა და კლასის ნიშანთა წარმოშობის თაობაზე, როგორც ვხედავთ, ძირითადად, ერთი აზრისანი არიან მკვლევრები: პირისა და კლასის ნიშნები კლასის ნიშანთაგან და პირის ნაცვალსახელთაგან მომდინარეობს.

ტაპანთურში პირისა და კლასის ნიშნები იგივეა, რაც აფხაზურში, აქაც ორი რიგი გამოიყოფა პირისა და კლასის ნიშნებისა (იმავე პრინციპით): „დ“-ს რიგი, „ლ“-ს რიგი.

გარდამავალ მყდერი თანხმოვნით დაწყებულ ზმნასთან, აფხაზურის მსგავსად, ტაპანთურშიც I სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოდითში და I და II სუბიექტური პირის ნიშნები, მრავლობითში მყდერდება. ტაპანთურში გამყდერებას იწვევს მკვეთრი თანხმოვნით დაწყებული ერთი აკ აბარა — „ბანა“ ზმნაც (ლომთათიძე 1944).

ტაპანთურში დაცულია ის მყდერი — ზ — სპირანტი, რომლისგანაც მომდინარეობს აფხაზური ჰ > აა (I პირის ნიშანი მრავლობით რიცხვში): ითა-ჰ-ყებ — „მას (ნ) შიგ ჩავადებთ“ (ლომთათიძე 1944: § 40).

აფხაზურში III პირის სუბიექტის ნიშნად ნივთთა კლასში (თუ ზმნა გარდამავალი სამპირიანია, ან ორპირიანი რთულფუძიანი) გვევლინება -ნა- პრეფიქსი. დანარჩენ შემთხვევებში არის ა-. ტაპანთურშიც ასეა, მაგრამ აქ ზმნებს უფრო ახასიათებთ წინდებულიანი ფორმები. პირის ნიშანიც ასეთ შემთხვევაში ექცევა წინდებულის შემდეგ და რთული ფუძის მქონე ზმნათა მსგავსად, ნივთთა კლასის სუბიექტის პირის ნიშანი წარმოგვიდგება ნა-ს და არა ა-ს სახით: აჩჰ დანაბა — „ის (ად.) ცხენმა როცა დაინახა“.

ნა- ფორმანტი ა. გენკოს ა- ფორმანტისაგან მიღებულად მიაჩნია სინტაგმის არასწორი დაყოფის პირობებში (გენკო 1955: 191).

ტაპანთურში წარმოდგენილი პირის, კლასისა და რიცხვის გამოხატვის სისტემა ზმნურ ფორმაში მატერიალურადაც და აგებულების პრინციპითაც სავსებით ემთხვევა აფხაზურისას.

თითქმის ასეთივე ვითარებაა აშხარულშიც:

1. ზოგჯერ აშხარულში ა- კლასის ნიშნის მაგიერ ი- იხმარება, რაც შემთხვევითი ფაქტის შთაბეჭდილებას ახდენს: აშ იჭ გ ააფხტ — „იგი (ნ) კართან მოვიდა“. ეს შეიძლება ადილურის გავლენით აიხსნას.

2. „სხვა“-სიტყვა ყველა დიალექტში ხან აჩა-ს სახითაა, ხან დაჩა-ს სახით. აშხარულში დასტურდება რაჩაჟ, რაც „ღ“-ს გრამატიკული კლასის ნიშნად კვალიფიკაციას უეჭველს ხდის.

3. აშხარულში I პირის ნიშნის გაუმჯღერებელი სახეობაც დასტურდება მრავლობით რიცხვში: იჰაზ გპ — „დავლევთ“...

4. ზმნის უარყოფით ფორმაში, სადაც გამჯღერების პირობა მოხსნილია, ხშირად გვხვდება პირის ნიშნის გამჯღერებული სახეობა (ლომთათიძე 1954: § 35).

ტაპანთური და აშხარული დიალექტები უმნიშვნელო გადახრათა მიუხედავად, მიჰყვება აფხაზურ ენას პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიათა წარმოების საკითხში.

წარმოქმნის კატეგორიები

პირთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, აფხაზურ-ადილურ ენათათვის დამახასიათებელ პოლიპერსონალურ ზმნას საშუალება ეძლევა გამოხატოს ნაირგვარი მიმართება სუბიექტურ და ობიექტურ, ან ობიექტურ პირებს შორის. ზმნაში მორფოლოგიური ნიშნით გამოხატულ პირებს შორის არსებული ურთიერთმიმართება ქმნის ზმნის მორფოლოგიურ და სიტყვაწარმოებით კატეგორიათა მრავალფეროვნებას.

აფხაზურ-ადილური ენების რელატიურ ზმნებს (და ზოგჯერ აბსოლუტურ ზმნასაც) უღლების კატეგორიათა — პირის, კლასის, რიცხვის გარდა, მოეპოვება წარმოქმნის კატეგორიები: ქცევის, პოტენციალის, უნებურობის, კაუზატივისა და საურთიერთო-სათანაო.

ქცევის კატეგორია

აფხაზური ენის ზმნას ახასიათებს ქცევის კატეგორია.

აფხაზურში ქცევის კატეგორია რამდენადმე განსხვავდება ქართულურ ენათა ქცევის კატეგორიისაგან.

ქ. ლომთათიძე აფხაზურ-აბაზურში გამოყოფს ორ ქცევას: სათავისო (სასუბიექტო) და სასხვისო (საობიექტო) ქცევებს (ლომთათიძე 1947: 411-419; ლომთათიძე 1976; ლომთათიძე 1967).

„აფხაზური ენის გრამატიკაში“ გამოყოფილია აგრეთვე ქცევის მესამე სახეობაც, ნეიტრალური ქცევა. ცალკეა გამოყოფილი უკუქცევი-თობის კატეგორია (აფხაზური ენის გრამატიკა 1968: 136-143).

ქ. ლომთათიძის ნაშრომებში აფხაზურში ნეიტრალური ქცევა არ არის გამოყოფილი; უკუქცევი-თობის კატეგორიას ქ. ლომთათიძე სათავისო ქცევად მიიჩნევს (ლომთათიძე 1976).

ბ. უსლარი აღნიშნული ქცევის სახეობას უკუქცევი-თობის უწოდებს, უსლარი გამოყოფს აგრეთვე ზმნათა უკუქცევი-თობის ფორმებს, რომლებშიც **ჩა-** ელემენტი არ მონაწილეობს **აგ-შე-აგ-წუდეტ** „ის იცვამს“ და სხვ. (უსლარი 1887: 62, 63).

1. სათავისო (სასუბიექტო) ქცევა იწარმოება ზმნურ ფორმაში — რეფლექსურობის ელემენტის მონაწილეობით. ეს ელემენტი მოსდევს „**ლ**“-ს რიგის აფიქსებს და აღნიშნავს გარდაამავალი ზმნის სუბიექტის მხოლოდ თავისავე თავზე მოქმედებას. აფხ.: **ა-ჩაგ-ა-წუდეტ** — „მან თავი დაიმალა“.

ჩა- რეფლექსურობის ელემენტს ქ. ლომთათიძე ადასტურებს ტაბანთურშიც. თუ აფხაზურში რეფლექსურობის ელემენტს კუთვნილებითი აფიქსი მუდამ წინ ახლავს, და პირის ორ ნიშანს წარმოგვიდგენს: აფხ. **ს-ჩაგ-ს-შუდეტ** — „თავს ვიკლავ“, ტაბანთურში რეფლექსური ფორმების **ჩა-** ელემენტს კუთვნილების გამომხატველი პირის ნიშნები აღარ ერთვის და აფხაზური **ს-ჩაგ-ს-შუდეტ**-ის ნაცვლად ტაბანთურში ჩაგსშიტ ფორმას ვხვდებით.

ტაბანთურში ზმნა საკუთარი თავისავე მიმართულ მოქმედებას კაუზატივის ფორმითაც გამოხატავს: ფშატაკ° სსრგსგპ — „ცოტა ქარს მოვიქროლებ“... (ლომთათიძე 1976: § 44; 152).

— რეფლექსურობის ელემენტი აშხარულში თითქოს ფუძესაა შეზრდილი; ეს ნათელი ხდება საგარემოებო აფიქსთა წარმოებისას: **-შა-**, **-ან-**..., რომლებიც რიგით პირველი პირის აფიქსის შემდეგ დაისმის აფხაზურში: **ს-ჩა-ანგ-ს-შუა** — „მე თავს როცა ვიკლავ“... აშხარულში კი **ჩა-** ელემენტი საგარემოებო აფიქსების შემდეგ მოხვედრილა: **შაგ-ჩაგ-დსგრდგრა** — „მათ მე როგორც თავი გავაცნო“...

აღნიშნულ ფორმათა წარმოებისას აშხარულში დასტურდება სამი საფეხური:

1) **ჩა-** ელემენტს ახლავს კუთვნილებითი აფიქსი: უჩაგრტლა „გაიხადე“, 2) კუთვნილებითი აფიქსი ჩამოშორებულია: ჩაგლშეტ „თავი მოიკლა“, 3) კუთვნილებითი აფიქსი ჩამოშორებულია და ზმნას უჩინდება ობიექტის ნიშანი.

აშხარულში, აფხაზურისაგან განსხვავებით, ტაპანთურის მსგავსად, უკუქცევითი მოქმედება შეიძლება პირის ნიშნის გაორკეცვითაც მოხდეს: დაასგრდგრბ „მე ჩემს თავს გავაგებინებ“ (ლომთათიძე 1954: § 38).

2. სათავისო ქცევა გამოხატავს სუბიექტის მოქმედებას, მიმართულს თავისსავე სხეულის ნაწილზე, რომელიც კონკრეტულ ასახვას პოულობს ზმნის ფუძეში. მაგ., „ტანი, სხეული“ — აფხ.-აბაზ. **შ^გ**-, უბიხ. **ჯა-**; „ფეხი“ აფხ.-აბაზ. **შა-**, უბიხ. **ლ^ა** — და ა. შ. აფხაზ.: ი-სგ-შა-ს-წოდტ, უბიხ. ა-ს-ლ^ა-სგ-დან „მას მე ჩემ ფეხთ ვიცვამ“... (ლომთათიძე 1976: 98; ლომთათიძე 1967).

აფხაზური ზმნის სასხვისო ქცევას ახლავს მიმართულების აღნიშვნა და წარმოდგენილია ორი ქვესახეობით:

ა) ირიბი ობიექტისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება აფხაზური **ზ**-, (ბზიფური **ზ'**-) აფიქსით ე. წ. ირიბი ობიექტისათვის სასარგებლო ქცევა:

ზ- აფიქსი გამოხატავს პირდაპირი ობიექტის განკუთვნილებას ირიბი ობიექტისადმი (გარდამავალ, სამპირიან ზმნებში), ან სუბიექტისა და მისი მოქმედების განკუთვნილებას ირიბი ობიექტისადმი (გარდაუვალ ზმნებში).

ზ- ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით: სცოდტ — „მივდივარ“, სიზცოდტ — „მისთვის მივდივარ“, იყასწოდტ — „მე მას ვაკეთებ“, ილზგყასწოდტ — „მე მას მისთვის (ქ.) ვაკეთებ“...

ბ) ირიბი ობიექტიდან მიმართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება **ც**⁰- აფიქსით.

ც⁰- აფიქსი გამოხატავს ირიბი ობიექტისათვის ე. წ. საზიანო, მისგან აქეთ მომართულ მოქმედებას.

ც⁰- ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით, როგორც ეს **ზ**-ს შემთხვევაში იყო: სტ⁰ოდტ — „ვჭდები“, სიც⁰ტ⁰ოდტ — „მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ვჭდები“, იზგოდტ — „მე ის მომაქვს“, ილც⁰გზგოდტ — „მე ის მისი (ქ.) სურვილის საწინააღმდეგოდ მომაქვს (ვართმევ)“.

ზ-, **ზ'**- ელემენტი ქ. ლომთათიძის აზრით, იგივეა, რაც სახელებში გამოყენებული (ა)**ზგ** „თვის“ თანდებული. თუ ეს ელემენტი სახელს დაერთო, ზმნაში აღარ იქნება წარმოდგენილი და მასაც ერთი, ირიბი ობიექტური პირი დააკლდება: ახ⁰გჰგ იზგ (ა)ყასწოდტ — „ბავშვისთვის“

ვაკეთებ“, ახ⁰გჳგ იზგყასწოდტ — „ბავშვს ვუკეთებ“... (დ)ყასწოდტ- ორპირიანი გარდამავალი ზმნაა, იზგყასწოდტ — სამპირიანია. სასხვისო ქცევაში ზმნას ემატება ერთი — ირიბ ობიექტიური პირი (ლომთათიძე 1947: 415).

ზმნაში **ზ**- ელემენტისა და (**ა**)**ზგ** — თანდებულის ერთიანობას პ. უსლარიც შენიშნავს: უსლარი აღნიშნულ ელემენტს კითხვით ფორმებშიც გამოყოფს და აკავშირებს მას (**ზ**- ელემენტს) პოტენციალისის კატეგორიის ფორმანტთანაც: ისგზგჳამ — „ვერ ვწერ“... პ. უსლარი დასძენს, რომ **ზ**- ელემენტს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლაც შეუძლია: სგფშჳედტ — „ვიხედები“, საზგფშჳედტ — „ველოდები“... (უსლარი 1887: 63, 64).

ც⁰- ელემენტი **დიუმეზილს** უბიხურად მიაჩნია (დიუმეზილი 1932: 199).

ქ. ლომთათიძის აზრით, აფხაზურ-უბიხური **ც**⁰-, როგორც მორფოლოგიურად, ისე ფონეტიკურად უკავშირდება ადილურ მკვეთრ ლაბიალურ სპირანტს ს⁰-ს, რომლისაგანაც მომდინარეობს ყაბარდოული **ქ** ქ. ლომთათიძე **ც**⁰-ს აფხაზურისაგე **ცგრ** — „გარეთ“ წინდებულიდან მომდინარედაც თვლის. აც⁰გრწრა — „გარეთ გამოსვლა“, აც⁰გრგარა — „გარეთ გამოტანა“ (ლომთათიძე 1947: 418).

ჩვენი აზრით, **ც**⁰- სასხვისო ქცევის მაწარმოებელი აფიქსი აფხაზურში უნდა მომდინარეობდეს **აც⁰ა** „კანი“ ლექსემიდან: ი-ლ-ც⁰გ-ზგოდტ „მე რაღაც მისგან (ქ.) მომაქვს“, სიტყვასიტყვითი წარმოსახვითი მნიშვნელობით: „მე მისგან კანის მოცლით რაღაც მომაქვს“ (მაჭავარიანი 1998: 28).

სასხვისო ქცევის **ზ**- და **ც**⁰- პრეფიქსები მასდარშიც ჩანს. ზოგჯერ ისინი ზმნის ფუძესაა შეზრდილი: აზჳარა — „ზრდა, თვის მატება“, აზწარა — „კლება, თვის მცირება“...

ზ- და **ც**⁰- პრეფიქსები ყოველთვის ირიბი ობიექტის აფიქსის შემდეგ დგას.

აფხაზურის **ზ**- და **ც**⁰- პრეფიქსებით ნაწარმოები სასხვისო ქცევა, ქართულის „გუკლავ“ სასხვისო ქცევის ფორმას, რომელიც იმასაც ნიშნავს, რომ „მისთვის ვკლავ“ და იმასაც, რომ „მისას ვკლავ“, ორი განსხვავებული აფიქსით წარმოგვიდგენს (ლომთათიძე 1947: 418).

ორპირიანი ზმნები

სასხვისო (სასარგებლო) ქცევა

1. აკვებ ისჯაფსახომგზტ — რაიმედაც ჩემთვის არ ეღირებოდა (გულია 1973: 197).
2. დსგზწაყაზარ ჭმუბას დაპ — თუ მან მიკითხოს, ასე უთხარი („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 23).
3. დარა იმთა სემშ — გურღარა გურჯდარახა დაასზგყალედტ — მისი ნაჩუქარი, ჩემი დღის სიხარული, დარდად მექცა („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 25).
4. ანცა ილა თენჩნგ აუს სზგმანშალახტ — ღვთით წყნარად საქმე ჩემთვის ისევ მოხერხებული გახდა („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 47).
5. ტაასზებერკვ, წაბერგ ტასპომეტ უდ მცრალა — მომისმინე, მართალს გეტყვი, უტყუილოდ („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 34).
6. ტსზფშეგ ხემქსა — მელოდე სამ წელიწადს („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 33).
7. ... დვაგვლანგ უბრახ დიზცემეტ — ადგომით იქ მიუვიდა („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 24).

სასხვისო (სასარგებლო) ქცევის **ზ**- პრეფიქსი ირიბი ობიექტის ნიშნის შემდეგ დვას ყოველთვის. ორპირიანი ზმნა სასხვისო ქცევის ფორმით გარდაუვალია.

სასხვისო (საზიანო) ქცევა

1. დაცგემშაროტუბ ხაწა ცვარაკ — კაცს არ უნდა ეშინოდეს სიავისა („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 33).
2. აპერკავ აპისარ იირბანდა იცგძტ — სანამ მწერალს ბრძანებას აჩვენებდა, დაეკარგა (გულია 1973: 174).
3. აპარა დაცგფხაშონ — თქმისა რცხვენოდა (გულია 1973: 175).
4. აშაა ზეგ ვეიფშის ირემოტ დარგაგ დზაცგმცტ — რაც ყველა ადამიანს ბედად აქვს, ისიც იმას ვერ გაექცა (აბუ.ტ.).
5. სნგჟნგ უცარა საცგნხარგმ — დამტოვებ რა, შენი წასვლა არ დამარჩენს („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 34).

6. კუტალქო აკ სცოგფჩაგ დტ — კვერცხები გამიტყდა (გულია 1973: 174).
7. უბრი არფეს შოარა იშოგ ცოცაზ — ის ყმაწვილი, თქვენ რომელიც გაგექცათ („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 28).
8. უჩიგ უსგე ისცოგფს დტ — შენი ცხენი მაინც მომიკვდა (აბუ. ტ.).
9. ახგჰგ დანიბა აგოგლრა დცოგუადაჯხე დტ — ბავშვი როცა დაინახა (რალაცის) გაბედვა გაუძნელდა (აბუ. ტ.).

სათავისო (სასუბიექტო) ქცევა

სათავისო ქცევის ფორმა სამპირიან ზმნაში შედარებით იშვიათად გვხვდება აფხაზურში.

1. უს ხანთაძაკ სა სჩააზგესკე დტ — ძალზე მძიმე საქმეს მივუძვენი თავი (მოვეკიდე) („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 35).
2. ბაშა ალაღრძ სა სჩაასგერგე დტ — ტყუილად ცრემლებს თავი მოვაკვლევი („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 41).
3. იჯნგ აშამხგ აჩაანარგე დტ — სირბილით წააყვანინა მუხლს თავი გაიქცა (გულია 1973: 176).
4. სარგე სჩააჰაასწაპ იჰან — მეც თავს შევაჭმევო თქვა და... (აბუ. ტ.).
5. აძღ დგრნგ ახგჰქა სემანგ აძღ სჩაალასგეჰგჰა — წყლის გადასვლით, ბავშვებთან ერთად თავს გადავიგდებო (აბუ. ტ.).
6. სნემნ წლა დუკ გღან სჩაავასკე დტ — მივედი, დიდი ხე იღვა, რა მას მივეკარი (აბუ. ტ.).

სამპირიანი ზმნები

სასხვისო (სასარგებლო) ქცევა

1. საშო ხა სზააჟოგ — ჩემი ყველი მე მომიტანეთ (გულია 1973: 188).
2. არი აშო ხა ხაზგ დსზგშოწაზ — ეს ყველი ცალკე ჩემთვის შეინახეთ (გულია 1973: 188).
3. აპატრეთ თჯნგ იზგესთიიტ — პორტრეტი გადავიღე და გავუგზავნე (გულია 1973: 176).
4. აადხ იტაჯ ივიზიტტო კარტოჩკა სზაათიაადტ-ჰა ტუზაა იც-ჰადტ — მოსულმა კაცმა სავიზიტო ბარათი გამომიგზავნოსო, შემოგიტვალა მან (გულია 1973: 176).
5. აშოა ლზგსჰო დტ უს იზგესჰაჯ — მე მას (ქ.) ვუმღერ, ვისაც ვუმღერდი („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 6).

6. ჰენტქარ ქტართას ილზდგრგლაზ — მეფის საჯდომ ადგილას რაც დაუდგეს („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 11).
 7. ზგგგ ირზგლშეეტ წვა ზმამ ჰამთა — ყველასათვის გაანაწილა მან (ქ.) უთვალავი საჩუქარი („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 12).
 8. აბას სზგრჟეტ სლანგნწაქა — ასე მიშვრებიან ჩემი ბედ-იღბლები („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 38).
 9. ამხე აგელაცია ძზგრცაღეეტ — მას ყანა მეზობლებმა მოუხნეს (აბჟ. ტ.).
 10. აბრი აშგროთრა ზეტჟ დშზგემდგრჟაზარ ისზედღეშკაა ძპეეტ — ეს ბალი ვისაც ეკუთვნის თუ თქვენ არ იცით, გამიგეთო, უთხრა (აბჟ. ტ.).
- სამპირიან ზმნებშიც ქცევის ზ- ფორმანტი ირიბ ობიექტური პირის ნიშნის შემდეგ დგას.

სასხვისო (საზიანო) ქცევა

1. ჟავგ იზგარტგ იყოჟ ზეგ სარა ირცგზგაპ-ჰა — კაცისაგან წასადები რაც არის, ყველაფერს მე წავართმევო (გულია 1973: 183).
2. ალაშაარა ამზ აცგლგან — ქალმა სინათლე მთვარეს წაართვა რა („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 27).
3. ალაღრძ ალაშაარა სეცნარძტ — ცრემლმა სინათლე დამაკარგვინა („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 40).
4. იმლაშუაზ სჩგ ნასემეწასგნ ისცაჟეეტ — შშიერი ცხენი ხელში მეცა რა, შემიჭამა (გულია 1973: 174).
5. რაბჯარქა რგბჰა ირცგრგონ — მათ აბჯრებს ართმევდნენ (გულია 1973: 176).
6. უბრი სცოგან აცენხურას — ეს წამართვა მის მაგივრად... (აბჟ. ტ.).
7. დაცჰპარფხაშაპ უბრი ჰარა — შევარცხვენთ მას ჩვენ (გულია 1973: 24).
8. დანი იაბი დგრცგრღე ჩჟეეტ — მის დედას და მამას იგი მას პარავს (აბჟ. ტ.).

ზმნურ ფორმაში საზიანო ქცევის ც- ფორმანტი, ზ- სასარგებლო ქცევის ფორმანტის მსგავსად, ყოველთვის ირიბი ობიექტის აფიქსს მოსდევს.

პოტენციალისის კატეგორია

აფხაზურ-ადილურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა შესაძლებლობის (პოტენციალისის) კატეგორია (ლომთათიძე 1955: 163).

პოტენციალისი ეწოდება გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც ამა თუ იმ მოქმედების შესაძლებლობას გამოხატავს.

პოტენციალისის კატეგორია დაკავშირებულია რეალურ სუბიექტთან.

პოტენციალისის კატეგორია მორფოლოგიურად აისახება ზმნაში.

აფხაზურ ზმნას პოტენციალისის კატეგორია ეწარმოება **ზ-** (ბზიფ. **ზ'-**) პრეფიქსით.

აფხაზურ-აბაზურში პოტენციალისის ნიშნის ადგილი მკაცრად ლოკალიზებულია, კერძოდ, ის ყოველთვის დგას რეალური სუბიექტის პირის ნიშნის შემდეგ: ი-სგ-ზ-გომ — „მე მას (ნ.) ვერ წავიღებ“... დ-ზ-ცომ — „ის ვერ მიდის“...

პოტენციალისის ნიშანი რთულ ზმნებში იწვევს სუბიექტის ნიშნის რთული ფუძიდან გადმოსმას: ი-ყა-ს-წოფტ — „მე მას (ნ.) ვაკეთებ“... ი-ს-ზგ-ყაწომ „მე მას (ნ.) ვერ ვაკეთებ“.

სამპირიან გარდამავალ ზმნაში პოტენციალისის წარმოებისას ირღვევა კუთვნილებით აფიქსთა ჩვეულებრივი თანმიმდევრობა (ლომთათიძე 1955: 249-255).

როგორც ცნობილია, სამპირიან გარდამავალ ზმნებში I ადგილას დგას პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის ნიშანი, II ადგილი ირიბი ობიექტური პირის ნიშანს უკავია, ხოლო III ადგილას გვხვდება სუბიექტური პირის აფიქსი: დ-ჟ-ს-თო-მ „მე შენ (მკ.) მას (ნ.) არ მოგცემ“. დ-ჟა-ს-პო-მ — „მე შენ (მკ.) მას (ნ.) არ გეტყვი“.

პოტენციალისის ფორმაში იმავე სამპირიან ზმნაში რეალური სუბიექტის ნიშანს უკავია II ადგილი: დ-სგ-ზ-ჟ-თო-მ — „მე შენ (მკ.) მას (ნ.) ვერ მოგცემ“, დ-სგ-ზ-ჟა-პო-მ — „მე შენ (მკ.) მას (ნ.) ვერ გეტყვი“...

პოტენციალისის აფიქსი ყოველთვის სუბიექტს უკავშირდება, ამიტომ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ეს კატეგორია ერთნაირად იწარმოება.

პოტენციალისის აფიქსის დართვა იწვევს გარდამავალი ზმნის პირის ნიშანთა ინვერსიას (რომელიც მორფოლოგიურ გამოხატულებას პოულობს რთულფუძიან და სამპირიან ზმნებში): გრამატიკული სუბიექტი იქცევა ირიბ ობიექტად და გადმოინაცვლებს მეორე, ირიბი ობიექტური პირის ადგილას:

- ი-ყა-ს-წოდტ — „მე მას (ნ.) ვაკეთებ“
- ი-ყა-ს-წო-მ — „მე მას (ნ.) არ ვაკეთებ“
- ი-ს-ზგ-ყაწო-მ — „მე მას (ნ.) ვერ ვაკეთებ“...

სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია რთული ფუძიდან.

- ი-ჟ-ს-თოდტ — „მე მას (ნ.) შენ (მკ.) გაძღვე“...
- ი-ჟ-ს-თომ — „მე მას (ნ.) შენ (მკ.) არ მოგცემ“...
- ი-სგ-ზ-ჟ-თომ — „მე მას (ნ.) შენ (მკ.) ვერ მოგცემ“...

სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია ირიბი ობიექტის პირის აფიქსის დადგენას, ხდება ინვერსია, გარდამავალი ზმნა იქცევა გარდაუვლად.

აფხაზურში პოტენციალისის კატეგორია ზმნის უარყოფით ფორმებს უფრო ახასიათებს, დადებით წარმოებაში კი იშვიათად გვხვდება (ლომთათიძე 1955: 154).

აფხაზურში პოტენციალისის კატეგორია ეწარმოება ზმნას ყველა დროსა და კილოში (ბრძანებითის გარდა), კაუზატიურ წარმოებასა და სათანაო კატეგორიაში.

უარყოფით წარმოებათა გარდა, პოტენციალისი გვხვდება ზმნის დადებით — ფინიტურ ფორმებშიც: **-ოდტ** და **-ჟბ** სუფიქსიანებში, (**-ჰა** ნაწილაკთან ერთად), ოლონდ, უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო ზმნა ყოველთვის უარყოფით ფორმაშია: **დ-ს-ზგ-ჟოდტ-ჰა** სგ-ყა-მ-გზტ „მე არ მეგონა, თუ შეგვამდი“... **დ-ს-ზგ-ჟა-ჰ-ჰა** სგ-ყა-მ-გზტ „მე არ მეგონა, შეგვამ-მეთქი“... ასეთი წარმოება პირობით შინაარსს შეიცავს.

დადებით წარმოებაში პოტენციალისი გვხვდება:

1. კითხვით ფორმებში: **დზხგსჟოჟ?** „შეუძლია ისროლოს?“, პირობით კილოში: **უზახაზარ „შენ (მკ.) თუ შეგიძლია უშველო“.**

2. ნატვრით კილოში: **სგზცანდაზ-ჰა რბ „ნეტავ შეგიძლო წასვლა“.**

აფხაზურში პოტენციალისი აღწერითადაც გადმოიცემა: **აღშაარა „შეძლება“ ზმნის სამუალეებით.** აილკაარა სგლგმშჟედტ „ვერ შევიძელ გამეგო“... **შდრ.: პოტენციალისის ფორმა: დ-ს-ზ-ე-დ-ლგ-მ-კაადტ...** „ის მე (ჩემთვის) ვერ გავიგე“ (ლომთათიძე 1955).

აფხაზურში ადგრა — „ცოდნა, გაგება“ ზმნის უარყოფითი ფორმები პოტენციალისის აფიქსის გარეშე არ იწარმოება. იგი მუდამ ქართული „ვერ“ ნაწილაკის შინაარსს ატარებს, ამხარულში კი იგზგზდგრამ „არ ვიცი“ ფორმის გვერდით ჩვეულებრივია **დგზდგრამ — „არ ვიცი“.**

პ. უსლარი პოტენციალისის აფიქსს უკავშირებდა ქცევის **ზ-** (ბზიფ. **ზ'-**) ნიშანსა და „თვის“ თანდებულს. პ. უსლარი აღნიშნავდა ამ პრეფიქსის მონაწილეობას უპირატესად ზმნის უარყოფით ფორმებში:

დზუტამ — „არ ვწერ“, ისგზუტამ — „არ შემძლია წერა“... პ. უსლარს ისიც ჰქონდა შენიშნული, რომ **ზ-** აფიქსის გავლენით, სუბიექტური პირის ნიშანი, რთულფუძიან ზმნებში ზმნის ფუძის გარეთ გამოდის (უსლარი 1887: 64).

ჟ. დიუმეზილი აღნიშნავდა პოტენციალისის არსებობას ზმნის დადებით წარმოებებში, როგორცაა „ისგზიქ უფეტ“ (დიუმეზილი 1932: 210).

ალ. ლეკიაშვილის მიერ გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პოტენციალისის კატეგორიის წარმოებისას გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებში განსხვავებული ვითარება დასტურდება. გარდაუვალ ზმნებში, ისევე როგორც ამას ფიქრობდა პ. უსლარი, **ზ-** (**ზ'**) ფორმანტი აღნიშნავს დანიშნულებას — „თვის“... სგზცომ — „რალაცისთვის (რალაცის გამო) (არ, ვერ) მივდივარ“, ხოლო რაც შეეხება გარდამავალ ზმნებს, აქ პოტენციალისის ფორმები უნდა წარმოადგენდეს *იღგრტამ, *დააგომ და სხვა გარდაუვალ, ვნებითი გვარის ფორმათა ქცევიან (კუთვნილების **ზ-** „თვის“ ელემენტთან) სახეობებს. *დააგომ „არ მოიტანება“, მაგრამ პოტენციალისი: ისზააგომ „არ მომეტანება“... სუბიექტის პირის გადანაცვლება კი (შდრ.: ისგზუტომ „ვერ მოგცემ“) იმითაა გამოწვეული, რომ **ზ-** (**ზ'-**) აქ ქცევის აფიქსია, რომელსაც ზმნის მოქმედება განეკუთვნება. გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი კი პოტენციალისის ფორმაში სუბიექტად იქცევა (ლეკიაშვილი 1948: 32-36).

ქ. ლომთათიძეს მიაჩნია, რომ ალ. ლეკიაშვილის მოსაზრება აფხაზურის რეალურ ვითარებას არ ასახავს, კერძოდ, პოტენციალისის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტის ნიშნის ადგილმდებარეობას: სამპირიან გარდამავალ ზმნებში სუბიექტის ნიშანი დაისმის მესამე ადგილზე, რთულფუძიან გარდამავალ ზმნებში სუბიექტის ნიშანი ჩაისმის ზმნის რთულ ფუძეში. ეს წესი ირღვევა სწორედ პოტენციალისის კატეგორიაში, რითაც გარდამავალი ზმნა იქცევა გარდაუვლად. ამის გამო, არ არის აუცილებლობა დავუშვათ აფხაზურ ენაში არსებობა არარეალური ვნებითი ფორმებისა *იღგრტამ, *დააგომ...

პოტენციალისის **ზ-** აფიქსი აფხაზურ-ადილურ ენებში მკვეთრად განსხვავდება ქცევის **ზ-** აფიქსისაგან ფუნქციითაც, გამოყენების წესითაც: ქცევის აფიქსი ერთპირიან ზმნებში არ გვხვდება (თუ ზმნას ქცევის ნიშანი შეზრდილი აქვს, ერთპირიან ფორმაშიც იქნება ქცევის კა-

ტეგორის ნიშანი); იგი გვაქვს ოდენ ირიბ ობიექტურ პირთან (გარდა კითხვითი ფორმებისა). ქცევის აფექსი დასტურდება როგორც დადებით, ისე უარყოფით ფორმებში, პოტენციალისის აფექსი უმეტესად დასტურდება ზმნის უარყოფითსა და ინფინიტურ ფორმებში და რაც დამახასიათებელია, დაკავშირებულია რეალურ სუბიექტთან — სულერთია, ერთპირიანი იქნება ზმნა, თუ მრავალპირიანი (ლომთათიძე 1955: 253).

პოტენციალისის **ზ**- პრეფიქსი ერთნაირად უკავშირდება რეალურ სუბიექტს, როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში და ორსავე შემთხვევაში იწვევს ზმნის ინვერსიულ წყობას, რომელიც თავის მორფოლოგიურ გამოხატულებას პოულობს გარდამავალ ზმნაში, ისიც გარკვეულ შემთხვევაში (რთული ფუძის მქონე ზმნაში, სამპირიან ზმნაში): გრამატიკული სუბიექტი იქცევა ირიბ ობიექტად (დაისმის მეორე ადგილას, ირიბი ობიექტის ადგილზე).

„პოტენციალისის კატეგორია მომდინარეობს ქცევის კატეგორიისაგან და ამდენადვე დამახასიათებელია პოლიპერსონალური, კერძოდ გარდამავალი ზმნისათვის. უნდა ვიფიქროთ, გარდამავალი, პოლიპერსონალური ზმნიდან შემდგომში იგი გავრცელდა გარდაუვალ ზმნებში“ (ლომთათიძე 1955: 249-255).

პოტენციალისის კატეგორია თავდაპირველად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ გარდამავალ ზმნათათვის. აქ ჩაისახა ინვერსიაც. აფხაზურ-აბაზურ გარდაუვალ ზმნებში იგი გავრცელდა შემდგომში. ადიღური და უბიხური ენების სუფიქსური პოტენციალისი მეორეული უნდა იყოს (ლომთათიძე 1976: 109).

ორპირიანი ზმნები

1. აჰ დც^ამა სგ ზ დ გ რ ამ — მთავარმა დაიძინა თუ არა, არ ვიცი (გულია 1973: 175).
2. საჟ^ა ილგმჰჰჰა ის ზ გ ნ ა მ გ ძ ე ძ ე ტ — ჩემი სიტყვა მის ყურამდე ვერ მივაწვდინე („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 21).
3. სარგგ შ^აგ ს ზ გ მ დ რ ძ ე ტ — მეც ვერ გიცანით (გულია 1973: 190).
4. აბრი აშ^აგ^ართრა ზგტ^აჟ დ შ^აგ ზ გ მ დ გ რ ჟ ა ზ ა რ ის ზ ა დ ლ შ^აკაა ძ^აეძე — ეს ბალი ვისაც ეკუთვნის, თუ თქვენ არ იცით, (ჩემთვის) გაიგეთო, უთხრა (აბჟ. ტ.).

5. ამც ჰა იჰაზჰომ — ტყუილს ჩვენ ვერ გეტყვიტ („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 18).
6. უფ იზგმგოდტ აცაჟარა — ვერ გაბედა მასთან საუბარი („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 21).

სამპირიანი ზმნები

1. ანამთაზ ისზალამგალტ — თავის დროზე მე ის ვერ შევიტანე (გულია 1973: 174).
2. უაჟე ისგზჟთომ — ახლა ვერ მოგცემ (გულია 1973: 177).
3. სნაპე ძაძამგზტ აყენტე ძუახა ისზგჟმ ჰედტ — ჩემი ხელი დაუბანელი მქონდა, ამიტომ წუხელ ვერ გითხარი (აბჟ. ტ.).
4. ამჟა დნეჟფჟგზ, ახაჰე ახზარა გჟგფსამ, ისგზსგდკგლომ, იჰან იიმთედტ — გზას დახედა, ჰვა საკმარისად არ არის მოყრილი და ვერ მივიღებო, თჟვა მან რა, არ მისცა მას (რალაც) (აბჟ. ტ.).

მე-4 მაგალითი საინტერესოა; სუბიექტის პირის ს- პრეფიქსი ორჯერ მეორდება სათავისო ქცევის მსგავსად: ი-სგ-ზ-სგ-დ-კგლო-მ — მე (ჩემთვის) ვერ მე მივიღებ... აქ ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც ჩველემენტით ნაწარმოებ სათავისო ქცევის ფორმაში.

უნებურობის კატეგორია

აფხაზურ-ადილურ ენებში ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის გამოიყოფა უნებურობის კატეგორია, რომელიც გამოხატავს რეალური სუბიექტის მიერ, მისი ნება-სურვილის გარეშე, ჩადენილ მოქმედებას.

აფხაზურში ეს კატეგორია იწარმოება **ამხა-** /**ამაჯა-** პრეფიქსით. ეს პრეფიქსი შედგება ორი **(ა)მა** და **ჯა** ნაწილისაგან. **მა-** ელემენტი „ხელის“ აღმნიშვნელ ძირად მიაჩნია **ქ. ლომთათიძეს** (ლომთათიძე 1954; ლომთათიძე 1976).

იგივე **მა-** ელემენტს გამოყოფს **ქ. ლომთათიძე** ე. წ. მიჩნევის (მოჩვენების) კატეგორიაშიც (ლომთათიძე 1970: 157). აბაზური ამ კატეგორიის საწარმოებლად იყენებს **გ-მა** პრეფიქსს.

მაჯა > **მხა** პრეფიქსის დამოკიდებულება ზმნის ფორმასთან ისეთივეა, როგორც პოტენციალისის წარმოებისას: დცედეტ — „მან (ად.) დაიძინა“, დამხაცედეტ — „მას (ად.) უნებურად ჩაეძინა“...

სამპირიან გარდამავალ ზმნებსა და რთულფუძიან ზმნებში უნებურობის კატეგორიის პრეფიქსი ისეთსავე ცვლილებას იწვევს, როგორსაც პოტენციალისის პრეფიქსი: აქაც სუბიექტური პირის ნიშანი ზმნის ფუძის გარეთ გამოდის და დაისმის პრევერბის წინ. სამპირიან გარდამავალ ზმნებში კი სუბიექტის ნიშანს უჭირავს მეორე ადგილი (ე. ი. ირიბი ობიექტის ადგილი), ხდება ინვერსია.

ქ. ლომთათიძის აზრით, პოტენციალისის კატეგორია უნებურობის კატეგორიასთან ისეთ მიმართებაში უნდა იყოს, როგორ მიმართებაშიც არის ე. წ. სასარგებლო **ზ**-, **ზ'**- და ე. წ. საზიანო **ც**⁰- პრეფიქსებით ნაწარმოები ქცევის კატეგორიები ერთიმეორესთან. **ზ**- პრეფიქსი გამოხატავს მიმართულებას ირიბ ობიექტური პირისაკენ, ხოლო **ც**⁰-პრეფიქსი კი მიმართულებას ირიბ ობიექტური პირიდან: ისზააგედ — „მომიტანა მე მან“, ისც⁰იგედ — „წაიღო ის ჩემგან მან“.

ც⁰- საზიანო ქცევის და **ამხა**- უნებურობის პრეფიქსები დასტურდება კონტამინირებულ ფორმებშიც: (ი)სც⁰ამხაჟედ — ის (ნ.) ჩემგან (მე) უნებურად შემომეჭამა... ისზგყამწედ — „ის მე ვერ გავაკეთე“, ისგზჟამჰედ — „ის მე შენ ვერ გითხარი“... ასეთი ფორმები უმთავრესად უარყოფითი წარმოებებისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო ისამხაყაწედ — „ის მე უნებურად გავაკეთე“, ისამხაჟჰედ — „ის მე შენ უნებურად გითხარი“ — ფორმები კი დადებითისათვის.

პოტენციალისისა და უნებურობის კატეგორიები კავშირშია ზმნის რეალურ სუბიექტთან.

ორპირიანი ზმნები

1. დ-ს-ამხა-ყაწედ — „ის (ნ.) მე უნებურად გავაკეთე“ (აბჟ. ტ.)
2. დ-ს-ამხა-წხედ — „ის (ნ.) მე უნებურად გავწელი“ (აბჟ. ტ.)
3. დ-ს-ამხა-ფყედ — „ის (ნ.) მე უნებურად გავჭერი“ (აბჟ. ტ.)
4. დ-ს-ამხა-ფჩიბ — „ის (ნ.) მე უნებურად გავტეხე“ (აბჟ. ტ.)

სამპირიანი ზმნები

1. დ-ს-ამხა-ლგ-თედ — „ის (ნ.) მე მას (ქ.) უნებურად მივეცი“ (აბჟ. ტ.)
2. დ-ს-ამხა-ლ-ჭაწედ — „მე მას (ქ.) ის (ნ.) უნებურად ვაჭამე“ (აბჟ. ტ.)
3. დ-ს-ამხა-ლგ-რ-ყაწედ — „მე მას (ქ.) ის (ნ.) უნებურად გავაკეთებინე“ (აბჟ. ტ.).

კაუზატივის კატეგორია

აფხაზურ-ადილურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის მნიშვნელოვანია კაუზატივის კატეგორია.

კაუზატივის კატეგორია აფხაზურ ენაში **რ**- პრეფიქსით იწარმოება.

კაუზატიურ წარმოებაში ზმნას ემატება ერთი, პირდ. ობიექტის პირი, გარდაუვალი ზმნა გარდამავალი ხდება. გარდამავალ ზმნებში **რ**-პრეფიქსს შეაქვს შუალობის შინაარსი — ზმნას უჩნდება ახალი, სხვისი საშუალებით მოქმედების შემსრულებელი პირი:

არაკაუზატიური ფორმა	კაუზატიური ფორმა
გარდაუვ. ზმნა	გარდამ. ზმნა
დგ-გგლტ	დგ-მ-რ-გგლტ
„ის (ად.) დადგა“	„მან (ად.) ის (ად.) დააყენა“
მ-ლგ-ჰგმტ	მ-ლგ-მ-რ-ჰგმტ
„დაწერა მან (ქ.)“	„დააწერინა მან (მკ.) ის (ნ.) მას (ქ.)“

სამპირიანი ზმნებიდან კაუზატიურ შინაარსს აფხაზური ენა აღწერილად გამოხატავს: უ-ლგ-რ-თარატ^გ ყა-ს-წაპ „შენ (მკ.) იგი (ქ.) მათ რომ მოგცენ ვიქმ“.

სამპირიან ზმნათა ფუძეში ნაწილაკებისა და ქცევის აფიქსთა მონაწილეობითა და კაუზატივის აფიქსით იწარმოება კაუზატივის კატეგორია: ი-უ-ზგ-ლ-სგ-რ-ძახუეძტ „მას (ნ.) შენთვის (მკ.) მე მას (ქ.) ვაკერინებ“, ი-უ-ზგ-ჩგჰ^ა-სგ-რ-გგლაპ „მას (ნ.) შენთვის (მკ.) მე დავდგამ კერასთან“.

კაუზატივის მნიშვნელობა შეიძლება გადმოიცემოდეს **ტ**^გ- დანიშნულების აფიქსით (ლომთათიძე 1945: 89).

კაუზატივის **რ**- პრეფიქსი მარტივფუძიან ზმნებში ძირის წინ დგას, რთულფუძიან ზმნებში კი ხან ფუძის წინ დგას, ხან ჩართულია ფუძეში (ლომთათიძე 1945: 89).

ზმნა კაუზატივის ფორმით, ყოველთვის გარდამავალია; თუ კაუზატივის ნიშანი განკვეთილ ფუძეშია, სუბიექტის ნიშანი მის წინ დგას, თუ კაუზატივის ნიშანი ფუძის გარეთ გამოდის, სუბიექტის ნიშანიც მას გადმოჰყვება.

კაუზატივის კატეგორიაში ცვლილებები ხდება სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობის ნიშნისა და ირიბი ობიექტის ნიშნის შეხვედრისას კაუზატივის კატეგორიის ფორმანტთან:

III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანია აფხაზურში **რ**- პრეფიქსი; იგივე **რ**- პრეფიქსი გამოიყენება ირიბი ობიექტის ნიშნადაც იმავე პირსა და რიცხვში... კაუზატივის **რ**- პრეფიქსის გამოვლენასთან ერთად, ზმნაში III პირის მრავლობითის ნიშანი და იმავე პირის ირიბი ობიექტის **რ**- ნიშანი წარმოდგენილია **დ**-ს სახით: სგდგრტ^ემტ „მე მათ დამსვეს“, *სგრგრტ^ემტ... დდდგრბომტ „ისინი მათ მას ანახვებენ“, *ირგრბომტ...

კაუზატივის ნიშანთან შეხვედრისას III პირის მრავლობითი რიცხვის **რ**- ნიშნის **დ**-დ ქცევა დისიმილაციურ მოვლენადაა ცნობილი.

ამ ფაქტის შესახებ **პ. უსლარი** აღნიშნავდა:

„ - , „...“

(უსლარი 1887: 62).

ნ. მარი გამოთქვამდა ვარაუდს აფხაზურის კაუზატივის **რ**- პრეფიქსის კავშირის შესახებ ბასკურ და სვანურ მრავლობითის ნიშანთან (მარი 1926: 246-247).

ქ. ლომთათიძე მიაჩნია, რომ აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენას (**რ** > **დ**) მოეპოვება თავისი მორფოლოგიური საფუძველი, იმდენად, რამდენადაც აფხაზური ენა ორი **რ**-ს თავმოყრას კარგად იგუებს: არგრჰარა „შეშინება“, დსგრგრჰაჟემტ „მე მათ ვაშინებ“... ეს აფიქსები წარმოშობით ერთნი ჩანს, შემდგომ ფუნქციურად განსხვავებული, ე. ი. კაუზატივის აფიქსიც იგივე მრავლობითის აფიქსი უნდა ყოფილიყო. ორი ერთნაირი აფიქსის თავმოყრამ განაპირობა ერთ-ერთის (პირის ნიშნის) დისიმილაცია.

დისიმილაციის ამ ფაქტში ქ. ლომთათიძე ხედავს პირის ნიშნის მოსალოდნელი სახეობის შემონახვის შემთხვევას: სწორედ იმიტომ უნდა განსხვავებულიყო ეს ორი აფიქსი ერთმანეთისაგან, რომ მათ ერთი წარმოშობა ჰქონდათ (შდრ. აღილ. ირ. ობიექტისა და სუბიექტის პირი ნიშანი **მ**... **მ რ**-ში გადადის, როცა ისინი ერთმანეთს ხვდებიან).

ქ. ლომთათიძის აზრით, ზმნის კაუზატივის ფორმაში III პირის ნიშნად გამოვლენილი **დ**- შეიძლება უკავშირდებოდეს სათანადო „**და-რა**“ ნაცვალსახელს, რაც თავისთავად იმას არ გამოორიცხავს, რომ მასთან კავშირი ჰქონდეს ადამიანის კლასის **დ**- ნიშანსაც: ეს მოვლენა

აფხაზურისათვის არაა უცხო: შდრ. **ჟარა-ჟ, სარა-ს...** კავკასიური ენე-ბიდან ცნობილია მრავლობითის აფიქსით ჯერ ქალის, ხოლო შემდეგ საერთოდ ადამიანის კლას-კატეგორიის გაფორმებაც (ლომთათიძე 1945: 93; როგავა 1954: 9-12).

ტაპანთურშიც კაუზატივის აფიქსი იწვევს III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნის **დ**-დ ცვლას. აფხაზურში ეს მოვლენა სისტემატურია, როდესაც **რ**- აფიქსით III პირის სუბიექტის მრავლობითობაა გადმოცემული, ხოლო როდესაც **რ**- ირიბ ობიექტს გამოხატავს, შესაძლოა დ-ს გვერდით **რ**-ც გვქონდეს: ი-დ-დგრ-გგლეფტ, ირდგრგელეფტ — „ისინი მათ მას უყენებენ“.

ტაპანთურში კი **რ**- აფიქსი ირიბი ობიექტის როლშიაც სისტემებრ **დ**-თია წარმოდგენილი: იდდერძახტ „მათ მათ ის შეაკერინეს“, იდდრგჟიტ „ისინი მათ აჭმევენ მას“...

ტაპანთურს (ადილეურის გავლენით) ერთი თავისებურება ახასიათებს: თუ ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა კაუზატივის წარმოების შედეგად სამპირიანი გახდება, მასში ორმაგად იქნება გამოხატული კაუზატივის შინაარსი; აფხაზურისაგან განსხვავებით, ზმნაში იქნება კაუზატივის ორი აფიქსი: დდგრგრგ^{აზ}ეფთა „ის მას მათგან შეეშინებინა“, დდდგრგრცატ „მათ იგი მან გააგზავნინა“ (ლომთათიძე 1944: 130).

კაუზატივის კატეგორია აშხარულშიც სხვა დიალექტთა მსგავსად იწარმოება, ოღონდ აქ უფრო ხშირად გამოიყენება. რთულფუძიან ზმნებში კაუზატივის **რ**- აფიქსის ფუძეში, ძირის წინ წარმოდგენა (და არა მის წინ, როგორც ეს აფხაზურშია) სისტემატურადაა გატარებული აშხარულში. აფხაზურის მონაცემი მეორეული ჩანს.

აშხარულისათვის უცხოა კაუზატივის ნიშნის ორმაგი ხმარება, რაც ტაპანთურში ჩვეულებრივი მოვლენაა და ადილეურის გავლენით აიხსნება (ლომთათიძე 1954: § 36).

ამრიგად, აფხაზურ-აბაზურში კაუზატივის კატეგორიის წარმოება პრეფიქსულია, მცირეოდენ გადახრათა გათვალისწინებით, კაუზატივის წარმოების თვალსაზრისით აფხაზური და აბაზური ენების დიალექტთა შორის თანხვედრაა.

აფხაზურში გამოიყოფა აღწერიტად და სიტყვაწარმოებითი სუფიქსით ნაწარმოები კაუზატივიც.

აფხაზურსა და აბაზურში კაუზატივის **რ**- პრეფიქსი გენეტურ კავშირშია ამავე ენაში არსებულ მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ **რ**-ფორმანტთან.

1. ხეშო მათ-პა იდსგრყაწეძე — სამას მანეთად გავაკეთებინო (გულია 1976: 184).

აღნიშნულ მაგალითში ირიბი ობიექტური პირის ნიშნის დისიმილაციაა აღსანიშნავი. დისიმილაციის პირობა თითქოს მოხსნილია: კაუზატივის **რ**- ნიშანსა და ირიბი ობიექტის მაჩვენებელს შორის **ს**- სუბიექტური პირის ნიშანია მოქცეული, მაგრამ მაინც დისიმილირებულია ირიბი ობიექტის **რ**-.

2. აჟაბჟ — სალამ სა დუსგრჰალაპ — სალმის ამბავს მე შენ გავაგონებ („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 31).

3. ურთქა ჰარა ჟარა დჟჰმგრბეძე — ისინი ჩვენ თქვენ არ განახვებინეთ („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 19).

4. სყამა დგუმგრგან — ჩემი ხანჯლით არ დაღუპო (გულია 1976: 176).

5. თათგკ საურხაროჟბ — თამბაქო უნდა მომაწევიო (გულია 1976: 191).

6. იბჟღ ღაღალა ინგიქირგეძე — ხმა ძლიერად ამოაღებინა (აბჟ. ტ.).

7. ანცა შარა შაქიმგრშააძე — ღმერთი თქვენ ნუ შეგახვედრებთ რაღაცას („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 44).

8. უდ დღირბეძე დარა იფსშართა — მათ უჩვენა თავისი მოსასვენებელი ადგილი (აბჟ. ტ.).

9. ... სკიპეტრ ღირკგძე — სკიპტრა დააკავებინა („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 11).

საურთიერთო კატეგორია

აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა საურთიერთო კატეგორია.

საურთიერთო კატეგორია გულისხმობს ზმნით აღნიშნულ მოქმედებაში ორი ან მეტი პირის (ინდივიდის) მონაწილეობას.

აფხაზურში ზმნის საურთიერთო კატეგორიის არსებობა პირველად შენიშნა **პ. უსლარმა** (უსლარი 1862: 64-66).

აფხაზურში, ადიღურსა და უბიხურში საურთიერთო კატეგორიას გამოყოფს **ჟ. დიუმეზილი** (დიუმეზილი 1931: 203-206).

ზმნის საურთიერთო კატეგორიას აფხაზურ-ადილურ ენებში შედარებითი თვალსაზრისით განიხილავს **ქ. ლომთათიძე** (ლომთათიძე 1961).

საურთიერთო კატეგორიას აფხაზურ-აბაზურში აწარმოებს პრეფიქსები: **ა(ა)-**, **ა(ა)-ც-**, **ა(ა)-ბა-**.

აფხაზურში **ქ. ლომთათიძე** გამოკვეთს **აა-** პრეფიქსის **ც-** და **ბა-** ელემენტებთან დაკავშირების შემთხვევებს, რის საფუძველზეც საჭიროდ მიაჩნია, ზმნის საურთიერთო კატეგორიაში გამოიყოს საურთიერთო-სათანაო (-**ა/ეაც-**) და საურთიერთო-საორმხრივო (**ა/ეაბა-**) ქვეკატეგორიები.

ც- სათანაოს ფუნქციით დამოუკიდებლადაც გვხვდება: სარა ლა-რა ს ლ გ ც უ პ — „მე მას ვახლავარ“, დ ი ც კ ა შ ო დ ტ — „ის (ად.) მასთან (მკ.) ცეკვავს“...

სათანაო კატეგორიით გამოხატული გარდამავალი ზმნის ფორმა სამპირიანია: ი ლ გ ც გ ს ტ ო დ ტ — „მას (ნ.) მასთან (ქ.) ერთად ვჭამ“, საურთიერთო-სათანაო აა ც- პრეფიქსით გამოხატულ კატეგორიაში გარდამავალი სამპირიანი ზმნა გარდამავალ ორპირიან ზმნად იქცევა: ი ლ გ ც გ ს ტ ო დ ტ > ა ე დ ც ა პ ტ ო დ ტ — „ჩვენ მას ერთად ვჭამ“, ე. ი. ირიბი ობიექტისა და სუბიექტის ორი განსხვავებული პირის ნაცვლად მივიღებთ მრავლობით რიცხვში დასმულ სუბიექტის პირს (ლომთათიძე 1960/1961: 279).

საურთიერთო კატეგორიის წარმოების პრინციპი აფხაზურში, ადილურსა და უბიხურში ერთნაირია.

აღნიშნულ კატეგორიაში ზმნის პირთა რაოდენობა მცირდება ერთით, ხოლო ზმნის გარდამავლობა იცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საურთიერთო-საორმხრივო პრეფიქსში თავმოყრილი აღმოჩნდება პირდაპირი ობიექტისა და სუბიექტის პირები.

აფხაზურში საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის მაწარმოებელი **ააბა-** პრეფიქსი რთული შედგენილობისაა: **აა-** საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს დამოუკიდებლად, **ბა-** პრეფიქსი კი ზმნებში ცალკე არ გვხვდება.

ბა- პრეფიქსს პ. უსლარი ადგილის ზმნისართებში გამოვლენილ **ბა-** ელემენტს უკავშირებს (უსლარი 1887: 64-66).

ე. დიუმეზილს ბა- პრეფიქსი რიცხვით სახელებში შემავალ ელემენტად მიაჩნია (დიუმეზილი 1931: 203, 206).

ზმნურ წინსართებში განიხილავს **აბა-** პრეფიქსს **ა. გენკო** (გენკო 1955: 171).

ქ. ლომთათიძე გამოთქვამს ვარაუდს **ბა-** ელემენტის ერგატივის ნიშნობაზე (ლომთათიძე 1961: 288).

აღნიშნული მოსაზრებანი ერთიმეორეს არ გამორიცხავს. უნდა ვიფიქროთ, რომ **ბა-** ელემენტი ადგილის ზმნისართული წარმოშობისაა, შემდეგ გამოყენებულ იქნა რიცხვით სახელებშიც.

აბა-/ემა- პრეფიქსი, განსხვავებით **აფ-/ეფ-** და **აფც-/ეფც-** პრეფიქსისაგან, მხოლოდ გარდამავალ ზმნებს ახასიათებს.

აფ-/ეფ- პრეფიქსი ზმნის მარტივ ფუძეს უშუალოდ არ ერთვის. მისი დართვა ზმნურ ფორმაზე ქცევის აფიქსთა, ან წინდებულთა დართვას იწვევს; **აბა-** პრეფიქსი თავისუფლად ერთვის რთული და მარტივი ფუძის მქონე ზმნებს. მარტივ მზნებში თითქოს **ბა-** ელემენტს აქვს დაკისრებული ფუძის გამრთულების ფუნქცია. ეს ფაქტი, შესაძლოა, **ბა-** ელემენტის ზმნისართულ წარმოშობაზე მიუთითებდეს.

რთულ **აბა-** პრეფიქსს გარკვეულ შემთხვევაში (თუკი მასში გაერთიანებული იქნება სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები) შეუძლია ზმნა გარდაუვლად აქციოს.

საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის წარმოებისას ორპირიან გარდამავალ ზმნათაგან მიიღება ერთპირიანი ზმნები. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები ერთიანდება მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: დგრდგრჟედტ „ისინი მას იცნობენ“, ემადგრჟედტ „ისინი ერთმანეთს იცნობენ“...

სამპირიან ზმნათაგან მიიღება ორპირიანი გარდამავალი ზმნა, როდესაც:

ა) ერთიანდება სუბიექტისა და ირიბი ობიექტის პირები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: ილასჰედტ — „მე მას (ქ.) ის უთხარი“, ემაბგრჰედტ — „მათ ის ერთმანეთს უთხრეს“...

ბ) თავს იყრის ირიბი და პირდაპირი ობიექტები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ პირდაპირი ობიექტის პირში:

დღგრბოდტ — „ის (ქ.) მას (ად.) ხედავს“, ემაბარბოდტ — „ისინი ერთმანეთს ხედავენ“...

საურთიერთო კატეგორიის **აფ-/ეფ-** და საურთიერთო სათანაო ქვეკატეგორიის **აფც-/ეფც-** პრეფიქსები დამოუკიდებლად იმისაგან, ზმნის ფუძე რთულია თუ მარტივი, ფუძის წინ დაისმის. ეს იმით არის

გამოწვეული, რომ ისინი დაკავშირებულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტთან ან ირიბ ობიექტთან, რომლებიც აფხაზურში მუდამ ფუძის წინ გვხვდება.

აბა- პრეფიქსი რთულფუძიან ზმნებში ფუძეშია ჩასმული აფხაზურში, ხოლო ტაპანთურში **აბა** || **აბა** პრეფიქსი ასეთ შემთხვევებშიც ფუძის წინ დაისმის: ათაგ^არა — „წაჯიკაგება“, აბათაგ^არა ურთიერთ წაჯიკაგება (ლომთათიძე 1944: 191).

ფუძეში **აბა-** პრეფიქსი გვხვდება სახეცვლილი სახით: **აბა** > **ეაბა** > **იიბა** > **იბა**...

აბა- პრეფიქსს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ახასიათებდეს ინფიქსაცია, როდესაც იგი შეიცავს სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს, ან სუბიექტსა და ირიბ ობიექტებს, ხოლო თუ **აბა-** პრეფიქსი აერთიანებს პირდაპირსა და ირიბ ობიექტებს, იგი ველარ უნდა ახერხებდეს ზმნის ფუძის განკვეთას.

შესაძლოა, **აბა-** რთული პრეფიქსის **ბა-** ელემენტი **ჰბა-** „ორი“ რიცხვით სახელს შემოჰყოლოდა ზმნაში (**ჰ** დაკარგულიყო) შდრ. ქართ. (ერთმანეთი, ერთი მეორე). აქაც რიცხვითი სახელები მონაწილეობს საურთიერთო კატეგორიის აღწერით სახეობაში (მაჭავარიანი 1999).

ქ. ლომთათიძე **აბ-** საურთიერთო პრეფიქსის ზმნაზე დართვის ერთ-ერთი შემთხვევის დროს ადასტურებს „**აბჰ**“ ელემენტს და ვარაუდობს, რომ **ჰ** შესაძლოა „ორი“ რიცხვითი სახელის — „**ჰბა**“ ძირი იყოს: აბჰდგრა^არა — ურთიერთგამოცნობა (ადგრა — „ცოდნა“) (ლომთათიძე 1960/61: 278).

აღნიშნულის საფუძველზე ჩვენ საშუალება გვძლევა აფხაზური ენის ზმნის საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის მაწარმოებლად აღვადგინოთ ***აკგ-ჰგბა** პრეფიქსი, რომლისგანაც შემდგომში **აბა-** პრეფიქსი უნდა ჩამოყალიბებულიყო. აღნიშნულ ***აკგ-ჰგბა-ში** პირველი ნაწილი, ვგარაუდობთ, ტოლფარდი უნდა ყოფილიყო **აკგ** — „ერთი“ რიცხვითი სახელისა, ხოლო მეორე ნაწილი **ჰბა** — „ორი“ რიცხვითი სახელისა..., სადაც **კ** უნდა დაკარგულიყო სიტყვის თავიდან პოზიცი-აში, ხოლო **ჰ** ბაგისმიერი **ბ-** ბგერის მეზობლობაში შეიძლებოდა გაუჩინარებულიყო (მაჭავარიანი 1999; მაჭავარიანი 2016).

წარმოდგენილ მოსაზრებას მხარს უჭერს ქართველური და ადიღური ენების მონაცემებიც. ამ ენებშიც საურთიერთო შინაარსის გადმოსაცემად ენა ძირითადად რიცხვით სახელებს ან ისეთ აფიქსებს იყენებს, რომელთა ამოსავლადაც რიცხვითი სახელები ივარაუდება.

ამ მოსაზრებას ხელს უშლის რიცხვით სახელთა დიფერენციაცია ადამიანად — **ჰგჷა** — „ორი ადამიანი“, და ნივთად — **ჰბა** — „ორი რალაც (ნ.)“, რაც შეიძლება გვიანდელი მოვლენა იყოს. თავდაპირველად ადამიანისთვისაც და ნივთისთვისაც ერთი და იგივე რიცხვით სახელური ფორმა უნდა ხმარებულყო, როგორც ეს ქართულშია: „ორი კაცი“, „ორი ცხენი“... (მაჭავარიანი 1999, მაჭავარიანი 2016).

აფ > ეფ- პრეფიქსით ნაწარმოები ერთპირიანი ზმნები:

1. უგ^ოგა უფსგა ემეწანარსგნ — შენი გული და სული შეუტყურია („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 29).
2. ჰადაპა კრექ^ოწა „რაიმეზე დავნაძლევდეთ“ („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 15).
3. უს ჟამაშ^ოა რნაპე ემეურაშან ემეუსრადა — ასე საოცრად ხელით გარს შემოწვდა („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 46).
4. ბერლაშ^ო უა ინეფლალან — მარგალიტი იქ შიგ რომ გაერია („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 43).
5. უაჟ^ე ზენდაკ ლეექ^ოშ^ოაძეძეტ — ახლა მთლად გაუმართლა (გულია 1973: 183).

ორპირიანი ზმნები:

1. სგლან^ნ ექ^ეუსსტ სადიზურუოზ — „რაზეც ვდარდობდი, იმაზე შუბლი გავიხსენი“ („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 26).
2. ... ხუჭდაკ დსეფფ^ეშაჟ^ბ უა ავთანდილ — ცოტათი მგავს ის ავთანდილი („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 14).
3. უა იჩაკუარ დეფლაჰაძეტ ნაყ იც^ეგიგარცგ — ის იორლა მოეწონა სხვაგან წასაყვანად („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 43).
4. ამცა ექ^ეიწ^ეძეტ ემეგმცალა — ცეცხლი დაანთო კვესით („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 41).
5. ატ^ეგმ ტ^ეგლა კერ ნემიდეძეტ — მრავალი უცხო ქვეყანა მოიარა („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 39).

სამპირიანი ზმნები:

1. ბლალა ამჟა უდ ინეღირგეღტ — თვალით გზა იქ გაარჩევინა („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 41).
2. შერმადინ უა ზგგ ნეღზიგეღტ — შერმადინმა იქ ყველა შეუკრიბა („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 37).

ადც Ē / ედც- პრეფიქსით ნაწარმოები ორპირიანი ზმნათაგან მიღებული ერთპირიანი ზმნები:

1. უარგჯ სარგჯ უბრახჯ ჰადცცაპ — შენც და მეც იქ ერთად წავიდეთ („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 34).
2. ჟოხბო ჟაგჯ ედცნგყტომ — თხუთმეტი კურდღელიც ერთად არ დადის (აბჟ. ტ.).
3. ხუჭქაა შთაჟ ედცთანხონ — მისი შვილები ერთ ეზოში ერთად ცხოვრობდნენ (აბჟ. ტ.).
4. იმადბუა დანლაგა ედცრგწტეღტ, ხაზ-ხაზგ იდგქლოღტ — ერთმანეთში უთანხმოებას რომ დაიწყებენ, ერთმანეთს ეყრებიან, ცალ-ცალკე მიდიან (აბჟ. ტ.).

სათანაო კატეგორია (ც- პრეფიქსით ნაწარმოები)

ორპირიანი ზმნები

1. დარა იფაკ იეფშა დნაცუნალეღტ — იგი მისი შვილის მსგავსად სახლში შეპყვა („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 23).
2. ინეფგონ იკამბაშ იცდგრგლარაზგ — მიჰყავდათ მისი კამეჩი, რომ მასთან ერთად დაეყენებინათ (გულია 1973: 199).

სამპირიანი ზმნები

1. ისგცნაზგოზ უს ახშარა — შვილი ჩემი შესაფერი გვერდში ვინც ამომიდგება („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 14).
2. ახა აძოგ დანსგცეღჰო — მაგრამ ვილაც როცა ჩემთან ერთად ამბობს (მღერის) (აბჟ. ტ.).

**საურთიერთო-საორმხრივო კატეგორია
(აღბა-პრეფიქსით ნაწარმოები)**

1. აღზრცედე დარე დედადგრენ — ქურდები და იგი ერთმანეთს იცნობდნენ (აბუ. ტ.).
2. ედბარწოგუან ურთ აჯავგ — ერთმანეთს შესტიროდნენ ორივენი („ვეფხისტყაოსანი“, აფხ. თარგმ. 1941: 46).
3. აპ იფჰედ აჭკენი დგოფხედაშან ლხაწედ დფჰესი დედაგედტ — მეფის ასულსა და ბიჭს ერთმანეთი მოეწონათ და დაქორწინდნენ (აბუ. ტ.).
4. დვაგლან ფანედ იარედ დაგოდგბაპალედტ- ფანა და იგი წამოდგენენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ (აბუ. ტ.).
5. ფანედ ფაგედ დეშცა გაკაქა რედფშ ბზია ედაბონ — ფანას და ფაგუს ღვიძლი ძმებივით უყვარდათ ერთმანეთი (აბუ. ტ.).
6. შონედაც, შონედაც, აფსუა რგჰკენცა! — ერთად გასწით, აფხაზთა შვილებო! (ზუხბა 1981: 415).
საინტერესოა შემთხვევები (იხ. მაგალითი მე-6), როდესაც აღბა-პრეფიქსს „ერთად“ სიტყვის მნიშვნელობა აქვს და არა „ერთმანეთის“...
ზოგჯერ აღბა-პრეფიქსი „მოულოდნელი“ მნიშვნელობით იხმარება: იგოდედაკუედტ „გული უჩუყდება“ (აბუ. ტ.).

ზმნის ზოგიერთი წარმოქმნის კატეგორიის თავისებურებანი აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში

ზემოთ განხილულ ზმნურ კატეგორიათაგან აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველება თავისებურებებს ავლენს პირ-კლასის ნიშნების ხმარების მხრივ, კაუზატივისა და მოჩვენებითობის კატეგორიის წარმოების მხრივ. დანარჩენი კატეგორიების წარმოებაში მნიშვნელოვანი სხვაობა არ შეინიშნება.

ქვემოთ განვიხილავთ აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს

პირ-კლასის ნიშნები

ცნობილია, რომ გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის ნიშანი **ჲ**- (მესამე პირის მხოლოდითისა და იმავე პირის მრავლობითის ნიშანი) ზმნაში იკარგება, თუ ზმნა უშუალოდ მოსდევს გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელ სიტყვას: სარა აწ^ა სჴოდტ „მე ვაშლს ვჭამ“ ... ეს წესი საკვლევ მეტყველებაში დაცულია, თუმცა აღნიშნულ შემთხვევებში ხშირად შენარჩუნებულია **ჲ**- პრეფიქსი.

აჴთახტჴ დსაჰ — რაც გინდა ის მითხარი შდრ.: აჴთახტჴ საჰ^ა ახმელა დშ^აგმგენ — არ შერცხვეთ, ზედმიწ.: „არ აიღოთ სირცხვილი“ შდრ.: ახ^აგმძღ შ^აგმგან

ფერიელ აფხაზთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია **ჲ**- პრეფიქსის გამოტოვება იქ, სადაც სხვა დიალექტებისათვის იგი აუცილებელია:

დლაშწეძტ, სარგ^არ^ა სახაშტგძტ — დაბნელდა და დამავიწყდა მის შესახებ, შდრ.: დგსხაშტგძტ (კილბა 1983: 49).

კაუზატივი

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში კაუზატივის რ- პრეფიქსი განკვეთს აყაწარა „კეთება“ ზმნის ფუძეს, ისევე, როგორც სალიტერატურო ენაში, მაშინ, როდესაც დიალექტებში იგი მთლიანი ფორმის წინაც გვხვდება:

ლარა ურთ დტყალგრწეძტ — მან (ქ.) მათ გააკეთებინა, შდრ.: დტლგრყაწეძტ. (კილბა 1983: 67).

მოჩვენებითობის კატეგორია

„მოჩვენებითობის კატეგორია“ მხოლოდ აბაზური ენისათვისაა დამახასიათებელი. მისი მაწარმოებელია **-გ/-მა** პრეფიქსი. ფერიელ აფხაზთა მეტყველებაში ე. კილბა ადასტურებს ამ კატეგორიის არსებობას: არრ აკ^აც დგმაბზიამახედტ — ეს ხორცი მას კარგი არ მოეჩვენა (კილბა 1983: 67).

უღლები კატეგორიები

ზმნა აფხაზურ ენაში გამოირჩევა თავისი რთული აგებულებით. ერთსა და იმავე ზმნურ ფორმაში თავი შეიძლება მოიყაროს ათზე მეტ-მა მორფემამ, რომლებიც წარმოქმნისა და უღლების კატეგორიებს მიეკუთვნება.

ცნობილია, რომ იბერიულ-კავკასიური ენების ზმნა რთული მორფოლოგიით ხასიათდება. ამ მხრივ აფხაზური ზმნა ზერთულად შეიძლება დახასიათდეს.

აფხაზური ზმნით შეიძლება სხვა ენათა მთელი წინადადებით გამოხატული აზრის გადმოცემა. განსაკუთრებით ეს ეხება ფინიტურ-ინფინიტურ წარმოებას ზმნისა (რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ). ეს უკანასკნელი სხვა ენათა მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ფუნქციებს ითავსებს.

სტატიკურობა-დინამიკურობა

ზმნები აფხაზურში ორ რიგად იყოფა: სტატიკურად და დინამიკურად.

სტატიკურობა-დინამიკურობას აფხაზური ზმნის უღლებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

სტატიკური ზმნები

სტატიკურ ზმნებს თავისებური ფუძე აქვთ და ისინი დროთა წარმოების მიხედვით ძალზე შეზღუდულია, აქვთ აწმყო დრო -**უბ** სუფიქსით ნაწარმოები და ნამყო განუსაზღვრელი დრო -**ნ** სუფიქსით ნაწარმოები:

სტატიკური ზმნის ფუძედ შეიძლება გამოყენებული იყოს არსებითი და ზედსართავი სახელის ფუძე (ა- პრეფიქსჩამოშორებული და დრო-კილოთა, პირ-კლასისა და სხვა კატეგორიათა ნიშნებდართული): სარა სგბზიოაუბ > სგბზიუბ „მე კარგი ვარ“, სარა სგდგუბ „მე დიდი ვარ“.

-**ზაა** სუფიქსიანი მასდარისაგან სტატიკური ზმნის წარმოებისას ეს სუფიქსი ძირს ჩამოსცილდება: ა-ყა-ზაა-რა „ყოფნა, არსებობა“, სგ-ყო-უბ „მე ვარ“, ა-მა-ზაა-რა „ქონა, ყოლა“, ძსგ-მო-უბ „ის მე მაქვს, მყავს“.

ზოგჯერ სტატიკური ზმნა დინამიკური ზმნის ფუძისაგანაც იწარმოება, მას შედეგობითი შინაარსი ექნება:

- ი-ყა-ს-წო-მტ „მე რალაცას ვაკეთებ“
- ი-ყა-წო-უბ „იგი ვაკეთებულა“

ამგვარი წარმოებისას დინამიკური გარდამავალი ზმნა სტატიკურ გარდაუვლად იქცევა. სტატიკური ზმნა ყოველთვის გარდაუვალია.

ზოგი ზმნური ფუძე დინამიკურ და სტატიკურ ზმნას ერთდროულად აწარმოებს. მაგ.: ა-ტ ა-რა „ჯდომა“, ა-გგლა-რა „დგომა“, ა-ც ა-რა „დაძინება“... სტტ ოტუბ „ვზივარ“ სტტ ომტ „ვკვდები“, დც ოტუბ „სძინავს მას“, დც ომტ „იძინებს იგი“...

დინამიკური ზმნები

დინამიკური ზმნები იწარმოება საკუთრივ დინამიკურ ზმნათა ფუძეებიდან: ა-ბა-რა „ხედვა“, ა-ცა-რა „წასვლა“, ა-ბგლ-რა „წვა“...

გარდა ამისა ნასახელარი სტატიკური ზმნური ფუძეებისაგანაც:

ა) ნასახელარ სტატიკურ ზმნას ერთვის გარდაქცევილობის მაღინამიკურებელი **-ხა** სუფიქსი:

ა-ყ გმა „ჭკვიანი“, სტატიკური: დ-ყ გმა-ტუბ „იგი ჭკვიანია“ დინამიკ. დ-ყ გმა-ხე-მტ „იგი დაჭკვიანდა“.

ბ) გარდამავალი ნასახელარი დინამიკური ზმნის მისაღებად გამოიყენება ა-ტ გ „მონა, საკუთრება“ სიტყვისაგან მომდინარე **-ტ** აფიქსი, რომლის წინ ფუძეში ჩნდება სუბიექტის კლასოვან-პიროვანი პრეფიქსები: აბზა „ცოცხალი“ — სტატ. მ-ბზი-ტუბ „იგი (არაგ.) ცოცხალია“, დინამიკ. მ-ბზა-ს-ტ -მტ „მე იგი (არაგ.) გავაცოცხლე“.

გ) დინამიკური ზმნის საწარმოებლად გამოიყენება **რ-** კაუზატივის პრეფიქსი: ა-მაშა „მართალი“, — სტატ. მ-მაშო-ტუბ „იგი (არაგ.) მართალია“, — დინამიკ. ისგ-რ-იაშე-მტ „მე იგი (არაგ.) გავამართლე“.

დ) გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების ერთი ჯგუფი გასადინამიკურებლად იყენებს დამოუკიდებელ სახელთა ფუძეებისაგან მომდინარე ფუძე-წინდებულებზე დართულ ძირ-სუფიქსებს: **-წა, -ხ, -ლა, -წ...** ა-ქ -წა-რა „რამეზე დადება“, აქ გ-ხ-რა „ზედაპირიდან აღება“, ა-ქ -ლა-რა „რამეზე ასვლა“, ა-ქ გ-წ-რა „რამედან გამოსვლა“.

ზმნის ფინიტური და ინფინიტური ფორმები

აფხაზურს არ მოეპოვება დამოკიდებული და მთავარი წინადადებები, როგორც დამოუკიდებელი სინტაქსური კატეგორია, არა აქვს აგრეთვე დამოკიდებული წინადადების კავშირები. ის, რაც სხვა ენებში სინტაქსის სფეროს განეკუთვნება და წარმოდგენილია მთავარი და დამოკიდებული წინადადებების სახით, აფხაზურში თავისებურადაა ასახული ზმნის დრო-კილოთა ფორმებში.

ამის მიხედვით აფხაზურში გვაქვს დროთა წარმოების ორი ფორმა. მთავარი წინადადების შესაბამისი დროთა ფინიტური წარმოება და ფინიტური წარმოების ზმნური დაბოლოებები. ეს დაახლოებით, მთავარი წინადადების როლში გამოდის სხვა ენებში, მაგ.: სარა სცეფტ „მე წავედი“.

დროთა ისეთ წარმოებას კი, რომელიც სხვა ენების დამოკიდებულ წინადადებას შეესაბამება, ქეთევან ლომთათიძე უწოდებს ინფინიტურ წარმოებას.

საგარემოებო ელემენტთან ზმნათა ინფინიტური წარმოება

ინფინიტური წარმოების ზმნა ფინიტური წარმოების ზმნისაგან იმით განსხვავდება, რომ მას პრეფიქსად უჩნდება სხვადასხვა საგარემოებო ელემენტი: ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის...

დროის — ან „როცა“, ადგილის -ან“ „სადაც“, ვითარების -შა „როგორც“, მიზეზის ზ- „იმიტომ, რის გამო“.

ეს საგარემოებო ელემენტები ზმნაში დაისმის „დ“-ს რიგის აფიქსთა შემდეგ. საგარემოებო პრეფიქსის დართვა იწვევს ზმნის სუფიქსის შეცვლასაც: ფინიტობის -ნ სუფიქსი ინფინიტურ წარმოებაში -ზ სუფიქსით შეიცვლება:

ს-ც-ო-ნ	„მე წავედი“,
ს-ან-ცო-ზ	„როცა წავედი“,
ს-ან“-ცო-ზ	„სადაც წავედი“,
ს-შა-ცო-ზ	„როგორც წავედი“.

იმისათვის, რომ წინადადებას დასრულებული სახე ჰქონდეს, აფხაზურში აუცილებელია წინადადებაში ერთი ფინიტური წარმოების ზმნა მაინც იყოს (გამონაკლისია კითხვითი წინადადება) მაგ.: ს-ან“-ნე-ე-ჟა ე-ჟ-ა-ს-ჰ ო-მ „არ გეტყვი სად მივდივარ“, ზედმიწევნით: „სადაც მივდივარ (იმას) შენ (მკ.) მე არ გეტყვი“.

ზმნის ფინიტურობა ანუ დასრულებულობა საგანგებო მორფემებით გამოიხატება, ამათგან ზოგი მხოლოდ ფინიტობის გამომხატველია, ზოგი კი ერთდროულად გადმოგვცემს ფინიტობასაც და დროსაც:

ოდენ ფინიტობისაა დინამიკურ ზმნათა -**მტ** || > **ტ**, ფინიტობასთან ერთად დროსაც აღნიშნავს -**ნ** და სტატ. ზმნათა -**პ** სუფიქსები.

სტატიკურ ზმნებსაც, ისევე, როგორც დინამიკურს აქვთ დროთა ინფინიტური წარმოებაც. ფინიტობის -**ჟბ** სუფიქსი აწმყო დროისა, რთული მონაცემია. ინფინიტურ წარმოებაში -**პ** ჩამოშორდება და დარჩება მხოლოდ -**ჟ**. მაგ.: დანყოფ „როცა არის“, დანყოფ „სადაც არის“, დგმყოფ „როგორც არის“.

სამიმართებო პრეფიქსიანი ინფინიტური წარმოება

აფხაზურს არ მოეპოვება მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც... სხვა ენების რთულ წინადადებათა წევრ-კავშირები აფხაზურში მოქცეულია ინფინიტური წარმოების ზმნაში და გამოხატავს სასუბიექტო და საობიექტო მიმართებებს: „წამსვლელი — ის ვინც მიდის“, „ის რაც მიდის“, ოღონდ:

დროთა ინფინიტურ წარმოებაში გამოიყენება მიმართებითი **ზ**-პრეფიქსი ადამიანისათვის (გონიერთა კლასი) და **ი** — ნივთისათვის (არაგონიერთა კლასი). მაგ.: იზქო „ვინც ჭამს, მჭამელი“, იდქო „რასაც ჭამს, შესაჭმელი“.

ზმნის ფორმაში მხოლოდ ერთი პირი შეიძლება იყოს მიმართებითი **მზქა** „ვინც შეჭამა“, **მლქა** „რაც შეჭამა“, **მუსთა** „რომელიც მე შენ (მკ.) მოგვცია“, **დუზთა** „ვინც შენ (მკ.) ის (ად.) მოგცა“...

ამრიგად:

მ(გ) ენაცვლება „**დ**“-ს რიგის პირ-კლასის აფიქსებს, მუდამ პირველ ადგილას დგას ზმნაში და გამოხატავს: ერთპირიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტს, ორპირიანი გარდაუვალი ზმნის ირიბ ობიექტსა და გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს:

ერთპირიანი გარდაუვალი სტატიკური ზმნა	
ფინიტური წარმოება	ინფინიტური წარმოება
სარა სგ-ყოფ „მე ვარ“	მ(გ)-ყოფ „ვინც, რაც არის“
ერთპირიანი გარდაუვალი დინამიკური ზმნა	
სარა სცოდტ „მე მივდივარ“	მ-ცო „ვინც, რაც მიდის“

ორპირიანი გარდაუვალი სტატიკური ზმნა	
სარა დ-სგ-მოჸუპ აჯგზა „მე მყავს მეგობარი“	სარა დ-სგ-მოჸუ აჯგზა „მეგობარი, რომელიც მე მყავს“
ორპირიანი გარდამავალი დინამიკური ზმნა	
ფინიტური წარმოება	ინფინიტური წარმოება
სარა დგზბოდტ ახ გჸგ ფშჸა „მე ვხედავ ლამაზ ბავშვს“	სარა დგზბო ახ გჸგ დგფშჸოჸუ „ბავშვი, რომელსაც მე ვხედავ, ლამაზია“

მსგავსივე ვითარებაა სამპირიან გარდამავალ ზმნებშიც: დ-ჸ-ა-ს-ჰ აზ „რაც მე შენ ვითხარი ის“...

ზ- გამოიყენება მხოლოდ ორპირიან და სამპირიან ზმნებში და არ იხმარება ერთპირიანებში, რადგან იგი ენაცვლება „ლ“-ს რიგის პირ-კლასის პრეფიქსებს, ეს უკანასკნელნი კი არ გამოიყენებიან ერთპირიან ზმნებში.

სამიმართებო **ზ**- პრეფიქსი ენაცვლება ორპირიანი გარდამავალი ზმნისა და ყველა გარდამავალი ზმნის სუბიექტის, აგრეთვე გარდამავალი ზმნის ირიბი ობიექტის ნიშნებს:

ორპირიანი გარდამავალი ზმნებია	
ფინიტური წარმოება	ინფინიტური წარმოება
დარა სარა დგზბოდტ „მე მას ვხედავ“	სარა სგზბო „ვინც, რაც მე მხედავს, ჩემი დამნახავი“
ორპირიანი გარდაუვალი ზმნა	
დარა სარა დგგმოჸუპ „მე იგი(ნ) მაქვს“	სარა სგგმოჸუ „ვისაც, რასაც მე ვყავარ“

შდრ. აგრეთვე სამპირიანი გარდამავალი ზმნის ფორმები. ერთი მხრივ: დ-რგ-ზ-თო „ვინც, რაც მათ რაღაცას აძლევს“ და მერე მხრივ: დ-ზგ-რ-თო „ვისაც, რასაც ისინი მას(ნ.) აძლევენ“.

იგივე **ზ**- პრეფიქსი გამოიყენება სახელთა კუთვნილებით-სამიმართებო ფორმებშიც და „ლ“-ს რიგის პრეფიქსებს ენაცვლება:

სარა ს-გვზნ „ჩემი სახლი“, ზგვზნ „ვისი, რისი სახლიც“.

ამ ტიპის ფორმებთან აუცილებელია:

ჯერ ინფინიტური და შემდეგ ფინიტური წარმოების ზმნათა ერთდროული ხმარება:

ზგ-ვზნ (ა)-ზგ-ზ-დგრგგლაზ ახაწა დააფტ

ინფ.

ფინ.

ზედმიწ: „სახლი ვისაც აუშენეს, კაცი მოვიდა“.

ზმნის დრო-კილოთა სისტემა

აფხაზურს აქვს სამი გრამატიკულად გამოხატული დრო: ახლანდელი, წარსული, მომავალი. თითოეულ დროს რამდენიმე ნაკვთი (მწკრივი) შეესაბამება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზმნები აფხაზურში ორ რიგად იყოფა: სტატიკურ და დინამიკურ ზმნებად. ნაკვთთა წარმოება სტატიკურ და დინამიკურ ზმნებს სხვადასხვაგვარი აქვთ.

სტატიკურ ზმნებს თავისებური ფუძე აქვთ და ისინი დროთა წარმოების თვალსაზრისით ძალზე შეზღუდულია, დინამიკური ზმნა კი უფრო მდიდარია ნაკვთებით.

სტატიკური და დინამიკური ზმნების ყველა ნაკვთის ფორმა განარჩევს ფინიტურ და ინფინიტურ წარმოებას.

სტატიკური ზმნის ნაკვთები

სტატიკურ ზმნას აქვს ფინიტური აწმყო -**ჟბ** სუფიქსით ნაწარმოები და ფინიტური ნამყო განუსაზღვრელი -**ნ** სუფიქსით ნაწარმოები.

რთული -**ჟბ** სუფიქსი დროსა და ფინიტობას ერთდროულად გამოხატავს. **ჟ**-დროისაა, **ბ** ფინიტობის მაგ.: სყოჟბ „ვარ“, ძბზიოჟბ „კარგია“, ძხააჟბ „ტკბილია“...

აწმყოს ინფინიტურ ფორმას ოდენ -**ჟ** სუფიქსი აწარმოებს. მაგ.: სახწყოჟ „სადაც ვარ“, ძმებზიოჟ „ის რომ კარგია“, ძხააჟ „რაც ტკბილია“...

ნამყო განუსაზღვრელის ფინიტურ ფორმას აწარმოებს **-ნ** სუფიქსი. მაგ.: სგყან „ვიყავი“, ძბზიან „კარგი იყო“... ინფინიტურ ფორმაში კი **-ნ** სუფიქსის ადგილას **-ზ** სუფიქსი ჩნდება, ფონეტიკური ცვლილება არ ხდება; მაგ.: სახ^ნგყაზ „სადაც ვიყავი“, დშეზბზიან „კარგი რომ იყო“...

ზოგ სტატიკურ ზმნას ერთვის განგრძობითობის (დიურატიულობის) **-ზაა** სუფიქსი, რითაც ემსგავსება დინამიკურ ზმნას.

დინამიკური ზმნის ნაკვთები

1. აწმყო, 2. მყოფადი I, 3. მყოფადი II, 4. ნამყო უსრული, 5. ნამყო განუსაზღვრელი, 6. ნამყო სრული ანუ აორისტი, 7. ნამყო უკვეობითი, 8. ნამყო წინარე წარსული.

1. აწმყო

-უა-ძტ > **ჟე-ძტ**, სადაც **-ჟა** დროისაა, **-ძტ** კი ფინიტობისა...

თუ ზმნის ფუძე ა- ხმოვნით ბოლოვდება, მაშინ **-ჟეძტ** სუფიქსი წინა ხმოვანთან შერწყმით **-ოძტ** სახეობას იძლევა: ს-ცა-ჟა-ძტ > ს-ცა-ჟეძტ > ს-ცოძტ „მივდივარ“, დ-ზ-ბა-ჟეძტ > დ-ზ-ბა-ჟეძტ > დ-ზ-ბოძტ „ვხედავ“.

თუ ზმნის ფუძე ბოლოვდება ნებისმიერი თანხმოვნით, **ძ**, **ჟ** ნახევარხმოვნებით ან **ჰა** მარცვლით, მაშინ **-ჟეძტ** სუფიქსი არ განიცდის ცვლილებას: დ-ს-თე-ს-ხ-ჟეძტ „მე მას (ნ.) ვხატავ“, ს-ნეძ-ჟეძტ „მივდივარ“ დ-ჟ-ჟეძტ „ყმუის“, ედ-ლგ-ს-კაა-ჟეძტ „მესმის, ვიგებ“, ს-ბაჰა-ჟეძტ „ვბარავ“...

აწმყოს ინფინიტურ ფორმაში ზმნის ფუძეს ოდენ დროის აღმნიშვნელი **-ჟა** სუფიქსი დაერთვის, რომელიც ერწყმის ფუძის ა-ბოლო ხმოვანს და იძლევა **ო-ს** (**ა-ჟა** > **ო**): ს-ან^ნ-ცა-ჟა > ს-ან^ნ-ცო „სადაც მივდივარ“, დ-ზ-ბა-ჟა > დ-ზ-ბო „რასაც ვხედავ“, სხვა შემთხვევებში **-ჟა** უცვლელი რჩება: დ-თე-ს-ხ-ჟა „რასაც ვხატავ“, ს-ან^ნ-ნე-ჟა „სადაც მივდივარ“, დ-ჟ-ჟა „რაც ყმუის“, დ-ედ-ლგ-ს-კაა-ჟა „რაც მესმის, ვიგებ“, დ-ან-ბაჰა-ჟა „როცა ბარავს“...

ზოგჯერ აწმყოს ფორმას მყოფადის შინაარსიც აქვს, ქართულის მსგავსად: ჟაწ გ აყ ა სცოძტ „ხვალ სოხუმში მივდივარ, წავალ“.

2. მყოფალი I

გამოხატავს იმ მოქმედებას, რომელიც მომავალში აუცილებლად უნდა მოხდეს. ფინიტ. ფორმა იწარმოება ზმნის ფუძეზე **-ბ** სუფიქსის დართვით. ამ დროს ფონეტ. ცვლილებები არ ხდება. ს-ცა-ბ „წავალ“, დ-გ-ზ-ბა-ბ „მას (ად.) ვნახავ“, ე-თ-გ-ს-ხ-გ-ბ „დავხატავ“, ე-დ-ლ-გ-ს-კა-ბ „გავიგებ“

ინფინიტ. ფორმაში -ბ- სუფიქსს ენაცვლება **-რა** ან **-ლაკ** || **-ლაკ** || **-ლაგ** სუფიქსები: სან-ცა-რა || ს-ან-ცა-ლაკ || ს-ან-ცა-ლაკ || ს-ან-ცა-ლაგ „როცა წავალ“...

3. მყოფალი II

ახასიათებს მომავლის უფრო განუსაზღვრელი შინაარსი. ფინიტურ ფორმას აწარმოებს რთული **-შ-ტ** < **-შა-მტ**, რომელშიც **-შა** > **-შ** მომავალი დროის აღმნიშვნელია, ხოლო **-მტ** > **-ტ** ფინიტობისა. ამ რთული სუფიქსის დართვისას ფონეტ. ცვლილებანი არ ხდება: ს-ცა-შ-ტ „წავალ“, ე-დ-ლ-გ-ს-კა-შ-ტ „გავიგებ“, მყოფ. II-ის ინფინ. ფორმა მიიღება ოდენ მომავალი დროის აღმნიშვნელი **-შა** სუფიქსის დართვით ზმნის ფუძეზე. ფონეტიკური პროცესი არ ხდება. ს-ან-ცა-შა „როცა უნდა წავიდე“, ე-დ-ლ-გ-ს-კა-შა „რაც უნდა გავიგო“.

4. ნამყო უსრული

აწარმოებს **-ჟა-ნ** სუფიქსი, რომელიც ემყარება აწმყოს ნაკვთის **-ჟა** სუფიქსიან ინფინიტურ ფუძეს, რომელიც გართულებულია დროისა და ფინიტობის ერთდროულად გამომხატველი **-ნ** სუფიქსით. (შდრ. სტატ. ზმნათა ნამყო განუს. **-ნ** სუფიქსი).

-ჟა-ნ სუფიქსი ფუძისეულ **-ა** ხმოვანთან შერწყმისას იძლევა **-ონ** დაბოლოებას: ს-ცა-ჟა-ნ > ს-ც-ონ „მივდიოდი“, დ-გ-ზ-ბა-ჟა-ნ > დგზბონ „მას (ად.) ვხედავდი“...

აქაც: თანხმოვნებით, **ფ**, **ჟ** ნახევარხმოვნებით, **-აა** და **-ჰა** მარცვლებით დამთავრებულ ფუძეებში უცვლელია **-ჟა-ნ** დაბოლოება: ე-თ-გ-ს-ხ-ჟა-ნ „გხატავდი“, ს-ნ-ე-დ-ჟა-ნ „მივდიოდი“, ე-დ-ლ-გ-ს-კა-ჟა-ნ „მე-სმოდა, ვიგებდი“, ს-ბაჰა-ჟა-ნ „გზარავდი“.

ინფინიტური წარმოებისას **-ჟა** სუფიქსს **-ნ** სუფიქსის ნაცვლად ინფინიტურობის **-ზ** სუფიქსი ერთვის: ფონეტიკური პროცესი კი იგივეა, რაც ფინიტურ ფორმათა წარმოებისას ს-სახ-ცა-ჟა-ზ > ს-ახ-ც-ო-ზ

„სადაც მიველიოდი“, დ-ან-გ-ზ-ბა-ტა-ზ > დ-ან-გ-ზ-ბო-ზ „როცა მას (ად.) ვხედავდი“, დ-თ-გ-ს-ხ-ტა-ზ „რასაც, ვისაც ვხატავდი“, ს-ახ-ნ-ე-ტა-ზ „სადაც მიველიოდი“, ედ-გ-ს-კა-ა-ტა-ზ „რასაც ვივებდი, რაც მესმოდა“, ს-ან-ბაჰა-ტა-ზ „როცა ვბარავდი“...

5. ნამყო განუსაზღვრელი

-ნ სუფიქსით იწარმოება. ეს სუფიქსი დროსა და ფინიტურობას ერთდროულად გამოხატავს. ფონეტიკური ცვლილებები არ ხდება, მხოლოდ თანხმოვანთა შორის **-გ**- ხმოვანი გაჩნდება.

ს-ცა-ნ „წავედი (და)“...; დ-გ-ზ-ბა-ნ „იგი(ად.) დავინახე (და)“...; დ-თ-გ-ს-ხ-გ-ნ „დავხატე (და)“...“ ს-ნ-ე-ნ „მივედი (და)“...“; ედ-დ-ლ-გ-ს-კა-ა-ნ „გავიგე (და)“...“; ს-ბაჰა-ნ „დავბარე (და)“...“ **ინფინიტურ ფორმაში -ნ** სუფიქსს ინფინიტურობის **-ზ** სუფიქსი ენაცვლება: ს-ან-ცა-ზ „როცა წავედი“, დ-ან-გ-ზ-ბა-ზ „როცა იგი (ად.) დავინახე“, დ-ს-თ-გ-ს-ხ-გ-ზ „რაც, ვინც დავხატე“, ს-ახ-ნ-ე-დ-ზ „სადაც მივედი“, ედ-დ-ლ-გ-ს-კა-ა-ზ „რაც გავიგე“, ს-ან-ბაჰა-ა-ზ „როცა დავბარე“.

6. ნამყო სრული, აორისტი

-მტ ფინიტობის სუფიქსის დართვით იწარმოება, ეს სუფიქსი ზოგ თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან მარტო **-ტ**-ს სახით შეიძლება შეგვხვდეს: ი-ზ-დ-გ-რ-ტ „გავიგე“, ს-ხალ-ტ „ავედი“ ცალი **ა**- ხმოვნით დამთავრებულ ფუძეებში **-მტ** სუფ-ის **ი**-ს გავლენით **ა** ხმოვანი იცვლება **-ე** ხმოვნით: ს-ცა-მტ > ს-ცე-მტ „წავედი“, დ-გ-ზ-ბა-მტ > დ-გ-ბე-მტ „იგი (ად.) ვნახე“.

ხოლო თანხმოვნებით, **ჟ** ფონემით, **აა**, **ჰა** მარცვლებით დასრულებულ ფუძეებში ფონეტიკური ცვლილებები არ ხდება: დ-თ-გ-ს-ხ-მტ „დავხატე“, დ-ზ-ტ-ი-ტ „გავაკეთე“; ედ-დ-ლ-გ-ს-კა-ა-მტ „გავიგე“, ს-ბაჰა-მტ „დავბარე“, **დ**- ფონემით დამთავრებულ ფუძეებში ზოგჯერ ერთი **ი** იკარგება: ს-ნ-ე-მტ > ს-ნ-ე-მტ „მივედი“, ს-ა-ა-ი-მტ > ს-ა-ა-მტ „მოვედი“.

ინფინიტური ფორმა აღარ დაირთავს დროისა და ინფინიტურობის სუფიქსს, არ ხდება ფონეტიკური ცვლილებები: ს-ან-ცა „როცა წავედი“, დ-ან-გ-ზ-ბა „როცა იგი (ადამ.) ვნახე“, დ-თ-გ-ს-ხ(გ) „რაც დავხატე“, ს-ახ-ნ-ე „სადაც მივედი“, ედ-დ-ლ-გ-ს-კა „რაც გავიგე“, ს-ან-ბაჰა-ა „როცა დავბარე“.

ზოგჯერ, ქართულის მსგავსად, ამ ფორმას აწმყო მყოფადის მნიშვნელობაც აქვს: ს-ცე-მტ შთა აჰნყა „წავალ (წავედი) — აწი შინ (სახლში)“...

7. ნამყო უკვეობითი

-ხა-მტ > **ხე-მტ** სუფიქსი აწარმოებს, **ხა-** უკვეობითობის აღმნიშვნელია, **-მტ** კი ფინიტურობის ს-ცა-ხე-მტ „უკვე წავედი“; **დგ-ზ-ბა-ხე-მტ** „უკვე ვნახე“; **მ-თგ-ს-ხ-ხე-მტ** „უკვე დავხატე“; **ს-ნემ-ხე-მტ** „უკვე მივედი“ **ემ-მ-ლგ-ს-კაა-ხე-მტ** „უკვე გავიგე“.

ინფინიტურ ფორმაში გამოიყენება ორი სუფიქსი: უფრო გავრცელებულია რთული **-ხა-ჟ** > **-ხო-ჟ**, სადაც **-ხა** უკვეობითობას აღნიშნავს, ხოლო **-ჟ** იგივეა, რაც დასტურდება სტატიკურ ზმნათა აწმყოში.

მეორე უფრო იშვიათი ხმარებისაა **-ც** სუფიქსი, რომელიც უკვეობითობის აღმნიშვნელია: **მ-ყა-ს-წა-ხო-ჟ** || **მ-ყა-ს-წა-ც** „რაც უკვე გამიკეთებია“, **მ-ზ-ბა-ხო-ჟ** || **მ-ზ-ბა-ც** „რაც, ვინც უკვე მინახავს“, **მ-თგ-ს-ხ-ხო-ჟ** || **მ-თგ-ს-ხგ-ც** „რაც, ვინც უკვე დამიხატავს“...

გავრცელებულია ამგვარ გამოთქმებში: იყასწაც ყასწოდტ „იმასვე ვაკეთებ, რაც მიკეთებია“, იზუთაც ით! „შენ (მკ.) ვისთვისაც მიგიცია, (კვლავ) მიეცი!“

8. ნამყო წინარე წარსული

-ხა-ნ სუფიქსი აწარმოებს, რომელშიც **-ხა** უკვეობითობას აღნიშნავს, ხოლო **-ნ** ნამყო დროსა და ფინიტურობას ერთდროულად: **ს-ცა-ხა-ნ** „უკვე წასული ვიყავი“, **დგ-ზ-ბა-ხა-ნ** „უკვე მენახა, ნანახი მყავდა“, **მ-თგ-ს-ხ-ხა-ნ** „უკვე დახატული მყავდა“, **ს-ნემ-ხა-ნ** „უკვე მისული ვიყავი“, **ემ-მ-ლგ-ს-კაა-ხა-ნ** „უკვე გაგებული მქონდა“...

ინფინიტურ ფორმაში ორი რთული სუფიქსია: **-ხა-ზ** და **-ცგ-ზ**. **-ხა** და **-ც** უკვეობითობას აღნიშნავენ, ხოლო **-ზ** ნამყო დროის აღმნიშვნელია. აქედან **-ცგ-ზ** უფრო უარყოფით ფორმებში დასტურდება: **ს-ან-ცა-ხა-ზ** „როცა უკვე წასული ვიყავი“, **მ-ზ-ბა-ხა-ზ** „რაც ვინც უკვე ნანახი მქონდა, მყავდა“, **მ-თგ-ს-ხ-ხა-ზ** „რაც, ვინც დახატული მქონდა, მყავდა“, **ს-ან-ნემ-ხა-ზ** „როცა უკვე მისული ვიყავი“, **ემ-მ-ლგ-ს-კაა-ხა-ზ** „რაც უკვე გაგებული მქონდა“... შდრ. უარყ. ფორმები: **ს-ანგ-მ-ცა-ცგ-ზ** „როცა ჯერ კიდევ არ ვიყავი წასული“, **მ-სგ-მ-ბა-ცგ-ზ** „ვინც, რაც ჯერ კიდევ არ მენახა“, **მ-თ-სგ-მ-ხ-ცგ-ზ** „ვინც, რაც ჯერ კიდევ არ დამეხატა“, **ს-ანგ-მ-ნემ-ცგ-ზ** „როცა ჯერ კიდევ არ ვიყავი მისული“, **ემ-მ-ლ-სგ-მ-კაა-ცგ-ზ** „რაც ჯერ კიდევ არ (ვერ) გამეგო“...

კატეგორიული მყოფადი

იწარმოება აღწერით **-აჟბ** „არის“ მეშველი ზმნის დახმარებით (გამოყოფს ზოგი მკვლევარი).

ამ დროის ზმნა წარმოდგენილია აწმყოს ინფინიტურად **-ჟა** სუფიქსიან, ან აორისტის ინფინიტურ უსუფიქსო ფორმაზე დამყარებული პირობითი კილოს **-რ** მაწარმოებლიანი ფორმით: ი-ყა-ს-წა-რ აჟბ „უნდა გავაკეთო“ (რათა, რომ გავაკეთო არის) ი-ყა-ს-წა-რ აკ გნ „უნდა გამეკეთებინა“ („რათა რომ გამეკეთებინა, იყო“).

ზოგჯერ ძირითადი ზმნის პირობითი **-რ** სუფიქსის წინ ჩნდება **-ზა** სუფიქსი, რომელიც დიურატიულობის, განგრძობითობისაა: დ-დგრჟა-ზა-რ აჟბ „მან (მკ.) უნდა იცოდეს“...

ნაკვთისა და კილოს ფორმას შორის გარდამავალია:

თურმეობითი I	-ზაა-პ
თურმეობითი II	-ზაა-რგ-ნ

იწარმოება როგორც სტატიკურ, ისე დინამიკურ ზმნათაგან, იყენებს საყრდენად ზმნათა წმინდა ფუძეს; აწმყოს **-ჟა** > **ო** დაბოლოებულიან ან უკვეობითის **-ზა** სუფიქსიან ფუძეებს: სგ-ყა-ზაა-პ „თურმე ვყოფილვარ“, დ-ცო-ზაა-პ „თურმე მიდის“, სგყა-ზაა-რგ-ნ „თურმე ვყოფილვარ“, დ-ცა-ზაა-რგ-ნ „წასულა“, დ-ცა-ზა-ზაა-ნ „თურმე უკვე წასულა“, დ-ცა-ზა-ზაა-რგ-ნ „თურმე უკვე წასულიყო“.

ცხრილი

1.	აწმყო	ფ.	-ჟა-ღტ > ჟე-ღტ	(სცოღტ)
		ინფ.	-ჟა > ო	(სანცო)
2.	მყ. I	ფ.	-პ	(სცაპ)
		ინფ.	-რა, -ლაქ -ლაქ -ლაგ	(სანცალაქ)
3.	მყ. II	ფ.	-შაა-ღტ > -შა-ტ	(სცაშაღტ)
		ინფ.	-შაა	(სანცაშაა)
4.	ნამყ. უსრ.	ფ.	-ჟა-ნ > ონ	(სცონ)
		ინფ.	-ჟაზ	(სანცოზ)
5.	ნამყ. განუს.	ფ.	-ნ	(სცან)
		ინფ.	-ზ	(სანცაზ)
6.	ნამყ. სრ., აორისტი	ფ.	-ღტ > ტ	(სცეღტ)
		ინფ.	-0	(სანცა)
7.	ნამყ. უკვ.	ფ.	-ხ ^ა -ღტ > -ხ ^ე -ღტ	(სცახ ^ე ღტ)
		ინფ.	-ხ ^ა -ჟ > -ხ ^ო -ჟ	(სანცახ ^ე -ოჟ)
		ინფ.	-ც	(სანცა-ც)
8.	ნამყ. წინარ. წარს.	ფ.	-ხ ^ა -ნ	(სცახ ^ა ნ)
		ინფ.	-ხ ^ა -ზ	(სანცახ ^ა ზ)
		ინფ.	-ცგ-ზ	
კატეგორიული მყოფ.			-რ აჟპ, -რ აკ გნ	
	თურმ. I	ფ.	-ზაა-პ	
	თურმ. II	ფ.	-ზაა-რგ-ნ	

ინფინიტური ფორმები არ აქვს.

კილოს კატეგორია

აფხაზურს მოეპოვება: 1. ბრძანებითი, 2. კონიუნქტივი, დაშვებითი, 3. პირობითი, 4. მიზან-პირობითი, 5. კავშირებითი I, 6. კავშირებითი II, 7. ნატვრითი და 8. მოჩვენებითი კილოები, 9. თხრობით კილოს სპეცი-ალური მაწარმოებელი არ გააჩნია, ზემოთ განხილული ნაკვებები თხრობითი კილოსათვისაა დამახასიათებელი.

1. ბრძანებითი კილო

ბრძანებითი, როგორც წესი, ძირითადად ეწარმოება **დინამიკურ ზმნებს** II პირის ორსავე რიცხვში. თუ ზმნა გარდაუვალია დაირთავს უკლებლივ ყველა პირისა და კლასის ნიშანს: უ-ცა! „შენ (მკ.) წადი!“, ბ-ცა! „შენ (ქ.) წადი“, შ -ცა! „წადით!“ ჭ-ი-ცხრაა! „შენ (მკ.) მას (მკ.) დაეხმარე!“

თუ ზმნა გარდამავალია, მაშინ მხოლოდით რიცხვში სუბიექტის კლასოვან-პიროვანი პრეფიქსები არ გამოჩნდება: თხრობითი კილო: **მ-ყა-ჭ-წოდტ** „შენ (მკ.) რალაცას აკეთებ“/**მ-ყა-წა!** „გააკეთე!“ თხრობითი კილო: **დ-აა-ჭ-გოდტ** „შენ (მკ.) ის (გონ.) მიგყავს“, ბრძანებითი კილო: **დ-აა-გ!** „მოიყვანე! იგი“ მრავლობით რიცხვში სუბიექტის პირის ნიშანი იქნება წარმოდგენილი. ეს იმიტომ, რომ მრავლობითი რიცხვის პირ-კლასის ნიშნები პირისა და რიცხვს ერთდროულად აღნიშნავს და რიცხვის „ხათრით“ შენარჩუნებულია. (ქ. ლომთათიძე).

შ -ცა! „წადით!“ **მ-ყა-შ -წა!** „გააკეთეთ!“ **დ-აა-ჟ -გ!** „მოიყვანეთ!“ (გარდაუვალშიც და გარდამავალშიც).

ბრძანებითის ფორმას ხშირად დაერთვის კატეგორიულობის, მოთხოვნის აღმნიშვნელი **-ი(შ)** სუფიქსი: **ჭ-ცე-მ(შ)!** „აბა, წადი!“ **ჭ-გგლ-ი(შ)!** „აბა, ერთი ადექი!“, **მ-ყა-წე-მ(შ)!** „აბა, გააკეთე!“

სტატიკური ზმნის ბრძანებითს ჩვეულებრივ **-ზ** სუფიქსი აწარმოებს: **ჭ-ყა-ზ!** „იყავი!“ **ჭ-ტ ა-ზ!** „იჯექი!“

2. კონიუქტივი, დაშვებითი კილო

ეწარმოება ორსავე რიცხვსა და სამსავე პირს. მაწარმოებელია **-აადტ** (დინამიკური ზმნა) და **-ზ-აადტ** (სტატიკური ზმნა) თუ ფუძე **ა**-თი მთავრდება, მოსალოდნელი სამი **ა**-ს ნაცვლად ორი **ა** იქნება წარმოდგენილი: ***დ-ცა-აადტ > დ-ცაადტ** „დაე, წავიდეს!“ თუ ფუძე ორი **ა**-თი მთავრდება, მოსალოდნელი ოთხიდან ორი **ა** იქნება წარმოდგენილი: ***მეფლიკაა-აადტ > მეფლიკაადტ** „დე, მან ის გაიგოს!“

ამგვარი რამ არ ხდება სტატიკურ ზმნებში **-ზაადტ** სუფიქსის დაერთვისას: **დ-გგლა-ზაადტ** „დაე, იდგეს!“ **მ-ბაა-ზაადტ!** „დაე, დალპეს“.

3. პირობითი კილო

აწარმოებს **-რ**, **-ზა-რ**, **-ზ-თ-გ-გ** სუფიქსები, აქედან **-რ** სუფიქსი არ გამოიყენება სტატიკურ ზმნებში, ხოლო დინამიკური ზმნის პირობითი კილოს **-ზარ** სუფიქსი საყრდენად იყენებს სხვადასხვა ნაკვთის მზა ფორმებს: **დ-ცა-რ** „თუ წავა“, **სგ-ყა-ზარ** „თუ ვარ“, **დ-აა-მ-ტა-ზარ** „თუ მოვა“, **დგ-ყა-ზთგ-გ** „თუ არის კიდევაც“.

4. მიზან-პირობითი კილო

გამოიყენება პირობითი კილოს -**რ** სუფიქსიანი ფორმა, რომელსაც დამატებით დაერთვის გარდაქცევათობის -**ც**, -**ტ** ან -**ნგ** სუფიქსები. ზოგჯერ **რ(რა)** ვარიანტის სახითაცაა წარმოდგენილი. (ეს უფრო ძველია.) მაგ.: ს-აად-რანგ „რათა მოვიდე“, დ-ყა-ს-წა-რც||დ-ყა-ს-წა-რტ ||დ-ყა-ს-წა-რანგ „რათა გავაკეთო“...

ამავე კილოს საწარმოებლად გამოიყენება აგრეთვე -**რა** სუფიქსზე დართული **ანგ** „თვის“ თანდებული: დ-ზ-გა-რა-ზგ „რათა წავიყვანო, მის წასაყვანად“...

5,6. კავშირებითი კილო

აქვს ორი ფორმა: **კავშ**. I იყენებს -**რა** სუფიქსიანი პირველი მყოფადის ფორმას, რომელსაც ეკვეცება სუფიქსის **ა** ხმოვანი და დაერთვის -**ნ** სუფიქსი (ფინიტიური წარმოება) ანდა -**ზ** სუფიქსი (ინფინიტიურში) ს-ცა-რგნ „წავილოდი“, ს-ან-ცა-რგზ „როცა წავილოდი“ დ-ყა-ს-წა-რგზ „რასაც გავაკეთებდი“ **კავშ**. II ემყარება -**შა** სუფიქსიან II მყოფადის ფორმას და დაირთავს იმავე -**ნ** სუფიქსს (ფინიტიურ წარმოებაში) ანდა -**ზ** სუფიქსს (ინფინიტიურ წარმოებაში): ს-ცა-შან „წავილოდი“, ს-ან-ცა-შანზ „როცა წავილოდი“, დ-ყა-ს-წა-შან „გავაკეთებდი“, დ-ყა-ს-წა-შანზ „რასაც გავაკეთებდი“.

7. ნატვრითი კილო

-**ნდა** || -**ნდაზ** სუფიქსი აწარმოებს: მომდინარეობს ქართული „ნეტადან“, -**ზ** კი ნამყო ღროის ინფინიტივის სუფიქსია: ს-გ-ყა-ნდა(ზ) „ნეტავი მამყოფა!“, ს-ცო-ნდა(ზ) „ნეტავი წავსულიყავი!“, დ-ყა-ს-წა-ნდა(ზ) „ნეტავი გამეკეთებინა!“ და ა. შ.

8. მოჩვენებითობის კილო

იწარმოება -**შ** ა ნაწილაკის დართვით:
 დ-ზ-ბო-შ ა „თითქოს ვხედავ“,
 დ-ცა-ზ-შ ა „თითქოს წავიდა“,
 სგ-ყოჟ-შ ა „თითქოს ვარ“...

მაგალითები:

1. თხრობითი — უ-ცეფტ „შენ წახვედი“
2. ბრძანებითი — უ-ცა! უტ აზ! „იჯექი!“, უ-ცეფშ! „აბა წადი!“
ი-ყა-წა! „გააკეთე!“
3. კონიუქტივი (დაშვებითი) — დ-ცა-აფტ „დაე, წავიდეს!“
4. პირობითი — დ-ცა-რ „თუ წავა“, სგ-ყა-ზარ, „თუ ვარ“
5. მიზან-პირობითი — სააფ-რანგ „რათა მოვიდე“ იყასწა-რ-ც ||
იყასწა-რტ || იყასწა-რანგ „რათა გავაკეთო“
6. კავშირებითი I — სცა-რგნ „წავიდლოდი“ (ფინ.).
სანცა-რგზ „როცა წავიდლოდი“ (ინფ.).
7. კავშირებითი II — სცა-შან „წავიდლოდი“ (ფინ.).
სანცა-შაზ „როცა წავიდლოდი“ (ინფ.).
8. ნატვრითი — სცონდაზ „ნეტავი წავსულიყავი“
იყასწანდაზ „ნეტავი გამეკეთებინა“
9. მოჩვენებითი — დცაზ-შ ა „თითქოს წავიდა“
სგყოფ-შ ა „თითქოს ვარ“

ცხრილი

- | | |
|-----------------------|----------------------------------|
| 1. თხრობითი | |
| 2. ბრძანებითი | (კატეგორიული -შ!) (სტატიკური -ზ) |
| 3. კონიუქტივი (დაშვ.) | -ააფტ, -ზ-ააფტ |
| 4. პირობითი | -რ, -ზ-რ, -ზ-თ-გ-გ |
| 5. მიზან-პირობ. | -რ — ც, -ტ, -ნგ აზგ „თვის“ |
| 6. კავშირებითი I | -რა (I მყ.) — ნ (ფინ.) |
| 7. კავშირებითი II | -შა (II მყ.) — ნ (ფინ.) |
| 8. ნატვრითი | -ნდა -ნდაზ |
| 9. მოჩვენებითი | -შ ა |

აბსოლუტივი

გადმოსცემს დამატებით მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც წინ უსწრებს (ძირითადი) ზმნით გამოხატულ მოქმედებას.

ინფინიტური ფორმაა გარკვეულწილად:

I ზმნის დრო-კილოთა სუფიქსების **არმქონე**: (იშვიათი) ა-მა-ზაა-რა > სგ-მა:

სჯზც ა სგ-მა სააფტ „მეგობრებთან ერთად მოვედი“.

II უფრო გავრცელებული: აწმყოს ინფინიტური **-უა > ო**
 დ-გ გრღო (< დ-გ გრღა-უა) დაადტ „იგი გახარებული მოვიდა“.

III გარდაქცევითობის **-ნგ** სუფიქსით ნაწარმოები:
 აუროკქ ა ყაწანგ ახ მარრა სცედტ „გაკვეთილები მოვამზადე (და,
 რა) სათამაშოდ წავედი“.

IV მხოლოდ უარყოფითი ფორმის აბსოლუტივი: **-კ ა**
 აწ ა იმტაკ ა დკაჟდტ „ვამლი შეუჭმელად გადაადლო“.
 * გარდამავალი ზმნის ფუძისაგან ნაწარმოებ აბსოლუტივებში
 სუბიექტის პირი, კლასი და რიცხვი ჩვეულებრივ არ აღინიშნება.

კითხვითი ფორმა

1. ინტონაციური: უარა დყაჟწედტ?
2. ალტერნატიული: **ჟ** თავსა და ბოლოში:
 დცო-ჟ-დგმცო-ჟ?
 „წავიდა თუ არ წასულა?“
3. ჩაკითხვისას: **-ბა** ნაწილაკი: დცედტბა?
 კითხვის საგანგებო აფიქსები გამოიყენება ყველა ნაკვთის ფორმაში:
 განარჩევს ადამიანისა და არაგონიერთა კლასებს. ადამიანი „**და-
 რბან?**“
 4. არაგონ., ნივთი „**იარბან?**“
 დარბან > **-და** სუფიქსი დაერთვის ნაკვთის ინფინიტურ ფორმას:
 დცო დარბან? „ვინც მიდის ვინ არის?“
 > დცო-და? „ვინ მიდის?“
 დყადა „ვინ არის?“, დყაზწა-და? „ვინ გააკეთა? დგზბადა „ვინ დაი-
 ნახა?“
5. არაგონ. კლ.: **-მ, -ზემ, -ზმ** სუფიქსებით იწარმოება: დჟგე-მ?
 „რა წაიღე?“, დჟგო-ზემ „რა მიგაქვს?“, დჟგო-ზი? „რა წაიღე?“
-და სუფიქსით (სუბიექტური პირი) ირკვევა,
-მ, -ზემ, -ზი სუფიქსით (ობიექტური პირი).
6. ზმნით გამონათული მოქმედების ან მდგომარეობის რაობა ირ-
 კვევა **-მა** სუფიქსიანი კითხვითი ფორმებით, ითხოვს პირდაპირ პასუხს:
 დცომა? „მიდის?“, დცოჟმა? „არის?“, დყაწამა? „გაკეთა?“

7. სპეციფიკურ საგარემოებო ელემენტებზე: ან (დროის), ან (ადგილის), ში (ვითარების) პრეფიქსებს ერთვის -ბა ელემენტი, ვიღებთ ანბა „როდის?“ ანბა > ანფა > აბა „სად?“, *შიბა > შიფა „როგორ?“ ეს სუფიქსები დაერთვის ნაკვთთა ინფინიტურ ფუძეებს:

დანბაცო? „როდის მიდის?“

დაბაცო? „სად მიდის?“

დგშეფაცო? „როგორ მიდის?“

8. ზოგჯერ პრეფიქსს და სუფიქსს ერთდროულად დაირთავს ზმნა:

დანბაცეფ? „როდის წავიდა?“

9. მიზეზის აღმნიშვნელი კითხვითი ფორმები -ჲ, -ზეჲ, -ზეჲ კითხვითობის სუფიქსს დაირთავენ: უზცეფ? „რისთვის, რატომ წახვედი?“

ზმნის უარყოფითი ფორმები

აწარმოებს მ ფორმანტი; იგი ხან პრეფიქსად, ხან სუფიქსად გვევლინება.

სტატიკურ ზმნებში, დინამიკურ ფინიტურ: აწმყო, მყოფ. I, მყოფ. II, ნამყო უსრულში დგას ძირის შემდეგ (სუფიქსია).

	სტატიკური ფინიტური	დინამიკური ფინიტური
აწმყო.	სგ-ყა-მ „არა ვარ“	ს-ცო-მ „არ მივდივარ“
ნამყო უსრული	სგ ყა-მგ-ზ-ტ „არ ვყოფილვარ“	სცომგზტ „არ მივდიოდი“.
მყო. I	—	ს-ცა-რგ-მ „არ წავალ“
მყო. II	—	ს-ცაშა-მ „არ წავალ“.

ზმნის ძირის წინ დგას დინამიკურ ფინიტურ: ნამყო განუსაზღვრელში, აორისტში, ნამყო უკვეობითში, ნამყო წინარე წარსულის ფორმებსა და იმავე დინამიკურ ზმნათა ყველა ნაკვთის ინფინიტურ ფორმებში (პრეფიქსია).

დინამიკური ზმნის ფინიტური წარმოება:

ნამყო განუსაზღვრელი: სგ-მ-ცა-ზ-ტ „არ წავედი და“

აორისტით: სგ-მ-ცე-ჲტ „არ წავედი“

ნამყო უკვეობითი: სგ-მ-ცა-ც-ტ „არ წავსულვარ“

ნამყო წინარე წარსული: სგ-მ-ცა-ცგ-ზ-ტ „არ ვიყავი წასული“

დინამიკური ზმნის ინფინიტური წარმოება

აწმყო:	ს-ან [~] გ-მ-ცო	„სადაც არ მივდივარ“
მყოფ. I:	ს-ან [~] გ-მ-ცა-რა	„სადაც არ წავალ“
მყოფ. II:	ს-ან [~] გ-მ-ცა-შა	„სადაც არ წავალ“
ნამყ. უსრ.:	ს-ან [~] გ-მ-ცო-ზ	„სადაც არ მივდიოდი“
ნამყ. განუს.:	ს-ან [~] გ-მ-ცა-ზ	„სადაც არ წავედი და“
აორისტი:	ს-ან [~] გ-მ-ცა	„სადაც არ წავედი“
ნამყ. უკვ:	ს-ან [~] გ-მ-ცა-ც	„სადაც არ წავსულვარ“
ნამყ. უკ. წინ. წარს.	ს-ან [~] გ-მ-ცა-ცგ-ზ	„სადაც არ წავსულიყავი“

უარყოფითობის **მ**- პრეფიქსია დინამიკურ ზმნათა უარყოფით-კითხვით ფორმებში, თხრობითის გარდა ყველა კილოსა და სიტყვაწარმოებით კატეგორიაში.

აწმყო — დემცოჲ „ის არ მიდის?“

თავისებურ უარყოფით ბრძანებითი — დემცოზი „არ მიდიოდა?“

ჲ-ტ-მ-გა-მ > ჲ-ტ-მ-გა-ნ! „არ წაიღო!“

ტ-მ-ცა-მ > ტ-მ-ცა-ნ! „არ წახვიდე!“

დისტანციური დისიმილაციით.

განსხვავებით დადებითი ბრძანებითისაგან უარყოფითში ყველა კლას-პირის აფიქსია უკლებლივ წარმოდგენილი.

მასდარი

მასდარი აფხაზურში ზმნის საწყისი ფორმაა, რომელსაც **ა**- თავსართი და **-რა** ბოლოსართი აწარმოებს.

ერთმანეთისაგან განსხვავდება დინამიკური და სტატიკური ზმნის მასდარი.

დინამიკური ზმნის მასდარი ზემოთ აღნიშნული **ა**- პრეფიქსისა და **-რა** სუფიქსის მეშვეობით იწარმოება ა-ყაწა-რა „კეთება“, ა-თა-რა „მიცემა“, ა-წა-რა „სწავლა“...

სტატიკური ზმნის მასდარს დაერთვის **-ზაა** ე. წ. მდგომარეობის ხანგრძლივობის აღმნიშვნელი სუფიქსი.

ა-მა-ზაა-რა „ქონა, ყოლა“, ა-ყა-ზაა-რა „ყოფნა—არსებობა“.

ზოგჯერ მასდარი წარმოდგენილია ზოგადობის **ა**- პრეფიქსის გარეშე და ასრულებს მიზნის გარემოების როლს. მაგ.: ხ[~]გძრაცარა დცეჲტ „სახელის მოსახვეჭად წავიდა“.

მიმღეობა

მიმღეობის გამოსახატავად აფხაზურში ყველაზე პროდუქტიულია სამიმართებო პრეფიქსიანი **ი(გ)**- და **ზ**-პრეფიქსიანი ზმნის ინფინიტური წარმოება.

ზმნის ფუძის სახით წარმოდგენილი მიმღეობები: ა-ლალა „ირაო, საქონელი“ (შდრ. ა-ლა-ლა-რია „რამეში შესვლა“), ა-მ-დგრ „უვიცი“ (შდრ. ა-დგრ-რა „ცოდნა“) ა-თაკ „პასუხი“ (ათარა „მიცემა) ა-მ-უ-ჩა „მუქთახორთა“ (შდრ. ა-უ-რა „ქმნა“.

აფხაზურში მიმღეობა იწარმოება აგრეთვე ზმნის ფუძეზე მოქმედი პირის აღმნიშვნელი **-ჰ** ან სამოქმედო საგნის აღმნიშვნელი **-ტ** სუფიქსის დართვით: ა-რ-წა-რა „სწავლება“ > ა-რ-წა-ჰ „მასწავლებელი“, ა-წა-რა „სწავლა“ > ა-წა-ჰ „მოსწავლე“, ადბა-შ-რა „ბრძოლა“ > ადბა-შ-ჰ „მეომარი“, ა-ყა-წა-ტ გ „გასაკეთებელი“ (შდრ. ა-ყა-წა-რა „კეთება“), ა-უს-უ-ტ „სამუშაო“ (შდრ. ა-უს „საქმე“, ა-უ-რა „ქმნა“)...

ამჟამად არაპროდუქტიული **-ხა, -ხა, -ხ** სუფიქსებით ნაწარმოები მიმღეობები: ა-ჰა-თა-ხა „აღთქმა“, (შდრ. ა-ჰა „პირი“, ა-თა-რა „მიცემა“) ა-ჰ ა-ხა „ნათქვამი“ (შდრ. ა-ჰ ა-რა „თქმა“) აა-ზა-ხა „ბუთხუზა ბავშვი“ (შდრ. აა-ძა-რა „აღზრდა“), ა-ცგ-ბლ-ა-ხა „ნამწვი“ (შდრ. ა-ბგლ-რა „წვა“), ა-ჩა-ხ „კვერთული“ (შდრ. ა-ჩა-რა „პურობა“) ა-ხ-წ ა-რა „მოჭრა, წაკვეთა“) ა-ფწ ა-ხა „ნავლეჯი“ (შდრ. ა-ფ-წ ა-რა „მოწყვეტა, მოგლეჯა“).

ზემოთ განხილულ ზმნურ კატეგორიათაგან აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველება თავისებურებებს ავლენს სტატიკურ ზმნათა აწმყოს ნაკვთის წარმოებისას, ფინიტურ და ინფინიტურ წარმოებაში, მეშველი ზმნის ხმარებისას, დინამიკურ ზმნათა ინფინიტურ დადებით წარმოებაში, ნამყო უსრულში, აორისტში, ნამყო განუსაზღვრელში. კილოს თვალსაზრისით: პირობითი კილოს წარმოებისას, ბრძანებითი კილოს წარმოებისას, კითხვითი ფორმების წარმოებისას, ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოებისას.

დანარჩენი კატეგორიების წარმოებაში მნიშვნელოვანი სხვაობა არ შეინიშნება.

**ზმნის უღლების კატეგორიათა თავისებურებანი
აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში***

სტატიკური ზმნის აწმყო

აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში სტატიკური ზმნის აწმყოს მწკრივი იწარმოება რთული -**რუბ** სუფიქსით ფინიტური ფორმებისათვის და -**რუ** სუფიქსით ინფინიტური ფორმებისათვის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, -**ბ** გამოხატავს ფინიტურობას, ხოლო -**რუ** ახლანდელი დროის მაწარმოებელია.

პრინციპული სხვაობა ამ მხრივ აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში არ შეინიშნება.

1) ფერიელ აფხაზთა მეტყველებაში აღნიშნული სუფიქსები ზმნის ფუძეს მიერთვის ისე, რომ ფუძის ბოლო ხმოვანი იკარგება: მაგ.: ატგსქ ა რაც გრუბ, შდრ.: აფხ. რაც რრუბ, რაც არუბ „ბევრი საქმეა“

დგფხაშარგრუ, შდრ.: აფხ. დგფხაშარორუ < დგფხაშარარუ „სირცხვილია“

ავაგზანლ აყნგ ჰტგრუბ, შდრ.: აფხ. ჰტ რრუბ < ჰტ არუბ „ჩვენ ვსხედვართ სადგურში“.

2) -**გრუბ** || -**რუბ** სუფიქსთა გვერდით სტატიკურ ზმნათა აწმყოს ნაკვეთი იწარმოება -**დგრტ** || **გრტ** და -**ურტ** სუფიქსებითაც:

ა) სუფიქსი -**დგრტ** || **-გრტ**:

დნარა პატგრტ რგქ ნგ დგყედტ შდრ.: აფხ. დგყოტუბ „ისინი ძლიერ პატივცემულ არიან“.

დგზზგგჯ არა დგყედტ, შდრ.: აფხ. დგყოტუბ „ყველანი აქ არიან“.

ავნგ ხ გჰგ დგკნდგრტ, შდრ.: აფხ. დგკნოტუბ „იგი პატარა სახლში ცხოვრობს, ზედმიწ.: სახლობს“.

ბ) სუფიქსი -**რუბტ** (იშვიათად):

დარან რუგს დტ გრუბტ, შდრ. აფხ. დტ რრუბ „ისინი ასე სხედან“.

რუბ აფგნჯგრ არა დგკნაჰატრტ, შდრ.: აფხ. დგკნაჰატრტ „მგონი ის(ნ.) ფანჯარასთან კილია“.

რუბტ რაყ ა ფშდრტრტ, შდრ.: აფხ. ფშდოტუბ „მათი სიტყვები ლამაზია“.

-**დგრტ**, -**რუბტ** სუფიქსთა გამოყენება -**გრუბ** სუფიქსთა გვერდით სტატიკურ ზმნათა ფინიტურ აწმყოში დამახასიათებელია აშხარული დიალექტისათვის. დანარჩენ დიალექტებში ასეთი რამ არ ხდება (ლომთათიძე 1954: 111-120, ლომთათიძე 1944: 143).

* აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველების თავისებურებათა შესახებ მსჯელობა იმყარება ე. კილბას ნაშრომს (კილბა 1983).

დამხმარე ზმნა

დამხმარე ზმნა **ა-კჷ/ა-კ** < აკ ზაარა „ყოფნა“ გამოიყენება ყველა აფხაზურ-აბაზურ დიალექტში. ტაბანთურში ს-ა-კჷ-გ-პ, აშხარულის აფსუის კილოკავში ს-ა-კჷ-გჷტ, კუვინსკის კილოკავში ს-კჷ-გჷტ „ვარ“. ამის პარალელურად აშხარულში ფართოდ გამოიყენება იმავე მნიშვნელობით **ა-ჷ**. აქ ს-ა-კჷ-გჷტ და ს-ა-ჷ-პ „ვარ“ თანასწორად გამოიყენება. ეს **ა-ჷ** არ ახასიათებს ტაბანთურს და აშხარულის აფსუის კ.კ.-ს. ბზიფურსა და აბჟუურში **ა-ჷ** დამხმარე ზმნად მხოლოდ დადებითი წარმოებებისთვისაა დამახასიათებელი.

ასევეა აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ანგისას მეტყველებაშიც: ს-ა-ჷ-პ „მე ვარ“, მაგრამ უარყოფით წარმოებაში: ს-ა-კჷ-გმ „მე არ ვარ“, წარსულ დროში, ნამყო განუსაზღვრელში ს-კჷ-გნ „მე ვიყავი“, მის უარყოფით ფორმაში ს-ა-კჷ-გმზტ „მე არ ვიყავი“ და ა. შ. გამოიყენება სხვა ფუძე **-აკჷ**.

რაც შეეხება ფერიელ აფხაზთა მეტყველებას, აქ აშხარული დიალექტის კუვინსკის კ.კ.-ის მსგავსად, დამხმარე ზმნად გამოიყენება ორი ფუძე: **ა-ჷ** და **ა-კჷ**:

ა-ჷ ფუძე

1. აწმყო

ა) დადებითი წარმოება

იაჰ შან ლ-რ-ჷ-პ „იგი მისი (მკ.) დაა“.

ბ) უარყოფითი წარმოება

დაჰ შა ლან-ჷ-ძამ „იგი მისი (მკ.) და არაა“.

2. ნამყო განუსაზღვრელი

ა) დადებითი წარმოება

აგზზაგ აგ აფსუაა რრნ < რან-ჷგ-ნ „ისინი ყველანი აფხაზები იყვნენ“.

ბ) უარყოფითი წარმოება

დარან რან-ჷგ-მზტ „ისინი არ იყვნენ“.

3. პირობითი კილო

ჟან ლ-რ-ზარი, სარს სანგაგ ლრჟბ „თუ კი ის (ქ.) დედაშენია, მაშინ დედაჩემიცაა“.

4. ზმნის კითხვითი ფორმა

დაბ დაშნ დატზმა? „იგი მამამისის ძმა იყო?“

5. დაშვებითი კილო

აძღაბ ლაჟზაააღტ, ათანცა ლაჟზაააღტ აძ დგმცქაღტ „გოგო იყო თუ რძალი იყო არავინ არ წავიდა“.

ა-კჟ ფუძე

1. აწმყო

აჟზა შაანდა ჟგდა ა-კჟბ „მთელი ლამე ამაზე ფიქრობდა“.

2. ნამყო ანუ საზღვრელი

ანფსჟარა ზმგრძგ ჟგროთ რანკჟჟბ „ვინც აფხაზური ეტიკეტი არ დაკარგა — ესენი არიან“.

3. პირობითი კილო

ჟარს ჟაკჟზარი ჟგს ყაჟწოგზტ „ეს რომ შენ ყოფილიყავი, ასე არ მოიქცეოდი“.

4. კითხვითი ფორმა

ბარს ბანკჟჟჟ ლარს ლანკჟჟჟ დცარანგ დგყოჟ? შენ (ქ.) ხარ თუ იგი (ქ.) ვინც იქ უნდა წავიდეს?

დინამიკური ზმნა

1. აწმყო

ამ ნაკვთის წარმოების მხრივ აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში პრინციპული სხვაობა არ შეინიშნება, აქაც გამოიყენება -**ჟა** სუფიქსი ინფინიტურ წარმოებაში, -**გჟტ** || -**დგტ** სუფიქსი ფინიტურში. აქაც ხდება **ჟა-დტ > ჟო-დტ**, **ჟა-დტ > ჟე-დტ**, **ჟა-დტ > დდტ**, **ჟოტ > ოტ** პროცესი, რომელიც ზოგადად აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს ახასიათებს.

ფერის მეტყველებისათვის -**ჟა** სუფიქსის **ა** ხმოვნის რედუქციის პროცესი უფრო დამახასიათებელია, რის შედეგადაც ვიღებთ: მაგ.:

აჭმა რშეტუტ „თხას კლავენ“,
 ხ ჳტკ სეცცაკტუტ „ცოტა მეჩქარება“ და ა. შ.
 ზმნური დაბოლოების ხმოვანი რედუცირდება

ა) ფინიტურ დადებით წარმოებაში:

აჟ ა სტშ თოზარი ჟგდ(დგქ ნაგუტ) ან'ტძ სჳ რდტ „თუ თქვენ მე სიტყვას მომცემთ, მაშინ მე შესაფერის სახელს ვეტყვი“.

ბ) უარყოფით ფინიტურ წარმოებაში

ჟგდ რზნდლკააძტშმ „ბევრს ეს არ ესმის“.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა, ფერიის მეტყველებაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც **-ჟემატ** დაბოლოების **-ჟ** იკარგება და შედეგად ვიღებთ **ემატ** დაბოლოებას:

მაგ.: აჟაჟუ ბზგდა დყალნდტ, აც გაა დყალნდტ, შდრ. აფხ. დყალნდტ < დყალაჟემატ „არიან კარგი ადამიანები, არიან ცუდი ადამიანები“.

ეს პროცესი (**-ჟ**-ს დაკარგვა) განსაკუთრებით გავრცელებულია უარყოფით წარმოებაში ზმნისა (როგორც ხმოვნით, ისე თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებში).

მაგ.: ჟაჰა დგსზჩჩჰჰამ, შდრ.: აფხ. დგსზჩჩჰჰამ „მეტი აღარ შემიძლია ამის მოთმენა“.

ჟგდ აგაგახაშთამ შდრ.: აფხ. აგ^აგახაშთამ „მას არაფერი არ ავიწყდება“.

ეს პროცესიც მხოლოდ ამხარულისათვის არის დამახასიათებელი (ლომთათიძე 1954: 182-183).

ნამყო უსრული

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში ნამყო უსრული, ისევე როგორც დანარჩენ აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში იწარმოება **-ჟა**-ს სუფიქსით ფინიტურ წარმოებაში და **-ჟა-ზ** სუფიქსით ინფინიტურ წარმოებაში, ოღონდ ფერიის მეტყველებისათვის ფონეტიკური პროცესი (**ა**-ს რედუქცია და **ჟ**-ს დაკარგვა) დამახასიათებელია:

ა) **ა**- ხმოვნის რედუქცია **-ჟან** სუფიქსიდან:

იცუნ-იცეტუნ (< დცაჟან) წტს-ხგსრა „ისინი მიდიოდნენ სანადიროდ, ზედმიწ.: ჩიტის სასროლად“.

ბ) **ჟ** ხმოვნის დაკარგვა ნამყო უსრულის უარყოფით ფორმაში:

იწყანგ დც აჟ აძამტზტ (< დც აჟ აძაჟამტზტ) „იგი (ქ.) (რძალი) მისი თანდასწრებით არ ლაპარაკობდა“.

აორისტი

როდესაც ზმნის ფუძე ხმოვნით მთავრდება, აორისტის წარმოებისას **-ფტ || -გფტ** სუფიქსის დართვისას ხდება სხვადასხვა ფონეტიკური პროცესები.

ანგისას მეტყველებაში ფუძისეული **ა -ფტ || -გფტ** სუფიქსის დართვისას გადადის **ე**-ში:

დგუტ ბაფსხან, დგმთაღფტ (< **დგმთაღაფტ**) „იგი ცუდად შეიქნა და დაწვა“.

ფერიის მეტყველებაში კი **ა**- აორისტის სუფიქსის წინ ზოგჯერ **გ**-ში გადადის:

ბანშა ჰაცტ (< ჰაცანტ) „ჩვენ ამოდ წავედით“.

საპ შან დანხტ, საშან დანხტ (< დანხანტ) „ჩემი და დარჩა, ჩემი ძმა დარჩა“.

ხმოვნის რედუქცია დამახასიათებელია აფხაზურის ბზიფური დიალექტისათვის (ბლაჟბა 1957: 163-164) და აბაზურის აშხარული დიალექტისათვის (ქ. ლომთათიძე 1954: 154-155).

ნამყო განუსაზღვრელი

ნამყო განუსაზღვრელი აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში ისევე იწარმოება, როგორც დანარჩენ აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში. ფერიის მეტყველებას ახასიათებს მცირეოდენი თავისებურებანი. აქ ზმნური ფუძის **ა**- ხმოვანი გადადის **გ**-ში ნამყო განუსაზღვრელის სუფიქსის წინ, ისევე როგორც აორისტში, გარდა ამისა, ნამყო განუსაზღვრელის ფორმები ბოლოხმოვნიანი და ბოლოთანხმოვნიანი ზმნებისა შეიძლება დაემსგავსოს ერთმანეთს:

სეღშტ ფჰ ტს დააფტან (< დააფან) „ჩემმა ძმამ ცოლი მოიყვანა“.

აუტთრა ხუჰტკ დყაჰწტან (< დყაჰწან) „ჩვენ გავაკეთეთ პატარა ბოსტანი“.

ამ შემთხვევაში **ა > გ** პროცესთან გვაქვს საქმე.

კილო

პირობითი კილო

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში პირობითი კილოს საწარმოებლად, ისევე როგორც სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში გამოიყენება **-რ** სუფიქსი. ამის პარალელურად ფერიელ აფხაზთა მეტყველებაში გამოიყენება **-რი** სუფიქსი:

ჩაგლა ჰამცარი ჰაზლაცონი? „თუ ცხენით არა, რით წავალთ?“

აფხტძ ტემჰ რზარი ეფდლტუბ „უკეთესია სიზმარს თუ არ იტყვი“.

როდესაც პირობითი კილოს ზმნას ერთვის **-გზ** („ც“) ნაწილაკი, მაშინ პირობითი კილოს მაწარმოებლად იქნება ოდენ **-რ** (ი-ს გარეშე):

ტა აჟედფშეჟტ დგუბარგუ სრუბ უჰ რმა? „თუ შენ შენ მსგავს კაცს დაინახავ, ეტყვი, რომ ეს მე ვარ?“

ანგისას მეტყველებაში (უფროსი თაობის) შეინიშნება **-ნგ** სუფიქსით გართულებული პირობითი კილოს წარმოება, მას უმუშალოდ მიერთვის **-რ**, **-ზარ**, **-ზარც...**

დგრთეხხარნგ (შდრ. დგრთეხხარ) დყარწრდტ „თუ ისინი მოინდომებენ, გააკეთებენ“.

აჟ აბჟ შ აჰარცნგ (შდრ. შ აჰარც) შ გყოტუბ „თქვენ კიდევ გაიგონებთ სიახლეს“.

ბრძანებითი კილო

ბრძანებითი კილო აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში ისევე იწარმოება, როგორც დანარჩენ დიალექტებში, სუფიქსების გარეშე:

ტგჰ! „გაიქეცი!“; ტცა! „წადი!“; შ ტა! „დასხედი!“

ამის პარალელურად ფერიის მეტყველებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ბოლო **ა**- ხმოვანი რედუცირდება — გადადის **გ**-ში:

ბნასკგ (შდრ.: ბნასკა) „მიიწიე შენ (ქ.)!“

ტა დყაშ წგ (შდრ.: დყაშ წა) „დატოვეთ ის თქვენ იქ!“

იგივე ხდება ბრძანებითი კილოს უარყოფით ფორმებში:

დჟემგგნ (შდრ.: დჟემგან) „არ აილო!“

დჟემტტგნ (შდრ.: დჟემტტან) „არ ჭამო!“

ეს პროცესი **ა > გ** ბზიფურსაც ახასიათებს.

როდესაც **ა**-ზე დამთავრებულ ფუძეს ბრძანებით კილოში ემატება **-ი** სუფიქსი, რომელიც მეტ კატეგორიულობას სძენს ზმნურ ფორმას, ხდება სხვადასხვა ფონეტიკური პროცესები:

ა) ანგისას მეტყველებაში **ა**- **ი**-ს წინ გადადის **ე**-ში (როგორც აფხაზურის სხვა დიალექტებში): უცგე < უცანე „აბა წადი შენ (მკ.)!“

ბანფხეე (< ბანფხა-ე) „აბა წაიკითხე შენ (ქ.)!“

ბ) ფერიის მეტყველებაში კი **ა**, როგორც წესი, მთლიანად რედუცირდება ან გადადის **გ**-ში:

ტაალგე (< ტაალა-ე) „აბა, წავიდეთ 'მოლი' შენ (მკ.)!“

ბტ გე (< ბტ ა-ე) „აბა, დაჯექი შენ (ქ.)!“

ზმნის კითხვითი ფორმა

ზმნის კითხვითი ფორმა იწარმოება სპეციალური სუფიქსებით, გარდა ამისა, გარკვეული ლოგიკური მახვილითა და ინტონაციით. ასეა ეს აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაშიც.

ოლონდ, ამასთან ერთად აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია ერთი თავისებურება: მხოლოდ ინტონაციით კითხვითობის გადმოცემა, (სუფიქსების გარეშე).

არან ავნგ დკაჰაჰტ? (შდრ. დკაჰამა?) „იგი (ქ.) აქ დაეცა?“

ჟარან ძუეჰჰანბგუ ღგყაჰამ? (შდრ. ღგყაჰამი ძუეჰჰანბგუ?) „არავინ არის შენზე უფროსი განა?“

კითხვით-უარყოფითი წარმოებისათვის გამოიყენება უარყოფით-ინფინიტური ფუძე, რომელსაც **ი** კითხვითობის ელემენტი ემატება: (ჭკადუა, არისთავა 1966: 241-242).

ამათ გვერდით აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ფერიის მეტყველებისათვის დამახასიათებელია **-მა** სუფიქსის გამოყენებაც უარყოფით-კითხვით ფორმებში, ისევე, როგორც ეს აბაზურშია:

ჟარან ჯგნტ საყანგ ჟმანან ჰან გჯჟასგმჰამან (შდრ. აფხ. ჟმანან ჰან ჟასგმჰან ეჰ? „განა მე შენ არ გეუბნებოდი, ორჯერ ჩემთან არ მოხვიდე-მეთქი?“

ანგისას მეტყველებაში, ისევე როგორც აფხაზურ-აბაზური ენის ზოგ კილოკავში არის შემთხვევები, როდესაც **ზ** (კითხვითობის ელემენტის გაუჩინარების შემთხვევაში, ერთდროულად გამოდის წარსული დროისა და კითხვითობის მაწარმოებლის როლში:

დრეჰმჰჰან ანანგზ? (შდრ.: დერეჰმჰჰან ანანგჰ?) „ის მათ იმას არ ეუბნებოდა განა?“

სხუჰჰგმზგზ (შდრ.: სხუჰჰგმზგჰ?) ჟგსყან, ძესგ ალამ აჰრმ „მე მაშინ პატარა ვიყავი და არ მახსოვს“.

ზმნის უარყოფითი ფორმა

აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა მსგავსად, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში უარყოფა გამოიხატება **-მ-** მორფემით. ფერიის აფხაზთა მეტყველებაში: იკარგება ახლანდელი დროის (აწმყოს ნაკვთის) სუფიქსი **-ჟ**:

დჷაჰაჰაჷამ < დჷაჰაჰამ „შენ ჩემი არ გესმის?“

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ფინიტური ზმნის უარყოფით ფორმაში გამოიყენება **-გ^ვგ** აფიქსი, რომელიც აბაზური დიალექტებისათვისაა დამახასიათებელი და, როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, გამოხატავს ფინიტურობას უარყოფითი წარმოების ზმნეებში (ლომთათიძე 1944: 159-161):

ჷგ^ს გ^ვყალომ (შდრ. ჷგ^ს ყალომ) „ასე არ შეიძლება“.

ჷგყარა გ^ვგ^ჰჰამ (შდრ. ჷგ^დ აყარა ბჰამ) „არც ისე შორს“ და სხვ.

ფერიის მეტყველებაში აღინიშნება ორმაგი უარყოფა აჷრა 1. „მიღება“, 2. „დაბადება“ ზმნაში.

აბილეთ სმამჷჷჷდჷ (შდრ. დგსმ^აჷჷდჷ) „მე ვერ ვიშოვე ბილეთი“.

აბ^სს ყაჰ^ჰჰაჰ, ჰ^ნ დ^აზ^ჰოზ დგდმამჷჷჷდჷ „ასე რომ გაგვეკეთებინა, ჩვენთვის მტკემელი არავინ არ აღმოჩნდა, გაჩნდა“.

აჰარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში (ფერიასა და ანგისას მეტყველება) არის **-მ** პრეფიქსის გადაადგილების შემთხვევები ზოგიერთ რთულფუძიან ზმნაში:

ჷგ^დ ყალომ^ზააჰ (შდრ. აფხ. ყამლო^ზააჰ) „ეს არ შეიძლებოდა გაკეთებულიყო“.

არგ^დგ^ვგ^ვ დგმ^შთალოზააჰ (შდრ. აფხ. დგმ^შთალოზააჰ) „ის თურმე არ წვება“.

ეს, ალბათ, ამ რთულფუძიან ზმნათა — აყაჷარა, აყალარა, აშთალარა, ერთ მთლიან ფუძედ აღქმის ბრალიაო, აღნიშნავს კილბა. აჰარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში აღნიშნული ზმნები აღიქმება როგორც ერთი მთლიანობა (ფუძე) და ამიტომ **-მ** დგება მის წინ (ან მის შემდეგ) და აღარ ხლეჩს რთულ ფუძეს, როგორც ეს სხვა დიალექტთა შემთხვევაში ხდება.

აჰარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში ზოგჯერ **-მ** უარყოფითობის აფიქსის გვერდით გვხვდება თურქული ენიდან ნასესხები **-ნეჲ**, რომელიც სხვა დიალექტებისათვის უცხოა. იგი მნიშვნელობით უახლოვდება რუსულ **ни...** **ни**-ს „არც... არც“... და დგება უარსაყოფი სიტყვის წინ. ზმნა ამ დროს არის დადებით ფორმაში: ნაწილაჰ **-ნეჲ-ს** აქვს უარყოფითობის და მტკიცებით-გაძლიერებითობის **-გ^აგ^ვგ^ვ** ნაწილაკის ფუნქცია (ელფერი):

ნემ სნემ^ჲეჲდჷ, ნემ დგზბან^ჲეჲდჷ (შდრ. აფხ. საგ^ვგ^მნემ^ჲჲჷ, დგ^ვგ^ზზმბაჲ) „მე არ მიპოვია და არ მინახავს“.

ნემ არგ^დ დაადგ^ვდჷ, ნემ ანგ^დ დაადგ^ვდჷ (შდრ. არგ^დგ^ვ დაადგ^ვმგ^ვდჷ, ანგ^დგ^ვ დაადგ^ვმგ^ვდჷ „არც ეს მოიყვანა, არც ის მოიყვანა“ (კილბა 1983).

ზმნისართი

ზმნისართები აფხაზურში სამ უმთავრეს ჯგუფში ერთიანდებიან:

1. ადგილის ზმნისართებია: აბრა II > არა „აქ“, უბრა II > უა „იქ“, აბნა II > ანა „მანდ“ (რომლებიც კავშირშია ნაცვალსახელებთან: აბრი II > არი „ეს“, უბრი II > უი „ის, იგი“, აბნი II > ანი „ეგ“, ააიგ ა „ახლოს“, აარც „გამოდმა“, ნგრც „გაღმა“, ავადა „მაღლა, ზემოთ“, ალადა „დაბლა, ქვემოთ“. ზოგი ადგილის ზმნისართი იწარმოება არსებითი სახელის ფუძეზე -**ნ** სუფიქსის დართვით: ამჰან „გზად“, აქეთან „სოფლად“.

